შპს “საქართველო - ურბან ენერჯი”

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიში და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს “საქართველო - ურბან ენერჯი”

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-4

ფინანსური ანგარიშგებები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 8

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:

1. შპს “საქართველო - ურბან ენერჯი” და მისი საქმიანობა ... 9
2. კომპანიის საოპერაციო გარემო ... 10
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები ... 10
4. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული შეფასებები და დასკვნები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებისას ... 18
5. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება ... 19
6. ნაშთები და ტრანზაქციები მეკავშირე მხარეებთან ... 24
7. ძირითადი საშუალებები ... 26
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ... 27
9. საბანკო დეპოზიტები ... 27
10. ფული და ფულის ექვივალენტები ... 27
11. საწესდებო კაპიტალი ... 28
12. აღებული სესხები ... 28
13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება ... 31
14. შემოსავალი ... 31
15. მომსახურების ხარჯები ... 31
16. პერსონალის ხარჯები ... 31
17. საგადასახადო ხარჯი ... 32
18. სხვა საოპერაციო ხარჯები ... 32
19. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები ... 32
20. ფინანსური შემოსავალი ... 32
21. ფინანსური ხარჯები ... 33
22. პირობითი ვალდებულებები ... 33
23. ფინანსური რისკის მართვა ... 35
24. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება ... 38
25. კაპიტალის რისკის მართვა ... 39
26. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ ... 39

მმართველობის ანგარიში ... 40-43

შპს “საქართველო - ურბან ენერჯი”

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს “საქართველო - ურბან ენერჯის’ (“კომპანია’) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (,,ფასს’’) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკების ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებული, საიმედო, შესადარისი და გასაგები ინფორმაციის არსებობას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- მმართველობის ანგარიშში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის განმარტებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიში კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2022 წლის 21 მარტს:

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი

ბურაქ ჯანდანი

21 მარტი, 2022 წელი

ფინანსური დირექტორი
ომურ თოსუნოღლუ

21 მარტი ,2022 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "საქართველო – ურბან ენერჯის" აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

ჩვენ ჩავატარეთ შპს "საქართველო - ურბან ენერჯის" ("კომპანია") თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი დასკვნით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში "*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*". ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი "პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი' (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენს მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშს, რომელიც მომზადებულია „აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშს.

ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებისა ან აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციასთან არსებითად შეუსაბამო, ან სხვაგვარად არსებითად მცდარი. თუ ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციაში არსებითი შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

ჩვენ არაფერი გვაქვს განსაცხადებელი ამ პასუხისმგებლობებზე დაყრდნობით.

მმართველობის ანგარიშსა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.
კომპანიის მართვასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმუნება მაღალი ხარისხის რწმუნებას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამის ტრანსაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ანგარიში სხვა იურიდიული და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონი) მოთხოვნის შესაბამისად, და იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობის უზრუნველყოფაზე, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი

მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის გასარკვევად, თუ რამდენად არის მმართველობის ანგარიში მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შეიცავს თუ არა ამავე კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას.

ჩვენ შევარჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები ჩვენი შეფასების საფუძველზე, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, გამოკითხვებით, დოკუმენტაციის ანალიზითა და მიმოხილვით, კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და მოხსენებული ინფორმაციის შედარებით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, აგრეთვე გადაანგარიშებებით, შედარებებითა და რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის შედარების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია თანმიმდევრულია, ყველა მატერიალური თვალსაზრისით, 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

სრბუჰი ჰაკობიანი
შპს დელოიტი და ტუშის სახელით

2022 წლის 21 მარტი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	233,615,848	243,757,633
გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები		744,996	150,793
არამატერიალური აქტივები		11,731	28,515
სულ გრძელვადიანი აქტივები		**234,372,575**	**243,936,941**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		1,059,653	793,172
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3,672,723	3,936,828
საბანკო დეპოზიტები	9	6,664,515	3,935,035
ფული და ფულის ექვივალენტები	10	1,451,345	1,560,985
სულ მიმდინარე აქტივები		**12,848,236**	**10,226,020**
სულ აქტივები		**247,220,811**	**254,162,961**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	123,638,980	123,638,980
დაგროვილი დეფიციტი		(168,451,800)	(197,546,672)
სულ დეფიციტი		**(44,812,820)**	**(73,907,692)**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
აღებული სესხები	12	238,733,347	274,290,351
საიჯარო ვალდებულება		465,513	125,445
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**239,198,860**	**274,415,796**
მიმდინარე ვალდებულებები			
აღებული სესხები	12	52,081,214	52,972,143
საიჯარო ვალდებულება		216,638	24,304
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	536,919	658,410
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**52,834,771**	**53,654,857**
სულ ვალდებულებები		**292,033,631**	**328,070,653**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**247,220,811**	**254,162,961**

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
ბურაქ ჯანდანი

21 მარტი, 2022

ფინანსური დირექტორი
ომურ თოსუნოღლუ

21 მარტი,2022

10-40 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალის, და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	14	46,341,512	42,685,247
სხვა შემოსავალი		385,387	194,401
პერსონალის ხარჯები	16	(3,309,538)	(3,869,539)
მომსახურების ხარჯები	15	(1,892,342)	(1,893,089)
საგადასახადო ხარჯები	17	(2,278,761)	(2,377,474)
სხვა საოპერაციო ხარჯები	18	(533,077)	(394,292)
მოგება ფინანსურ შემოსავლამდე / ხარჯებამდე, გადასახადებამდე, ცვეთამდე და ამორტიზაციამდე		**38,713,181**	**34,345,254**
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	19	(10,326,108)	(10,329,637)
მოგება ფინანსურ შემოსავლამდე / ხარჯებამდე და გადასახადებამდე		**28,387,073**	**24,015,617**
ფინანსური შემოსავალი	20	16,890,224	165,703
ფინანსური ხარჯები	21	(16,182,425)	(48,164,285)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		**29,094,872**	**(23,982,965)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		**29,094,872**	**(23,982,965)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		**29,094,872**	**(23,982,965)**

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
ბურაქ ჯანდანი

21 მარტი, 2022

ფინანსური დირექტორი
ომურ თოსუნოღლუ

21 მარტი,2022

10-40 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს "საქართველო - ურბან ენერჯი"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2020 წელი	**123,638,980**	**(173,563,707)**	**(49,924,727)**
სულ წლის სრული ზარალი	-	(23,982,965)	(23,982,965)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020 წელი	**123,638,980**	**(197,546,672)**	**(73,907,692)**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	29,094,872	29,094,872
ნაშთი 31 დეკემბერი 2021 წელი	**123,638,980**	**(168,451,800)**	**(44,812,820)**

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
ბურაქ ჯანდანი

21 მარტი, 2022

ფინანსური დირექტორი
ომურ თოსუნოღლუ

21 მარტი,2022

10-40 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა შემოსავალი/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		29,094,872	(23,982,965)
კორექტირება:			
ცვეთა და ამორტიზაცია	19	10,326,108	10,329,637
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		(173,503)	-
ფინანსური შემოსავალი	20	(156,896)	(165,703)
ფინანსური ხარჯები	21	16,182,425	6,260,649
საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა (მოგება)/ზარალი	20, 21	(16,733,328)	41,903,636
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**38,539,678**	**34,345,254**
მარაგების (ზრდა)/კლება		(266,481)	2,546
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების კლება/(ზრდა)		264,105	(210,491)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (კლება)/ზრდა		(121,491)	295,215
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება		**(123,867)**	**87,270**
მიღებული პროცენტი		152,221	165,703
გადახდილი პროცენტი და სხვა ფინანსური ხარჯები		(16,399,742)	(23,852,813)
წმინდა ნაღდი ფული საოპერაციო საქმიანობიდან		**22,168,290**	**10,745,414**
ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	7	(15,858)	(14,000)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		177,158	-
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		-	(8,847)
საბანკო დეპოზიტების განთავსება		(21,559,940)	(20,638,849)
დეპოზიტების გამოტანა ბანკებიდან		19,049,650	22,278,550
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ნაღდი ფული		**(2,348,990)**	**1,616,854**
ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავალი აღებული სესხებიდან	12	31,539,400	35,724,460
აღებული სესხების დაფარვა	12	(50,942,728)	(47,201,194)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(169,693)	(96,311)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		**(19,573,021)**	**(11,573,045)**
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		**246,279**	**789,223**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		**1,560,985**	**966,367**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(355,919)	(194,605)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	**10**	**1,451,345**	**1,560,985**

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
ბურაქ ჯანდანი

21 მარტი, 2022

ფინანსური დირექტორი
ომურ თოსუნოღლუ

21 მარტი,2022

10-40 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. შპს "საქართველო - ურბან ენერჯი" და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შპს "საქართველო - ურბან ენერჯისათვის" ("კომპანია" ან „სუე") 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

კომპანია დაფუძნდა 1999 წლის 11 თებერვალს და რეგისტრირებულია საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით.

2021 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის წილებს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
"ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარი ანონიმ შირკეტი"	90%	90%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ერგბ)	10%	10%
სულ	**100%**	**100%**

"ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარი ანონიმ შირკეტი" („აკაფ") არის აგ "ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგ ა.ს.'ის 61.49%-იანი შვილობილი კომპანია, რომელიც დაფუძნდა 2009 წლის 15 დეკემბერს. მისი იურიდიული მისამართია ფატიჰ სულტან მეჰმეტ მაჰალესი, ბალკან ჯადესი #58, ბუიაკა, ე ბლოკ 34771 ტეპეიუსტუ/უმრანიე, სტამბოლი, თურქეთი. "ა.შ. ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარის" აქციების დანარჩენ 38.51%-იან წილს ფლობს "ფარავანი ენერჯი ბ.ვ.'.

კომპანის საბოლომფლობელები	ა.გ. ანადოლუგრუპჰოლდინგ ა.შ.-ში კუთვნილი %	
	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ა.გ. სინაი იათირიმ ვე იონეთმ ა.შ.	48.65 %	48.65 %
იაზიჯის ოჯახის წევრები	25.88 %	27.16 %
იოზილჭანის ოჯახის წევრები	9.98 %	9.98 %
საჯაროდფლობილი აქციები	15.49 %	14.21 %
სულ	100.00%	100.00%

ა.გ. სინაი იათირიმ ვე იონეთიმ ა.შ. თანაბრად კონტროლდება ქამილ იაზიჯი იონეთიმ ვე დანისმა ა.ს. და იზეთ ტურკან იოზილჭან ვე დანიშმანლიკ ა.შ. ს მიერ. თითოეული ფლობს კაპიტალის 50 პროცენტს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ერგბ) კომპანიის აქციებს ფლობს 2011 წლის 20 სექტემბრის გამოწერის ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის მიხედვით, ერგბ ფლობს კომპანიის 5,000,000 აშშ დოლარის ღირებულების საკუთარი კაპიტალის 10%-ს. კაპიტალის ეს შენატანი გაკეთდა 2011 წლის 28 ნოემბერს.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია. კომპანიამ დაასრულა ფარავნის ჰიდროელექტროსადგურის („ჰესი") მშენებლობა 2014 წელს. 2021 წელს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიამ ფაქტობრივად წარმოებული ელექტროენერგია მთლიანად ქართულ ბაზარზე გაყიდა.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზირი 37. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თანამშრომელთა რაოდენობამ შეადგინა 37 (31 დეკემბერი 2020: 40).

პრეზენტაციის ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, იგი ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ და საპრეზენტაციო ვალუტას.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა საქართველოში მიმდინარეობს. საქართველო განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს ამჟღავნებს, მათ შორის, ხასიათდება მაღალი ინფლაციითა და მაღალი საპროცენტო განაკვეთებით. საქართველოს მსგავსი განვითარებადი ბაზრები ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. ბიზნესზე მოქმედი საკანონმდებლო გარემო სწრაფად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით ხასიათდება. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

გარდა ამისა, საქართველოს ენერგო-ბაზარზე მოქმედებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, საკანონმდებლო, ფისკალური და რეგულირებასთან დაკავშირებული მოვლენები.

ამასთან, 2020 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება ახალი კორონავირუსული დაავადება (კოვიდ-19), რის შედეგადაც, 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა პანდემიის მდგომარეობა. კოვიდ-19-ის გავრცელების შესაფერხებლად ბევრი ქვეყნის მიერ მიღებული ზომები ბევრ კომპანიას ოპერაციებს მნიშვნელოვნად ურთულებს და დიდი ზეგავლენა აქვს გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. სწრაფად ცვალებადმა სიტუაციამ შეიძლება საგრძნობი ეფექტი იქონიოს მრავალ სექტორში მოღვაწე ბევრ კომპანიაზე, მათ შორის, წარმოების შეწყვეტისა თუ ინფრასტრუქტურის დახურვის, მიწოდების შეფერხების, პერსონალის კარანტინში გადასვლის, მოთხოვნის შემცირებისა და დაფინანსების მოძიების გართულების გამო ბიზნესის ოპერირების შეფერხების თვალსაზრისით. შესაძლებელია, კომპანია დაექვემდებაროს კოვიდ-19-ის მზარდ ეფექტს გლობალურ ეკონომიკასა და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე ზემოქმედების გამო. კომპანიის ოპერაციებზე კოვიდ-19-ის ზემოქმედების სიდიდე დიდწილად დამოკიდებულია მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკებზე პანდემიის ეფექტის ხანგრძლივობასა და მის ინტენსივობაზე.

ხელმძღვანელობას არ შესწევს ყველა იმ მოვლენის წინასწარ განჭვრეტის ძალა, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე და ამდენად, ვერ ივარაუდებს, თუ რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს მათ კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობის აზრით, ის ყველა ზომას მიმართავს, რათა უზრუნველყოს კომპანიის ბიზნესის მდგრადობა და განვითარების ტენდენცია.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპით. ისტორიული ღირებულება საზოგადოდ ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები აღწერილია ქვემოთ. გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ეს აღნიშნულია, პოლიტიკის აღნიშნული პრინციპები გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდში.

<u>უწყვეტი საწარმო</u>

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა უწყვეტი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებმა მიმდინარე აქტივებს გადააჭარბა 39,986,534 ლარით.

მიმდინარე ვალდებულებებში შედის „იშბანკ თურქეთისგან" აღებული მოკლევადიანი სესხები 18,702,460 ლარის ოდენობით და მასზე დარიცხული პროცენტი 12,471,871 ლარის ოდენობით; აგრეთვე საერთაშორისო საფინანსო კორპორაციიდან (სსკ) და ერგბ-დან მიღებული გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი და მასზე დარიცხული პროცენტი 20,906,883 ლარის ოდენობით.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან 2011 წლის 22 ივნისს ხელმოწერილი სასესხო ხელშეკრულებები გარანტირებულია დამფუძნებელი კომპანიების, „ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგისა" და „ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარის" მიერ ერგბ-სა და სფკ-თან ხელმოწერილი გარანტიის აქტისა და პასუხისმგებლობისგან დაცვის ხელშეკრულებით და, აგრეთვე, დამფუძნებელი კომპანიების, „ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგისა" და „ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარის" მიერ კომპანიასთან, ერგბ-სა და სსკ-თან ხელმოწერილი დაფინანსების მხარდაჭერისა და პროექტის ფონდის ხელშეკრულებით.

2021 წლის 10 ნოემბერს კომპანიამ სს „იშბანკ თურქეთთან" ხელი მოაწერა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებს საბანკო სესხის თაობაზე 6,000,000 აშშ დოლარის ოდენობით (18,585,600 ლარი), ხოლო 2021 წლის 11 ნოემბერს - სს „იშბანკ საქართველოსთან" 4,000,000 აშშ დოლარის ოდენობით (12,390,400 ლარი). 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ სრულად გამოიყენა მოცემული საკრედიტო ხაზი სს „საქართველოს ბანკის" სესხის დაფარვაში, 10,000,000 აშშ დოლარის (30,976,000 ლარი) ოდენობით. სესხი მოკლევადიანია 1 წლის ვადიანობით და კომპანია გეგმავს სესხის განახლებას გადახდის თარიღში.

ისტორიულად, კომპანიას ბოლო წლების განმავლობაში თავისი ყველა საკრედიტო ვალი განახლებული აქვს.

კომპანიამ "ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგ ა.ს." ერთობლივი თავდებობის ხელშეკრულებითაც თავდებობა, დაფაროს ვალი, თუ კომპანია ვერ შეძლებს სს „იშბანკ თურქეთთან" და სს „იშბანკ საქართველოსთან" არსებული ვალდებულების დამოუკიდებლად შესრულებას.

საქართველოს მთავრობასთან 2009 წლის 27 მაისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის 2020 წლის 28 თებერვალს ხელმოწერილი დამატების საფუძველზე, კომპანიამ ვალდებულება აიღო, 2020-2024 წლებში ფაქტობრივად გენერირებული ელექტროენერგია ექსკლუზიურად მიყიდოს ესკოს (სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი"). შედეგად, კომპანიამ მოიპოვა ელექტროენერგიის ადგილობრივად, ფიქსირებულ ფასად გასაყიდი უკეთესი მარჟა, ვიდრე ზაფხულის თვეებში ექსპორტირებისას. გაუმჯობესებული მომგებიანობა მენეჯმენტს მეტ რესურსებს მისცემს სესხის დროულად დაფარვისა და უფრო მკაფიო გეგმების შედგენის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანია მიიჩნევს, რომ უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება არსებულ სიტუაციას შეესაბამება და რომ ის შეძლებს ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში აქტივების რეალიზებასა და ვალდებულებების დაფარვას.

<u>რეალური ღირებულება</u>

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება დგინდება აღნიშნულ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ("სებ") ოფიციალური ვალუტის კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული და აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, ლარში გადაიყვანება ტრანზაქციის დღეს მოქმედი ვალუტის კურსით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული და აღრიცხულია რეალური ღირებულებით, ლარში გადაიყვანება რეალური ღირებულების დადგენის დღეს მოქმედი ვალუტის კურსით. ამგვარი ტრანზაქციების ანგარიშსწორებიდან და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციით მიღებული მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსებია: 1 აშშ დოლარი = 3.0976 ლარი (2020 წელს: 1 აშშ დოლარი = 3.2766 ლარი); 1 ევრო = 3.5040 ლარი (2020 წელს: 1 ევრო = 4.0233 ლარი).

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში, აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების რომელიმე ერთეულის კომპონენტის შეცვლაზე გაწეული ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი კომპონენტი ჩამოიწერება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ ამ ხარჯებიდან უნდა წარმოიშვას მომავალი ეკონომიკური სარგებელი. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის, მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, აღირიცხება მათი გაწევისას მოგება-ზარალში, როგორც ხარჯი.

გაუფასურების ხარჯი აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ აქტივის ან მისი ფულის მაგენერირებელი ერთეულის საბალანსო ღირებულებამ გადააჭარბა აღდგენად ღირებულებას. გაუფასურების დანაკარგები აღირიცხება მოგება-ზარალში.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს აღდგენად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ შეფასებებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

რეალიზაციით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია წლის მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. კომპანიას მსხვილი სარემონტო სამუშაოებისას გამოყენებული სათადარიგო ნაწილები დაჯგუფებული აქვს ერთად, როგორც დაუმონტაჟებელი მოწყობილობები. ამ ტიპის აქტივები მსხვილი სარემონტო სამუშაოების ჩატარებამდე არ იცვითება. ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების (ან გადაფასებული ღირებულების) განაწილებით:

შენობები (გვირაბი)	50 წელი
გადამცემი ხაზები და შესაბამისი მოწყობილობები	50 წელი
ინფრასტრუქტურული აქტივები	15-20 წელი
მანქანა-დანადგარები	5-20 წელი
ტრანსფორმატორები, გენერატორები და ჰეს-თან დაკავშირებული მოწყობილობები	15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
ავეჯი და მცირე აქტივები	4-7 წელი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო გამოყენების ვადები გადაიხედება და აუცილებლობის შემთხვევაში კორექტირდება.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და ექსპლუატაციის ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

კომპანია, როგორც მოიჯარე. იმას, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას, კომპანია ადგენს კონტრაქტის მოქმედების დაწყებისას. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი საიჯარო ვალდებულება აღიარდება ყველა იმ საიჯარო გარიგებაში, რომელშიც კომპანია გამოდის როგორც მოიჯარე. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან იჯარებს (განიმარტება, როგორც 12 თვიანი ან უფრო მოკლე ვადის იჯარა) და დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებს (როგორებიცაა ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, მცირე საოფისე ავეჯი და ტელეფონები). ამ უკანასკნელის შემთხვევაში, საიჯარო გადასახადი აღირიცხება როგორც საოპერაციო ხარჯი წრფივად იჯარის მთელი ვადის განმავლობაში, თუ სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ არ ასახავს იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სურათს.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აღირიცხება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც იჯარის დაწყების დღეს არ გადაიხდება. მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, კომპანია იყენებს სესხის მზარდ განაკვეთს.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შესული საიჯარო გადახდები მოიცავს შემდეგს:

- ფიქსირებული საიჯარო გადახდები (მათ შორის პრაქტიკულად ფიქსირებული გადახდები), საიჯარო შეღავათებით გამოხატული მოთხოვნების გამოკლებით;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც რაიმე ინდექსსა თუ განაკვეთზეა დამოკიდებული და თავდაპირველად იზომება იჯარის დაწყების დღის ინდექსით ან განაკვეთით;
- მოიჯარის მიერ სავარაუდოდ გადასახდელი თანხა გარანტიების ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე;
- შესყიდვის ოფციონის რეალიზაციის ფასი, თუ მოიჯარე გონივრულ ფარგლებში დარწმუნებულია, რომ ის ამ ოფციონის რეალიზებას მოახდენს; და
- იჯარის შეწყვეტისთვის გათვალისწინებული ჯარიმების გადახდა, თუ იჯარის ვადაში ასახულია იჯარის შეწყვეტის ოფციონის რეალიზება.

იჯარის ვალდებულება წარმოდგენილია, როგორც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების ცალკე მუხლი.

იჯარის ვალდებულება შემდგომში აისახება საბალანსო ღირებულების გაზრდით, რაც მიზნად ისახავს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ასახვას (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით), და უკვე გადახდილი საიჯარო გადასახადის ასახვის მიზნით საბალანსო ღირებულების შესაბამისი შემცირებით.

კომპანია საიჯარო ვალდებულებას ხელახლა აფასებს (და გამოყენების უფლების მატარებელ შესაბამის აქტივს აკორექტირებს), თუ:

- იჯარის ვადა შეიცვალა ან ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ხდომილებას ან გარემოებათა ისეთ ცვლილებას, რამაც გამოიწვია შესყიდვის ოფციონის რეალიზების შეფასების ცვლილება; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების დისკონტირებით (კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით).
- საიჯარო გადახდები შეიცვალა გარანტირებული ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე მოსალოდნელი გადახდის ცვლილების ან ინდექსისა თუ განაკვეთის ცვლილების გამო; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების ძველი განაკვეთით დისკონტირებით (თუ იჯარის გადასახადის ცვლილება გამოწვეული არაა მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით, რა დროსაც გამოიყენება კორექტირებული დისკონტირების განაკვეთი).
- მოხდა საიჯარო კონტრაქტის მოდიფიცირება და იჯარის მოდიფიკაცია არ აღრიცხულა როგორც დამოუკიდებელი იჯარა; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება მოდიფიცირებული იჯარის საიჯარო ვადაზე დაყრდნობით და კორექტირებული გადახდების ასევე კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით დისკონტირების გზით, მოდიფიკაციის ძალაში შესვლის დღეს.

კომპანიას წარმოდგენილ პერიოდებში მსგავსი კორექტირებები არ გაუკეთებია.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები მოიცავს შესაბამისი საიჯარო ვალდებულების საწყის აღიარებას, იჯარის დაწყების დღეს ან მანამდე გადახდილ საიჯარო გადახდებს, და აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები და საწყისი პირდაპირი ხარჯები. შემდგომში ასეთი აქტივები აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

როდესაც კომპანიას ეკისრება ისეთი ხარჯების ვალდებულება, რაც დაკავშირებულია იჯარით აღებული აქტივის დემონტაჟთან და გატანასთან, მისი მდებარეობის ადგილის აღდგენასთან ან შესაბამისი აქტივის იჯარის პირობებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში მოყვანასთან, აღიარდება რეზერვი, რომელიც ფასდება ბასს 37-ის საფუძველზე. თუ ხარჯები გამოყენების უფლების მატარებელ აქტივთანაა დაკავშირებული, ისინი შედის შესაბამისი აქტივის ღირებულებაში, თუ ამ ხარჯების გაწევა მარაგების შექმნასთან არაა დაკავშირებული.

გამოყენების უფლების მატარებელ აქტივებს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და შესაბამისი აქტივის მოხმარების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში. თუ იჯარით ხდება შესაბამისი აქტივის საკუთრების უფლების გადაცემა ან გამოყენების უფლების მატარებელი აქტივის ღირებულებაში ასახლია, რომ ჯგუფი მოელის შესყიდვის ოფციონის რეალიზებას, შესაბამის გამოყენების უფლების მატარებელ აქტივს ცვეთა ერიცხება აქტივის მოხმარების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება იჯარის დაწყებისას.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია დამოუკიდებელ მუხლში.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივის გაუფასურების დასადგენად გამოიყენება ბასს 36. გაუფასურების გამოვლენილი ზარალი აღირიცხება „ძირითადი საშუალებების" პოლიტიკაში აღწერილი წესით.

ცვლადი ქირა, რომელიც არ არის დამოკიდებული ინდექსსა თუ განაკვეთზე, იჯარის ვალდებულებისა და გამოყენების უფლების მატარებელი აქტივის შეფასებაში არ შედის. შესაბამისი გადახდები ხარჯად აღირიცხება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ამ გადახდების წარმომშობ მოვლენას ან გარემოებას, და შედის მოგებაში ან ზარალში.

პრაქტიკული შეღავათის სახით, ფასს 16 მოიჯარეს უფლებას აძლევს, არ დააცალკევოს არასაიჯარო კომპონენტები და საიჯარო და შესაბამისი არასაიჯარო კომპონენტები ერთი გარიგების ფარგლებში აღრიცხოს. კომპანიას ეს პრაქტიკული შეღავათი არ გამოუყენებია. ისეთი კონტრაქტების შემთხვევაში, რომელიც გულისხმობს საიჯარო კომპონენტს და ერთ ან მეტ დამატებით საიჯარო ან არასაიჯარო კომპონენტს, კომპანია კონტრაქტით გათვალისწინებულ საზღაურს თითოეულ საიჯარო კომპონენტზე

ანაწილებს საიჯარო კომპონენტის დამოუკიდებელი ფასისა და არასაიჯარო კომპონენტების დამოუკიდებელი, ჯამური ფასის საფუძველზე.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის მიერ შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური ატივების საბალანსო ღირებულება აღირიცხება, როგორც გამოყენების ღირებულებასა და რეალური ღირებულებისა და რეალიზაციის ხარჯების სხვაობას შორის უდიდესი ოდენობა.

კომპანიის არამატერიალური აქტივები უმთავრესად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ამორტიზდება წრფივი მეთოდით სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში მისი გამოყენების პირველი დღიდან მოყოლებული. პროგრამული უზრუნველყოფის სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება 7 წლით.

სხვა მოთხოვნები. სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა გრძელვადიანად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც მასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებულ უნდა იქნეს ერთი წლის შემდეგ, ან მაშინ, როდესაც წინასწარი გადახდა ისეთ აქტივთანაა დაკავშირებული, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესასყიდად განკუთვნილი წინასწარი გადახდები, აქტივის კონტროლის მოპოვებისთანავე და ისეთი ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, რომ მასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს, გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. სხვა წინასწარი გადახდები მოგება-ზარალში ჩამოიწერება მათთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღების დროს. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება კომპანიას არ მიეწოდება, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და მოგება-ზარალში აღიარდება მისი შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ან სამ თვემდე ვადით განთავსებულ სახსრებს ბანკებში. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

საბანკო დეპოზიტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივ ბიზნეს-გარიგებებში, დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯების გამოკლებით.

ფინანსური ინსტრუმენტები - აღრიცხვის ძირითადი პრინციპები. ფინანსური ინსტრუმენტები იზომება და მათი კლასიფიკაცია ხდება ფასს 9-ის მიხედვით.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად იზომება სამართლიანი ღირებულებით პლუს ან მინუს, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება არ არის გაზომილი სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში, გარიგების ხარჯები. ფასს 9 ანაწილებს ყველა იმ ფინანსურ აქტივს, რომლებიც ამჟამად მოცემულია ბასს 39-ის ფარგლებში, ორ კლასიფიკაციად - ისინი,

რომლებიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით და ისინი, რომლებიც იზომება რეალური ღირებულებით.

თუკი აქტივები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სარგებელი და ზარალი ან მთლიანად აღიარებულია მოგება-ზარალში (მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღიარებული, FVTPL), ან აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღიარებული, FVTOCI).

სავალო ინსტრუმენტებისთვის, FFVTOCI–ის კლასიფიკაცია სავალდებულოა გარკვეული აქტივებისათვის, თუკი სამართლიანი ღირებულების ვარიანტი არ იქნება არჩეული. კაპიტალის ინვესტიციებისთვის FFVTOCI– ის კლასიფიკაცია არჩევანის საგანია.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია ხდება მისი თავდაპირველად აღიარების დროს, კერძოდ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე. თუ გარკვეული პირობები დაკმაყოფილდება, შეიძლება საჭირო გახდეს აქტივის კლასიფიკაციის შეცვლა.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს.

სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მაჩვენებელი არის აქტიურ ბაზარზე მოქმედი ფასი. აქტიურია ბაზარი, რომელზეც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ტრანზაქციები ისეთი სიხშირითა და მოცულობით ხდება, რომ შესაძლებელია ფასის შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიღება.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შესყიდვას, გამოშვებას ან რეალიზაციას. დამატებითია ხარჯი, რომელსაც პირი არ გასწევდა ტრანზაქციის შესრულების გარეშე. ტრანზაქციის ხარჯებში შედის აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვის აგენტებად მოქმედი თანამშრომლებისთვის), მრჩევლებისთვის, ბროკერებისა და დილერებისათვის გადახდილი საკომისიოები, მარეგულირებელი სამსახურებისა და საბირჟო მოსაკრებლები და გადარიცხვის გადასახადები და მოსაკრებლები. ტრანზაქციის ხარჯებში არ შედის სესხის პრემიუმები თუ ფასდათმობები, ფინანსური ხარჯები და შიდა ადმინისტრაციული თუ ჰოლდინგის ხარჯები.

ამორტიზებული ღირებულება არის ის თანხა, რომლის ოდენობითაც მოხდა ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარება, ძირითადი თანხის გადახდების გამოკლებით და დარიცხული პროცენტის მიმატებით, ხოლო ფინანსური აქტივებისათვის - აღრიცხული გაწეული გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯებისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გადასახდელ თანხამდე დისკონტირების ან პრემიუმის ამორტიზაციას. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯები, მათ შორის, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული დისკონტი თუ პრემიუმი (მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისიო, თუ ასეთი არსებობს), ცალკე არ აღიარდება და შედის შესაბამისი ერთეულების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (გ) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არადაკავშირებული მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხების ხარჯების კაპიტალიზაცია. სესხების ხარჯები, რომლებიც განეკუთვნება აქტივების ისეთ შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, რასაც მოსახმარი ან გასაყიდი აქტივების (კვალიფიცირებული აქტივები) მიღებას სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილი.

კაპიტალიზაციის საწყისი თარიღია ის დღე, როდესაც (ა) კომპანია გასწევს კვალიფიცირებული აქტივის მისაღებად საჭირო ხარჯებს; (ბ) კომპანია გასწევს სესხების ხარჯებს; და (გ) კომპანია წამოიწყებს იმ ზომებს, რომლებიც საჭიროა აქტივების გასამზადებლად მათ მოსახმარად ან გასაყიდად.

სესხების ხარჯების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ დღემდე, სანამ აქტივები არსებითად არ გამზადდება მოსახმარად ან გასაყიდად.

კომპანია ახდენს სესხების იმ ხარჯების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილება მას შეეძლო, კვალიფიცირებულ აქტივებზე კაპიტალური დანახარჯები რომ არ გაეწია. კაპიტალიზებული სესხების ხარჯები გამოითვლება კომპანიის საშუალო ფონდირების ხარჯების მიხედვით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი ვრცელდება კვალიფიცირებულ აქტივებზე გაწეულ ხარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფონდების სესხება ხდება კონკრეტულად კვალიფიცირებული აქტივის მიღების მიზნით. ასეთ დროს კაპიტალიზდება რეალურად გაწეული სესხების ხარჯებისა და ამ ნასესხები სახსრების დროებით ინვესტირების შემოსავლის სხვაობა.

მომავალი ხარჯებისა და გადახდების რეზერვი. მომავალი ხარჯებისა და გადახდების რეზერვი არის გაურკვეველი დროისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენიდან გამომდინარე; მოსალოდნელია, რომ ვალდებულების შესრულება მოითხოვს ეკონომიკური სარგებლის გადინებას; და მათი ოდენობა სარწმუნოდ იზომება. თუ ეფექტი

მნიშვნელოვანია, რეზერვები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროში ღირებულების ბაზრისეულ შეფასებას და კონტექსტის მიხედვით, ვალდებულებისთვის დამახასიათებელ კონკრეტულ რისკებს.

სავაჭრო და სხვა გადასახდელები. სავაჭრო და სხვა გადასახდელები ირიცხება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს. სავაჭრო და სხვა გადასახდელები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში კი - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავაჭრო გადასახდელები აისახება დღგ-ის ჩათვლით.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება (მათ შორის, საწესდებო კაპიტალის, წილებისა და სხვა) შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის აქციონერთა გადაწყვეტილებით. ნებადართული კაპიტალი კომპანიის საკუთარ კაპიტალში საწესდებო კაპიტალად აღიარდება აქციონერთა გადაწყვეტილებით.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ირიცხება ანგარიშგების დღეს სრულად ან არსებითად ძალაში შესული საქართველოს კანონმდებლობით. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. შეცვლილი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (ძველად მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიცემოდა).

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც ვრცელდება კომპანიაზე. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურად განხორციელებულ, აგრეთვე განზრახულ მოგების განაწილებას, მათ შორის, შემდეგს:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არ ეხება ეკონომიკურ საქმიანობას;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადაცემა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ თანხას.

განაწილებულ მოგებაზე მოგების გადასახადი აღიარდება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოგების გადასახადად ჩაწერისთანავე. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის აისახება იმ ოდენობით, რომელიც სავარაუდოდ, გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს ან მიიღება მათგან.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხულ გადასახადს გარდა ზემოთხსენებულ სხვა კატეგორიებზე დარიცხული გადასახადი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საგადასახადო ხარჯების სახით.

გადასახადების ცნების ცვლილების გამო ტერმინი "აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა" კარგავს დამახასიათებელ ეკონომიკურ ცნებას. ახალი საგადასახადო მოდელით ბასს 12 - მოგების

გადასახადის მიხედვით განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები ძალას კარგავს.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გაშვებული საქონლის დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებში გადაიხდება კლიენტებისათვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას. შემავალი დღგ ჩვეულებრივ იქვითება გამავალი დღგ-დან ანგარიშფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები კომპანიებს ნებას რთავენ, დღგ ურთიერთჩათვალონ ნეტ საფუძველზე. გაყიდვებსა და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ ნეტ საფუძველზე აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი თანხით დღგ-ის ჩათვლით.

2015 წლის 31 დეკემბრიდან მოყოლებული, ხელმძღვანელობა კომპანიის საგადასახადო ნაშთებს წარადგენს ნეტ საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის #407 ბრძანების შესაბამისად.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი აღიარდება დღგ-ის გარეშე. შემოსავლები აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით.

ადგილობრივი გაყიდვები აისახება მიწოდებული ელექტროენერგიის საფუძველზე და გამოითვლება მოქმედი ტარიფებით.

საექსპორტო გაყიდვები და ელექტროენერგიის ტრანზიტი აღიარდება ელექტროენერგიის აღრიცხული გადაცემის საფუძველზე და გამოითვლება საკონტრაქტო ტარიფებით.

თანამშრომელთა ბენეფიტები. ხელფასები, ჯამაგირები, წლიური და ავადმყოფობის შვებულების ანაზღაურება, ბონუსები და სხვა ბენეფიტები (კვება, ცხოვრება, ტრანსპორტირება, ა.შ.) ირიცხება იმ პერიოდში, როდესაც კომპანიის თანამშრომლები შესაბამის მომსახურებას გასწევენ. 2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, კომპანია ვალდებულია, გადაიხადოს თანამშრომელთა მთლიანი ხელფასებისა და ბენეფიტების 2%-ის ოდენობის საპენსიო შენატანები.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები მოიცავს ნასესხებ სახსრებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს, საპროცენტო შემოსავალს ინვესტირებულ თანხებზე და უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებულ მოგებასა და ზარალს, რომლებიც დაკავშირებულია ნასესხებ სახსრებთან და ფულთან და ფულის ექვივალენტებთან.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა საპროცენტო და სხვა ხარჯი აღიარდება ფინანსური ხარჯების ფარგლებში გაწეულად გაწევის მომენტში. რაც შეეხება კვალიფიცირებულ აქტივებთან დაკავშირებულ სესხების ხარჯებს, კომპანია ახდენს იმ ხარჯების კაპიტალიზებას, რაც პირდაპირაა დაკავშირებული კვალიფიცირებული აქტივების შესყიდვასთან, დამზადებასთან ან წარმოებასთან, ამ აქტივის თვითღირებულების ფარგლებში.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დარიცხვისთანავე, აქტივზე ეფექტური ამონაგების გათვალისწინებით.

პრეზენტაციის ცვლილება. გამოცემის შემდგომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ნებისმიერი ცვლილება საჭიროა დამტკიცდეს კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომელმაც გასცა დოკუმენტის გამოცემის ნებართვა.

4. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული შეფასებები და დასკვნები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომელიც გავლენას ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების ასახულ ოდენობებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. აღრიცხვის პროცედურების გამოყენებისას, ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს შეფასებებს,

იმათ გარდა, რომლებიც მოიცავს პროგნოზებს. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ შუალედურ შემოკლებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

საგადასახადო კანონმდებლობა და რეზერვების აღრიცხვა. კომპანიის არასარწმუნო საგადასახადო პოზიციებს ხელმძღვანელობა აფასებს თითოეულ საანგარიშო დღეს. ვალდებულებები აღირიცხება იმ საგადასახადო პოზიციებისათვის, რომელთა შენარჩუნება, ხელმძღვანელობის აზრით, ნაკლებ სავარაუდოა, მათი საგადასახადო ორგანოების მხრიდან ეჭვქვეშ დაყენების შემთხვევაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის უკვე მოქმედი ან არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების საფუძველზე. საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის ვალდებულების გარდა, აღიარდება ხელმძღვანელობის მხრიდან იმის პროგნოზის საფუძველზე, თუ რა ოდენობის ხარჯი იქნება საჭირო ანგარიშგების დღეს ვალდებულებების დასაფარად.

მეკავშირე მხარესთან გარიგებების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანია გარიგებებს აფორმებს მეკავშირე მხარეებთან. ფასს 9-ით მოითხოვება, რომ ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება მოხდეს მათი სამართლიანი ღირებულებით. შეფასება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგებების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებითაა შეფასებული თუ არა, სადაც ამგვარი გარიგებებისთვის მოქმედი ბაზარი არ არსებობს. შეფასების საფუძველია არამეკავშირე მხარეებთან

მსგავსი სახის გარიგებების ფასი და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. მეკავშირე მხარეებთან არსებული ნაშთების პირობები განმარტებულია შენიშვნაში 6.

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა. ძირითადი საშუალებების პუნქტების სარგებლიანობის ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სარგებლიანობის ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ჯგუფის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექმომსახურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

5. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

2021 წელს კომპანიამ გამოიყენა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები:

- ***ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა*** - მე-2 ფაზა (შესწორება სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16)

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ (ბასსს) გამოსცა „ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - მე-2 ფაზა (შესწორებები სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16)" ისეთ პრობლემებზე მიმართული შესწორებებით, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიონ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შემდეგ, ალტერნატიული ამოსავალი განაკვეთებით ჩანაცვლების ჩათვლით. შესწორებები ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

მე-2 ფაზის შესწორებების მიხედვით:

- როდესაც კომპანიის საბანკო სესხების საკონტრაქტო პირობები იცვლება და ახალ ვარიანტში გათვალისწინებულია ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა, ხოლო სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დასადგენი ახალი საფუძველი ეკონომიკურად შეესაბამება იმ საფუძველს, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ცვლილებამდე არსებულს, კომპანია პროსპექტიულად ცვლის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დადგენის საფუძველს და ამისათვის აკორექტირებს მოქმედ საპროცენტო განაკვეთს.
- თუ ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შედეგად მოხდა იჯარის მოდიფიცირება და საიჯარო გადახდების დასადგენი ახალი საფუძველი ეკონომიკურად შეესაბამება იმ საფუძველს, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ცვლილებამდე არსებულს, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, რათა ასახოს კორექტირებული და ახალი დისკონტირების განაკვეთით დისკონტირებული საიჯარო გადახდები, რომლებშიც გათვალისწინებულია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დასადგენი საფუძვლის ცვლილება.

აღნიშნული შესწორებების გამოყენება კომპანიას საშუალებას აძლევს, ბანკთაშორისი განაკვეთებიდან ალტერნატიულ ამოსავალ საპროცენტო განაკვეთებზე (იგივე „ურისკო განაკვეთები") გადასვლის ეფექტი ისე ასახოს აღრიცხვაში, რომ ამით არ გამოიწვიოს სააღრიცხვო ეფექტი, რაც არ მისცემდა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს მისთვის სასარგებლო ინფორმაციას. კომპანიას წინა პერიოდის გადაფასება არ გაუკეთებია. გარდა ამისა, არ მომხდარა შესწორებათა ეფექტის რეტროსპექტიული ასახვა ან ფინანსური ინფორმაციის მიზნებისათვის 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კაპიტალის შესაბამის კომპონენტებში კორექტირების აღიარება.

- *კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა* 2021 წლის 21 ივნისის შემდეგ (შესწორება სტანდარტში ფასს 16).

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ (ბასსს) გამოსცა „კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ (შესწორება სტანდარტში ფასს 16)", რომელიც ერთი წლით ახანგრძლივებს 2020 წლის მაისის შესწორების მოქმედებას. ამ შესწორებით მოიჯარეს უფლება ჰქონდა, თავად გადაეწყვიტა, იყო თუ არა კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია.

კომპანიის მმართველობამ განიხილა აღნიშნული სტანდარტები და ინტერპრეტაციები. მათი მოქმედება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე უმნიშვნელოა.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

ახალი ან რედაქტირებული სტანდარტი ან ინტერპრეტაცია	ძალაშია შემდეგ თარიღში ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის
ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები	1 იანვარი 2023
შესწორება სტანდარტში ფასს 4 - სადაზღვევო კონტრაქტები	1 იანვარი 2023
შესწორება სტანდარტში ბასს 1 - ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად (ფასს სტანდარტების გაუმჯობესების 2010-2012 წლების ციკლის ფორმულირების პროექტის ფარგლებში)	1 იანვარი 2023
სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება (შესწორება სტანდარტში ბასს 8)	1 იანვარი 2023
სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტება - (შესწორება სტანდარტში ბასს 1 და განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ)	1 იანვარი 2023
წლიური შესწორებები - ფასს სტანდარტების 2018-2020 წლების ციკლი: მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე (შესწორება სტანდარტში ფასს 3)	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 16 - ძირითადი საშუალებები - დაგეგმილ გამოყენებამდე მიღებული შემოსავალი	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები" – „მძიმე კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯი"	1 იანვარი 2022

შესწორებები სტანდარტში ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, ბასს 41 - სოფლის მეურნეობა და ბასს 16 - იჯარა სტანდარტზე დართული საილუსტრაციო მაგალითები	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 12 - ერთჯერადი ტრანზაქციიდან მიღებულ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი	1 იანვარი 2023
შესწორება სტანდარტებში ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის.	თარიღს დადგენს ბასსს

კომპანია არ მოელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების გამოყენებას მომავალ პერიოდებში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები

ახალი სტანდარტით დგინდება სადაზღვევო კონტრაქტების აღიარების, გაზომვის, განმარტებისა და წარმოდგენის პრინციპები. ის ფასს 4-ს - სადაზღვევო კონტრაქტებს ჩაანაცვლებს.

სტანდარტი იძლევა "ზოგად მოდელს", რომელიც მოდიფიცირდება და განიხილება ისეთი სადაზღვევო კონტრაქტებისათვის, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობას ითვალისწინებს, რაც "ცვლადი ანაზღაურების მიდგომად" განისაზღვრება. "ზოგადი მოდელი" მარტივდება "პრემიუმის განაწილების მიდგომის" გამოყენებით დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებათა შეფასების კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

"ზოგად მოდელში" გამოყენებულია მიმდინარე დაშვებები სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასთან, დროსა და განუსაზღვრელობასთან დაკავშირებით. მოდელი ცალცალკე აფასებს ამ განუსაზღვრელობის ღირებულებას; მოდელი ეფუძნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთებსა და პოლისის მფლობელის ოფციონებისა და გარანტიების ზეგავლენას.

ახალი სტანდარტი ძალაში შევა 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენების უფლება დაშვებულია. კომპანიამ ფასს 17 რეტროსპექტიულად უნდა გამოიყენოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეუძლებელია. ასეთ დროს გამოყენებული იქნება რეალური ღირებულების მიდგომა ან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომა. ფასს 17-ის შესწორებათა წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს განხორციელების იმ სირთულეების გადაჭრას, რომლებიც ფასს 17-ის გამოქვეყნების შემდეგ გაჩნდა. ამ თვალსაზრისით სტანდარტის ძალაში შესვლა გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე (დადგინდა 2021 წლის 1 იანვრიდან).

გარდამავალი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, პირველი გამოყენების თარიღია იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი, რომლის დროსაც პირი სტანდარტს პირველად გამოიყენებს, ხოლო გადასვლის თარიღად ითვლება იმ პერიოდის დასაწყისი, რომელიც უშუალოდ უსწრებს პირველი გამოყენების თარიღს.

კომპანიის მმართველობა არ ელის, რომ აღნიშნული სტანდარტის ამოქმედებას ზეგავლენა ექნება მომავალში კომპანიის შემოკლებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან კომპანიას არ აქვს ამ სტანდარტით რეგულირებადი ინსტრუმენტები.

შესწორებები სტანდარტში ფასს 17

შესწორებები სტანდარტში ფასს 17 შეიქმნა იმ გამოწვევებზე საპასუხოდ, რომლებიც გამოვლინდა 2017 წელს სტანდარტის ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტების გამოქვეყნების შემდეგ. შესწორებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

კომპანიის მმართველობა არ ელის, რომ აღნიშნული სტანდარტის ამოქმედებას ზეგავლენა ექნება მომავალში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ამგვარი ტრანზაქციების განხორციელების შემთხვევაში.

შესწორება სტანდარტებში ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის. შესწორებები სტანდარტებში ფასს 10 და ბასს 28 ეხება ისეთ სიტუაციებს, როდესაც ადგილი აქვს ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვას ან

შეწირვას. კერძოდ, შესწორებების მიხედვით, ისეთი მოგება ან ზარალი, რაც წარმოიშვება ისეთ შვილობილზე კონტროლის დაკარგვით, რომელიც არ მოიცავს ბიზნესს, თუ კონტროლის დაკარგვა მოხდა კაპიტალის მეთოდით აღრიცხულ პარტნიორთან ან ერთობლივ საწარმოსთან ტრანზაქციაში, დამფუძნებლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება მხოლოდ ამ პარტნიორსა თუ ერთობლივ საწარმოში არამეკავშირე ინვესტორის მიერ ფლობილი წილის პროპორციულად. ამგვარადვე, ყოფილ შვილობილში (რომელიც გახდა კაპიტალის მეთოდით აღრიცხული პარტნიორი ან ერთობლივი საწარმო) შენარჩუნებული ინვესტიციების რეალურ ღირებულებაზე გადაფასებიდან წარმოშობილი მოგება და ზარალი ყოფილი დამფუძნებლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება მხოლოდ ახალ პარტნიორსა თუ ერთობლივ საწარმოში არამეკავშირე ინვესტორის მიერ ფლობილი წილის პროპორციულად.

ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დადგენილა. თუმცა, ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. კომპანიის მმართველობა არ ელის, რომ აღნიშნული სტანდარტის ამოქმედებას ზეგავლენა ექნება მომავალში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ამგვარი ტრანზაქციების განხორციელების შემთხვევაში.

შესწორება სტანდარტში ბასს 1 - ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებად (ფასს სტანდარტების გაუმჯობესების 2010-2012 წლების ციკლის ფორმულირების პროექტის ფარგლებში). შესწორება პირს ეხმარება იმის დადგენაში, რომ ვალდებულება გრძელვადიანად კლასიფიცირდება, თუ ორგანიზაცია მოელის და აქვს იმის უფლებამოსილება, რომ მოახდენს ვალდებულების რეფინანსირებას ან მისი დაფარვის ვადას გადადებს სულ მცირე 12 თვით საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ეს მოხდება წინა გამსესხებელთან არსებული საკრედიტო ხაზით, იმავე ან მსგავსი პირობებით.

შესწორებით რედაქტირდება მხოლოდ ვალდებულებათა წარმოდგენის ფორმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანუ არა თანხის, აღიარების მომენტის ან ინფორმაციის განმარტების თვალსაზრისით.

შესწორება განმარტავს, რომ კლასიფიცირების საფუძვლად აღებული უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დაფარვის სულ მცირე 12 თვით გადადების უფლების არსებობა. ამდენად, შესწორება მკაფიოდ აღნიშნავს, რომ ვალდებულების კლასიფიკაციაზე მოქმედებს მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც არსებობს „საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს". გარდა ამისა, კლასიფიკაცია არაა დამოკიდებული იმის მოლოდინზე, გამოიყენებს თუ არა ორგანიზაცია ვალდებულების დაფარვის გადავადების უფლებას, რაშიც მოიაზრება კონტრაგენტისათვის სახსრების, კაპიტალის ინსტრუმენტების თუ სხვა აქტივების ან მომსახურებების გადაცემა. შესწორება რეტროსპექტიულად ვრცელდება 2023 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებულ პერიოდებზე. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

კომპანიის მმართველობა არ ელის, რომ აღნიშნული შესწორებების ამოქმედებას ზეგავლენა ექნება მომავალ პერიოდებში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორება სტანდარტში ბასს 8 - სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება

ცვლილებები სტანდარტში ბასს 8 მთლიანად ეთმობა სააღრიცხვო შეფასებებს და განმარტავს შემდეგს:

- სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილების განსაზღვრება ჩანაცვლდა სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრებით.
- პირი სააღრიცხვო შეფასებას შეიმუშავებს, თუ სააღრიცხვო პოლიტიკით აუცილებელია ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ერთეულების ისეთი შეფასება, რომელშიც შეფასების განუსაზღვრელობაა ჩადებული.
- საბჭოს განმარტებით, სააღრიცხვო შეფასებათა ისეთი ცვლილება, რომელიც წარმოიშვება ახალი ინფორმაციის ან ახალი ხდომილებების შედეგად, შეცდომის კორექტირება არაა.
- სააღრიცხვო შეფასების ცვლილება მოქმედებს მხოლოდ მიმდინარე პერიოდის მოგებაზე ან ზარალზე ან როგორც მიმდინარე პერიოდის, აგრეთვე მომავალი პერიოდების მოგებაზე ან ზარალზე.

შესწორებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და ვრცელდება სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებზე და სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებზე, რომლებსაც ადგილი აქვს ამ პერიოდის დასაწყისში ან დაწყების შემდეგ. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტება (შესწორება სტანდარტებში ბასს 1 და განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ)

სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტების (შესწორება სტანდარტებში ბასს 1 და განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ) მიზანია სტანდარტის ბასს 1 რედაქტირება შემდეგნაირად:

- პირი ახლა ვალდებულია, განმარტოს ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, ნაცვლად ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკებისა.
- დამატებულია რამდენიმე პარაგრაფი, რომლებიც განმარტავს, როგორ უნდა დაადგინოს პირმა, რომელია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და მაგალითით გვიჩვენებს, თუ როდისაა სავარაუდო, სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია იყოს არსებითი ხასიათის.
- სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია შეიზლება არსებითი იყოს თავისი ბუნებიდან გამომდინარე, თუნდაც თანხები უმნიშვნელო იყოს.
- სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არსებითია, თუ პირის ფინანსური ანგარიშის მომხმარებელს იგი ესაჭიროება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული სხვა არსებითი ინფორმაციის გასაგებად; და
- თუ პირმა განმარტა არაარსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, ამ ინფორმაციამ არ უნდა გააძნელოს არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის წარმოჩენა.

გარდა ამისა, შესწორდა განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ. მას დაემატა სახელმძღვანელო პრინციპები და მაგალითები, რომლებიც გვიჩვენებს ბასს 1-ის შესწორებათა მხარდასაჭერად სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციაზე „არსებითობის ოთხნაბიჯიანი პროცესის" გამოყენებას.

შესწორებები მოქმედებს პროსპექტიულად. სტანდარტის ბასს 1 შესწორებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის. თუ პირმა გამოიყენა შესწორება სტანდარტში ბასს 1, მას აგრეთვე უფლება აქვს, გამოიყენოს შესწორებები განცხადებაში 2 ფასს პრაქტიკის შესახებ.

წლიური შესწორებები - ფასს სტანდარტების 2018-2021 წლების ციკლი. ციკლი მოიცავს შესწორებებს სამ სტანდარტში, აგრეთვე, ყოველწლიურ შესწორებებს, რომლებიც განმარტავს ფორმულირებებს, აღმოფხვრის მცირე უზუსტობებს, გამოტოვებულ ინფორმაციას ან სტანდარტებში მოცემულ მოთხოვნებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს.

- **შესწორებები სტანდარტში ფასს 3 - ბიზნეს-კომბინაციები.** აღნიშნული შესწორება მიზნად ისახავს ფასს 3 სტანდარტში ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოზე მოძველებული მითითების განახლებას ბიზნეს კომბინაციების სააღრიცხვო მოთხოვნების ცვლილების გარეშე.

- **შესწორება სტანდარტში ბასს 16 - ძირითადი საშუალებები.** შესწორება კრძალავს ძირითადი საშუალების თვითღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოკლებას, რომელიც მიღებულია ისეთ პერიოდში ნაწარმოები პროდუქციის გაყიდვით, როდესაც ხდებოდა მოცემული აქტივის მენეჯმენტის მიერ დაგეგმილი ოპერირებისათვის გამზადების პროცესში. ამის ნაცვლად, პირი ვალდებულია, გაყიდვით მიღებული შემოსავალი და შესაბამისი ხარჯები აღიაროს მოგებაში ან ზარალში.

- **შესწორება სტანდარტში ბასს** 37 **„რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები"** ადგენს იმ ხარჯებს, რომლებიც უნდა შევიდეს კონტრაქტის მოგებიანობის დადგენის პროცესში.

- წლიური შესწორებები მოიცავს მცირე ცვლილებებს სტანდარტებში ფასს 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თავდაპირველი გამოყენება", ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები", ბასს 41 „სოფლის მეურნეობა" და სტანდარტზე ფასს 16 „იჯარები" დართული საილუსტრაციო მაგალითები. ყველა შესწორება ძალაშია 2022 წლის 1 იანვრისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართული არაა.

კომპანიის მმართველობა არ მოელის, რომ ამ შესწორებათა ამოქმედება ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე მომავალ პერიოდებში, თუ ამგვარი ტრანზაქციები განხორციელდა.

6. ნაშთები და ტრანზაქციები მეკავშირე მხარეებთან

მხარეები მეკავშირედ ითვლებიან, თუ ისინი იმყოფებიან ერთობლივ კონტროლქვეშ ან რომელიმე მათგანს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე, ან იქონიოს მნიშვნელოვანი ზეგავლენა, ან ერთობლივად გააკონტროლოს მეორე მხარე ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებში. თითოეული ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მეკავშირე მხარეებთან არსებული ნაშთები იყო:

ქართულ ლარში	შენიშვნა	ძირითადი აქციონერი	სხვა აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ
სხვა მოთხოვნები		-	-	18,276
აღებული სესხები	12	-	142,839,351	-
მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები		318,624	-	-

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მეკავშირე მხარეებთან არსებული ნაშთები იყო:

ქართულ ლარში	შენიშვნა	ძირითადი აქციონერი	სხვა აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ
სხვა მოთხოვნები		-	-	19,332
აღებული სესხები	12	828,351	161,410,600	-
მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები		292,804	-	-

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს მეკავშირე მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯების პუნქტები იყო:

ქართულ ლარში	შენიშვნა	ძირითადი აქციონერი	სხვა აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ
სხვა შემოსავალი				193,185
მომსახურების ხარჯები	15	674,111		
ფინანსური ხარჯები	12	40,507	7,657,610	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		7,303	-	-

სხვა შემოსავალი მიიღება შპს „ტბასაოს" მიწოდებული ზოგადი და ადმინისტრაციული მომსახურებიდან. მომსახურების ხარჯებში შედის „აკაფის" მიერ დარიცხული მართვის გადასახადი კომპანიისათვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურებისათვის.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს მეკავშირე მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯების პუნქტები იყო:

ქართულ ლარში	შენიშვნა	ძირითადი აქციონერი	სხვა აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ
სხვა შემოსავალი				194,401
მომსახურების ხარჯები		646,215		
საპროცენტო ხარჯი	12	40,833	10,532,393	-

ქართულ ლარში	შენიშვნა	ძირითადი აქციონერი	სხვა აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ
სხვა საოპერაციო ხარჯები		21,127	-	-

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება. უმაღლესი ხელმძღვანელობა მოიცავს კომპანიის გენერალურ მენეჯერს და კომერციულ დირექტორს.

ქვემოთ წარმოდგენილია უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება:

	2021		2020	
ქართულში	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება
მოგების დანი ბენეფიტები:				
- ხელფასები	1,019,111	-	1,735,969	186,076
- მოგების დანი ბონუსები	364,607	12,986	177,993	26,699
სულ	**1,383,718**	**12,986**	**1,913,962**	**212,775**

7. ძირითადი საშუალებები

ქარულლარში	მიწა და შენობა ნაგებობები	ტრანსფორმატორები, გენერატორები და ჰესთან დაკავშირებული ტექნიკა	გადამცემი ხაზები და შესაბამისი ტექნიკა	ინფრასტრუქტურული აქტივები	მანქანა-დანადგარები	აქსესუარები და სხვა მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	დამონტაჟებელი მოწყობილობები	სულ
თვითღირებულება									
1 იანვარი 2020	208,906,814	82,550,409	12,679,377	2,077,761	1,053,214	294,033	539,135	551,760	**308,652,503**
დამატება	2,207	-	-	-	-	11,793	-	-	**14,000**
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-	-	-	**-**
31 დეკემბერი 2020	**208,909,021**	**82,550,409**	**12,679,377**	**2,077,761**	**1,053,214**	**305,826**	**539,135**	**551,760**	**308,666,503**
დამატება	-	-	-	-	2,373	10,242	-	3,243	**15,858**
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-	(372,317)	-	**(372,317)**
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	(36,865)	-	**(36,865)**
31 დეკემბერი 2021	**208,909,021**	**82,550,409**	**12,679,377**	**2,077,761**	**1,055,587**	**316,068**	**129,953**	**555,003**	**308,273,179**
დაგროვილი ცვეთა									
1 იანვარი 2020	(21,944,053)	(28,890,602)	(1,331,388)	(949,923)	(876,666)	(208,917)	(511,094)	-	**(54,712,643)**
ცვეთის დარიცხვა	(4,180,670)	(5,503,360)	(253,587)	(105,615)	(92,777)	(41,855)	(18,363)	-	**(10,196,227)**
31 დეკემბერი 2020	**(26,124,723)**	**(34,393,962)**	**(1,584,975)**	**(1,055,538)**	**(969,443)**	**(250,772)**	**(529,457)**	**-**	**(64,908,870)**
ცვეთის დარიცხვა	(4,180,756)	(5,503,360)	(253,587)	(105,615)	(63,965)	(40,682)	(6,023)	-	**(10,153,988)**
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	-	-	-	-	-	372,317	-	**372,317**
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	33,210	-	**33,210**
31 დეკემბერი 2021	**(30,305,479)**	**(39,897,322)**	**(1,838,562)**	**(1,161,153)**	**(1,033,408)**	**(291,454)**	**(129,953)**	**-**	**(74,657,331)**
საბალანსოღირებულება									
31 დეკემბერი 2020	**182,784,298**	**48,156,447**	**11,094,402**	**1,022,223**	**83,771**	**55,054**	**9,678**	**551,760**	**243,757,633**
31 დეკემბერი 2021	**178,603,542**	**42,653,087**	**10,840,815**	**916,608**	**22,179**	**24,614**	**-**	**555,003**	**233,615,848**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა ინფრასტრუქტურული აქტივებისა და დაუმონტაჟებელი მოწყობილობებისა, შპს "საქართველო - ურბან ენერჯის" ძირითადი საშუალებების უდიდესი ნაწილი დატვირთული იყო გირაოთი ერგბ-ისა და სსკ-ის სესხების უზრუნველსაყოფად (შენიშვნა 12).

დაუმონტაჟებელი მოწყობილობები მოიცავს სათადარიგო ტრანსფორმატორებსა და ჰეს-ების მოწყობილობათა სხვა ნაწილებს, რომლებიც აუცილებელია მსხვილი სარემონტო სამუშაოებისათვის.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გაცვეთილმა აქტივებმა შეადგინა 1,394,089 ლარი და 1,065,693 ლარი, შესაბამისად.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	3,406,496	3,732,022
სხვა მოთხოვნები	18,276	22,016
სულ ფინანსური მოთხოვნები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ფარგლებში	**3,424,772**	**3,754,038**
წინასწარ გადახდილი გადასახადები	205,146	139,885
წინასწარ გადახდილი ხარჯები	42,593	42,794
თანამშრომლებზე გაცემული ავანსები	212	111
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**3,672,723**	**3,936,828**

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი წარმოშობილია ადგილობრივი ბაზრის ოპერატორ ს.ს. "ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორზე" ელექტროენერგიის მიყიდვით.

გაყიდვებზე საშუალო საკრედიტო პერიოდია 30 დღე. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

9. საბანკო დეპოზიტები

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
დეპოზიტები ბანკში	6,659,840	3,931,920
დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები ბანკში	4,675	3,115
სულ ფული და საბანკო ნაშთები	**6,664,515**	**3,935,035**

კომპანიამ ჭარბი რაოდენობის ფული განათავსა დეპოზიტებზე „თიბისი ბანკში" და „იშბანკ საქართველოში". ამ დეპოზიტების ვადიანობა მერყეობს 120-162 დღეებს შორის, რომელთა დაფარვის ვადაა 2022 წლის 27 აპრილი. იმის გამო, რომ დეპოზიტის ვადა 90 დღეზე მეტია, იგი არ არის კლასიფიცირებული, როგორც ფულის ექვივალენტი. დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი მერყეობს წლიურ 0.85-1.20% შორის (2020: 2-2.2% წლიურად). დეპოზიტები დენომინირებულია აშშ დოლარში.

10. ფული და ფულის ექვივალენტები

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	1,451,345	1,550,206
ნაღდი ფული	-	10,779
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**1,451,345**	**1,560,985**

მთელი ფული და ფულის ექვივალენტები კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე და არ არის

გაუფასურებული. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,052,663 ლარის ეკვივალენტი (2020 წლის 31 დეკემბერი: 1,147,087 ლარი) იყო აშშ დოლარში.

კომპანიის ლარში დენომინირებული მიმდინარე ანგარიშებისთვის წლიური საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 0% -დან 8.5% -მდე, ხოლო 0%-დან 0.84%-მდე - აშშ დოლარში დენომინირებული მიმდინარე ანგარიშებისთვის.

11. საწესდებო კაპიტალი

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქციონერების მიერ შეტანილი კაპიტალი აქციების გამოშვების გარდა	123,638,980	123,638,980
სულ შეტანილი კაპიტალი	**123,638,980**	**123,638,980**

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უფლებამოსილმა და სრულად შემოწირულმა საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 123,638,980 ლარი, რომელიც მოიცავს „ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარი ანონიმ სირკეტისა" და ერგბ-ის მიერ განხორციელებულ შენატანებს 115,333,480 ლარისა და 8,305,500 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

12. აღებული სესხები

	31 დეკემბერი 2021		31 დეკემბერი 2020	
ქართულ ლარში	მიმდინარე ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები	მიმდინარე ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები
გრძელვადიანი სესხები - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ერგბ) - შენიშვნა 6	11,536,010	131,303,341	10,550,907	150,859,693
გრძელვადიანი სესხები - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (სსკ)	9,370,873	107,430,006	8,559,820	123,430,658
საკრედიტო ხაზი - იშბანკ თურქი	18,702,460	-	-	-
საკრედიტო ხაზი - იშბანკ საქართველო	12,471,871	-	-	-
საკრედიტო ხაზი - „საქართველოს ბანკი"	-	-	33,033,065	-
ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარ ა.ს	-	-	828,351	-
სულ აღებული სესხები	**52,081,214**	**238,733,347**	**52,972,143**	**274,290,351**

2011 წლის 22 ივნისს, კომპანიამ, ერგბ-მა და სსკ-მ ხელი მოაწერეს დაფინანსების ზოგადი პირობების ხელშეკრულებას ფარავნის ჰესის მშენებლობის, დასრულებისა და ექსპლუატაციაში შეყვანის (''პროექტი'') და პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა დანახარჯის დასაფინანსებლად. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ერგბ და სსკ დათანხმდნენ, კომპანიისათვის სესხის სახით გადაეცათ, შესაბამისად, 63,500,000 აშშ დოლარი და 52,000,000 აშშ დოლარი.

კომპანიამ სესხის ძირითადი თანხის დაფარვა დაიწყო 2015 წლის ოქტომბერში.

2017 წლის 12 აპრილს ხელი მოეწერა ცვლილებების შესახებ შეთანხმებას გარკვეული დაფინანსების ხელშეკრულებებთან დაკავშირებით „ანადოლუ ენდუსტრი ჰოლდინგ ა.ს-ს", „ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარ ა.ს-ს, ერგბ-სა და სსკ-ს შორის. ცვლილების თანახმად, კოპანია ძირითად თანხას დაფარავს გახანგრძლივებული ვადის განმავლობაში 2029 წლის ოქტომბრამდე, 2026 წლის აპრილის ნაცვლად, როგორც ეს თავდაპირველად იყო შეთანხმებული. სსკ-ის სესხებზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ზღვრული 5%-ისა და წლიური ლონდონის ბანკთაშორისი შეთავაზებული განაკვეთის

(LIBOR) ჯამით. ერგბ-ის სესხებზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ზღვრული 5%-ისა და პერიოდის

ბანკთაშორისი განაკვეთის ჯამით და კორექტირდება ბაზარზე არსებული ნებისმიერი შეფერხებით გამოწვეული ეფექტით. საპროცენტო განაკვეთის ზღვრული ნაწილი გაიზრდება 5.35%-მდე 2020 წლის 22 ივნისიდან (22 ივნისის ჩათვლით).

2017 დ. 2018 წლების 15 ოქტომბერს კომპანიამ განახორციელა უფროსი კრედიტორების სესხის ძირითადი კრედიტის სავალდებულო წინსწრებით დაფარვა (ჭარბი ფული - სავალდებულო წინსწრებით დაფარვა) ჯამში 86,246 აშშ დოლარისა და 919,748 აშშ დოლარის ოდენობით, შესაბამისად, 2017 წლის 12 აპრილს გაფორმებული ცვლილების ხელშეკრულების მიხედვით.

2020 წლის 13 ოქტომბერს ხელმოწერილი შესწორებათა წერილის მიხედვით, მსესხებელი და უფროსი გამსესხებლები შეთანხმდნენ, შესწორება შეიტანონ პროცენტის გადახდის თარიღებში, რომლებიც გათვალისწინებულია თავდაპირველი დაფინანსების ზოგადი ხელშეკრულებით, ერგბ-თან თავდაპირველი სასესხო ხელშეკრულებით და სსკ-თან თავდაპირველი სასესხო ხელშეკრულებით და ყოველწლიურად 15 აპრილისა და 15 ოქტომბრის ნაცვლად გადახდა მოხდეს ყოველი წლის 30 აპრილს და 30 ოქტომბერს. ახალი თარიღები ძალაშია 2020 წლის ოქტომბრიდან და სრულდება პროცენტის გადახდის თარიღით, რომელიც 2029 წლის აპრილში დადგება.

2020 წლის 18 დეკემბერს ხელმოწერილი შესწორებათა წერილის მიხედვით, მსესხებელი და უფროსი გამსესხებლები შეთანხმდნენ, შესწორება შეიტანონ ერგბ-ისა და სსკ-ის თითოეული სესხის მარჟაში და 2020 წლის 18 დეკემბრიდან, რომელიც ითვლება მარჟის შემცირების ძალაში შესვლის თარიღად, იგი შეამცირონ წლიურ ოთხ მთელ, ოცდახუთ მეასედ პროცენტამდე (4.25%).

აღნიშნულმა შესწორებებმა მოდიფიკაციის გზით განაპირობა 15,128,449 ლარის მოგების აღიარება, რაც შესაბამისად აღიარდა 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშებაში.

2021 წლის 28 აპრილსა და 27 ოქტომბერს კომპანიამ განახორციელა სავალდებულო წინასწარი გადახდა (ჭარბი ფული - სავალდებულო წინასწარი გადახდა) უფროსი გამსესხებლის სესხის ძირ თანხაზე 16,200 აშშ დოლარისა და 716,705 აშშ დოლარის ოდენობით, შესაბამისად, რაც მოხდა 2017 წლის 12 აპრილს ხელმოწერილი შესწორებათა შეთანხმების მიხედვით.

2021 წლის 10 ნოემბერს კომპანიამ სს „იშბანკ თურქეთთან" ხელი მოაწერა ხელშეკრულებას საბანკო სესხის თაობაზე 6,000,000 აშშ დოლარის (18,585,600 ლარი) ოდენობით, ხოლო 2021 წლის 11 ნოემბერს - სს „იშბანკ საქართველოსთან" 4,000,000 აშშ დოლარის (12,390,400 ლარი) ოდენობით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ სრულად აითვისა მოცემული საკრედიტო თანხა სს „საქართველოს ბანკის" სესხის დაფარვაში, 10,000,000 აშშ დოლარის (30,976,000 ლარი) ოდენობით. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 4.5%-სა და 4.8%-ს შესაბამისად. სესხის ვადა 1 წელია. პროცენტის გადახდა ხდება ყოველ ექვს თვეში, ხოლო ძირი თანხა - სესხის ვადის გასვლის დღეს.

2021 წლის 11 ოქტომბერს კომპანიამ განაახლა „აკაფთან" 2019 წლის 11 ოქტომბერს ხელმოწერილი მოკლევადიანი სესხის ხელშეკრულება 250,000 აშშ დოლარის ოდენობით. სესხი 2021 წლის 27 ოქტომბერს სრულად დაიფარა.

აღებული სესხების მოძრაობა 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში იყო:

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

ქართულ ლარში	ერგბ	სსკ	იშბანკ თურქეთი	იშბანკ საქართველო	საქართველოს ბანკი	AKAF	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2021	161,410,600	131,990,478	-	-	33,033,065	828,351	327,262,494
დანამატები წლის განმავლობაში	-	-	18,942,600	12,596,800	-	-	31,539,400
პროცენტი წლის განმავლობაში (შენიშვნა 21)	7,657,610	6,271,484	116,699	81,363	1,667,231	33,217	15,827,604
გადახდილი პროცენტი	(7,773,832)	(6,366,990)	-	-	(1,956,223)	(40,847)	(16,137,892)
გადახდილი ძირი თანხა	(10,261,724)	(8,403,304)	-	-	(31,492,000)	(785,700)	(50,942,728)
ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული მოგება, წმინდა	(8,193,303)	(6,690,789)	(356,839)	(206,292)	(1,252,073)	(35,021)	(16,734,317)
31 დეკემბერი 2021	**142,839,351**	**116,800,879**	**18,702,460**	**12,471,871**	**-**	**-**	**290,814,561**

აღებული სესხების მოძრაობა 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში იყო:

ქართულ ლარში	ერგბ	სსკ	თიბისი ბანკი	საქართველოს ბანკი	AKAF	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2021	**155,908,161**	**127,496,643**	**28,937,591**	**-**	**724,978**	**313,067,373**
დანამატები წლის განმავლობაში	-	-	-	32,863,000	2,861,460	35,724,460
პროცენტი წლის განმავლობაში (შენიშვნა 20)	10,532,393	8,627,335	1,677,985	268,298	40,833	21,146,844
გადახდილი პროცენტი	(11,849,542)	(9,705,856)	(2,031,714)	-	(41,847)	(23,628,959)
გადახდილი ძირი თანხა	(6,270,796)	(5,135,138)	(32,914,000)	-	(2,881,260)	(47,201,194)
მოდიფიკაციის ეფექტი	(8,320,647)	(6,807,802)	-	-	-	(15,128,449)
ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული ზარალი, წმინდა	21,411,031	17,515,296	4,330,138	(98,233)	124,187	43,282,419
31 დეკემბერი 2021	**161,410,600**	**131,990,478**	**-**	**33,033,065**	**828,351**	**327,262,494**

მიმდინარე აღებული სესხების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებასთან მიახლოებულია. სამართლიანი ღირებულებები ეფუძნება საშუალო განაკვეთით გაანგარიშებული განაკვეთით 4.4% (2020: 6%) დისკონტირებულ ფულად ნაკადებს და წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეორე დონეს.

13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გადასახდელები მომწოდებლების მიმართ	408,087	379,916
დარიცხული თანამშრომელთა ბენეფიტები	10,700	173,787
დარიცხული ხარჯები	118,132	104,707
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**536,919**	**658,410**

14. შემოსავალი

ქართულ ლარში	2021	2020
ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე	46,341,512	42,685,247
სულ შემოსავალი	**46,341,512**	**42,685,247**

15. მომსახურების ხარჯები

ქართულ ლარში	2021	2020
მართვის საფასური	674,111	646,215
დაზღვევის ხარჯები	557,000	520,864
ინფორმაცია, კონსულტაცია და სხვა პროფესიული ხარჯები	377,119	439,768
უსაფრთხოების ხარჯები	150,508	150,508
ტრანსპორტის ხარჯები	65,578	65,578
დისპეტჩერიზაციის, გადაცემისა და ელექტროენერგიის გაყიდვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	63,669	63,307
სხვა ხარჯები	4,357	6,849
სულ მომსახურების ხარჯები	**1,892,342**	**1,893,089**

16. პერსონალის ხარჯები

ქართულ ლარში	2021	2020
ხელფასები	3,170,717	3,727,444
თანამშრომელთა კვების ხარჯები	98,697	95,556
სადაზღვევო ხარჯები	31,424	34,082
თანამშრომელთა ტრენინგის ხარჯები	8,700	12,457
სულ პერსონალის ხარჯები	**3,309,538**	**3,869,539**

17. საგადასახადო ხარჯი

ქართულ ლარში	2021	2020
ქონების და მიწის გადასახადი	2,275,358	2,373,614
სხვა გადასახადები	3,403	3,860
სულ საგადასახადო ხარჯი	**2,278,761**	**2,377,474**

18. სხვა საოპერაციო ხარჯები

ქართულ ლარში	2021	2020
რემონტის ხარჯები	255,136	111,774
ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის რეგულირების ხარჯი	92,683	85,370
ავტომანქანისა და საწვავის ხარჯები	61,621	62,918
კომუნალური ხარჯები	43,743	21,537
კავშირგაბმულობის ხარჯები	19,219	19,384
ისტ ლიცენზიის ხარჯები	15,141	33,381
საოფისე ხარჯები	12,586	21,604
მარაგების მოძველება და ჩამოწერა ხარჯები	3,816	-
მივლინების ხარჯები	2,820	5,012
საქველმოქმედო ხარჯები	2,566	1,718
მასალების ხარჯები	1,021	2,653
სხვა ხარჯები	22,725	28,941
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**533,077**	**394,292**

19. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები

ქართულ ლარში	2021	2020
ძირითადი საშუალებების ცვეთა	10,153,988	10,196,227
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	16,787	17,016
გამოყენების უფლების მატარებელი აქტივების ცვეთა	155,333	116,394
სულ ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	**10,326,108**	**10,329,637**

20. ფინანსური შემოსავალი

ქართულ ლარში	2021	2020
საპროცენტო შემოსავალი	156,896	165,703
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება წმინდა	16,733,328	-
სულ ფინანსური შემოსავალი	**16,890,224**	**165,703**

21. ფინანსური ხარჯები

ქართულ ლარში	2021	2020
საპროცენტო ხარჯები (შენიშვნა 12)	15,827,604	21,146,844
მოდიფიკაციის ეფექტი (შენიშვნა 3)	-	(15,128,449)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	38,061	18,400
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა	-	41,903,636
ბანკის საკომისიო	85,135	3,815
სხვა ფინანსური ხარჯები	231,625	220,039
სულ ფინანსური ხარჯები	**16,182,425**	**48,164,285**

სხვა ფინანსურ ხარჯებში შედის: ბანკების საკონსულტაციო კომპანიის მიერ გაწეული ფულადი სახსრების გადარიცხვის მონიტორინგის მომსახურების ღირებულება 152,396 ლარის ოდენობით (2020: 148,075 ლარი); მმართველობის საფასური 64,169 ლარის ოდენობით (2020: 63,988 ლარი), რომელიც გადახდილია სსკ-თვის 2011 წლის 20 სექტემბრით დათარიღებული აქციონერთა შეთანხმების საფუძველზე; და სესხებთან დაკავშირებული სხვა იურიდიული და ადმინისტრაციული ხარჯები 15,060 ლარის ოდენობით (2020: 7,976 ლარი).

22. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებით, დასკვნებითა და სასამართლოს გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, ურთიერთსაწინააღმდეგო და მრავალგვარი ინტერპრეტაციის პოტენციალით იმის მიხედვით, თუ მას რომელი საგადასახადო ორგანო განმარტავს. ხშირად ადგილი აქვს საგადასახადო შემოწმებას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციის მხრიდან, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება, კომპანიებს დააკისრონ მძიმე ჯარიმები და პროცენტები. საგადასახადო წელი შეიძლება შემოწმდეს სამი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, ზოგ შემთხვევაში კი - უფრო დიდი ხნის მანძილზეც.

ამ პირობებიდან გამომდინარე საქართველოში შეიძლება გაჩნდეს ისეთი საგადასახადო რისკები, რომლებიც არსებითად უფრო მძიმე იქნება, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მას დაფარული აქვს საგადასახადო ვალდებულებები შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური დასკვნებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების მისეული ინტერპრეტაციიდან გამომდინარე. თუმცა, სხვა ორგანოთა ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავებული აღმოჩნდეს და თუ ორგანოებმა თავისი ინტერპრეტაციით მუშაობა შეძლეს, ამის ეფექტი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება მნიშვნელოვანიც აღმოჩნდეს. 2017 წლის 21 თებერვალს საქართველოს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა კომპანიას მიაწოდა ორდერი #4187, რის შედეგადაც, 2014 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე კომპანიის ფინანსურ ინფორმაციას ჩაუტარდა საგადასახადო აუდიტი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დღისათვის ეს პერიოდები დაიხურა და შემოწმებას აღარ ექვემდებარება.

საქართველოს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2021 წლის 25 მარტის ბრძანება M8628 თანახმად, სამსახურმა წამოიწყო კომპანიის კონტროლირებული ტრანზაქციების სამაგიდო აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 1 იანვრისან 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს.

2021 წლის 30 დეკემბერს კომპანიამ მიიღო გადასახადის დაკისრების შუალედური აქტი. აღნიშნული აქტი ეხება კომპანიის საქმიანობას 2018 და 2019 წლებში. დამატებითმა გადასახადმა და ჯარიმებმა მთლიანად 684,784 ლარი შეადგინა.

კომპანია არ ეთანხმება აქტში მოცემულ გადასახადის დარიცხვას, ისევე როგორც საგადასახადო მოთხოვნის დოკუმენტში ნაჩვენებ დამატებით თანხებს. 2022 წლის 26 იანვარს კომპანიამ შემოსავლების სამსახურში გაასაჩივრა აქტი და მოითხოვა ბრძანების გაუქმება. შედეგად, საგადასახადო ორგანოებმა დაასკვნეს, რომ საქმე ხელახლა უნდა იქნას განხილული, ხოლო აპელაციაში წარმოდგენილი არგუმენტების დამამტკიცებელი დოკუმენტები უნდა შემოწმდეს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისათვის შემოსავლების სამსახურს შემოწმების პროცესი არ დაუსრულებია.

სამართლებრივი დავები. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ დავაში. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიას არ ეკისრება რაიმე არსებითი სახის დაურიცხავი ზარალი და შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვი არ შეუქმნია.

გარემოს დაცვა. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ახლახანს დაიწყო და სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან აღსრულების პრაქტიკა მუდმივად იცვლება. კომპანია პერიოდულად ამოწმებს გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვის მხარეს. ვალდებულებათა დადგენისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას არსებული რეგულაციების აგრეთვე სამოქალაქო პროცესებისა თუ კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, სარწმუნოდ არ იზომება, თუმცა, შეიძლება მნიშვნელოვანიც აღმოჩნდეს. არსებულ აღსრულების გარემოში, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მიყენებული ეკოლოგიური ზიანით გამოწვეული მნიშვნელოვანი ვალდებულებები არ გააჩნია.

საინვესტიციო ვალდებულებები. 2007 წლის 29 მაისს კომპანიამ და საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, მდინარე ფარავანზე 85 მეგავატიანი ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობის თაობაზე.

აღნიშნული მემორანდუმის მიხედვით, კომპანია ვალდებულია, ზამთრის სამი თვის (დეკემბერი-თებერვალი) განმავლობაში გენერირებული ელექტროენერგია ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორს მიყიდოს მინიმალურ გარანტირებულ ფასად 4.7 აშშ ცენტი/კილოვატსაათი.

მემორანდუმის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ (სანამ კომპანია მთლიანად არ ამოიღებს მემორანდუმის ფარგლებში ჩადებულ ინვესტიციას, მაგრამ არა უმეტეს 15 წლის განმავლობაში ჰესის მშენებლობის შეკვეთიდან), ზემოაღნიშნული შეზღუდვები მოიხსნება და კომპანიას უფლება ექნება, თავისუფლად გაყიდოს ან/და ექსპორტზე გაიტანოს მის მიერ გენერირებული მთელი ელექტროენერგია თავისსავე პირობებზე და მესამე მხარეებსა და ქვეყნებში.

2020 წლის 28 თებერვალს კომპანიამ ხელი მოაწერა 2009 წლის 27 მაისს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის დამატებას, რომლითაც კომპანიამ აიღო ვალდებულება, 2021-2024 წლებში გაეყიდა მთლიანი ფაქტობრივად გენერირებული ელექტროენერგია ექსკლუზიურად ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისთვის.

საანგარიშო თარიღის მდგომარეობით, კომპანია სრულად აკმაყოფილებდა აღნიშნულ საინვესტიციო ვალდებულებებს.

ფინანსური პირობების დაცვა. კომპანიას ეკისრება გარკვეული ფინანსური პირობები, რომლებიც პირველ რიგში დაკავშირებულია ერგბ-სა და სსკ-გან აღებულ საბანკო სესხთან. ამ პირობების დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისათვის უარყოფითი შედეგების დადგომა, მათ შორის აღებული სესხის ღირებულების გაზრდა და დეფოლტის გამოცხადება (შენიშვნა 12). საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანიას ყველა პირობა შესრულებული აქვს.

23. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია რისკებს განიხილავს ფინანსური (საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო, ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის), გეოგრაფიული და სამართლებრივი რისკების ჭრილში. კომპანიის ფინანსური რისკის მართვის უმთავრესი ამოცანაა რისკის საზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკდამოკიდებულება ამ ფარგლებში შენარჩუნდეს. კომპანია ამჟამად მუშაობს მისი ფინანსური და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციების შემუშავებაზე. კომპანიაში ამჟამად არსებული პრაქტიკა, მათ შორის, მოწილე კომპანიის მხრიდან განხორციელებული ზედამხედველობა და ახალი ინიციატივები, მიზნად ისახავს ისეთი შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებს ფინანსურ და სამართლებრივ რისკებს მიმდინარე და სამომავლო პერიოდებში.

საკრედიტო რისკი. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთერთი მხარე, ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე, გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. საკრედიტო რისკდამოკიდებულება წარმოიშობა კომპანიის საქონლის საკრედიტო პირობებით გაყიდვიდან და კონტრაგენტებთან ფინანსური აქტივების უზრუნველმყოფი სხვა ტრანზაქციებიდან.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება აქტივების კლასის მიხედვით ასეთია:

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 8)	3,424,772	3,754,038
დეპოზიტები ბანკებში (შენიშვნა 9)	6,664,515	3,935,035
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 10)	1,451,345	1,550,206
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება	**11,540,632**	**9,239,279**

გეოგრაფიული რისკი. კომპანიის აქტივები განთავსებულია საქართველოში და მისი ბიზნეს-გეგმები კრიტიკულადაა დამოკიდებული ქვეყანაში სტაბილურობასა და კანონის უზენაესობაზე. საქართველო კვლავაც ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს. როგორც ასეთი, კომპანიაზე აისახება ქვეყნის შიგნით საქმიანი თუ სამართლებრივი სფეროს ნებისმიერი უარყოფითი ცვლილება.

საბაზრო რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები ძირითადად დაკავშირებულია ღია სავალუტო პოზიციებთან, რომლებზეც ბაზრის ზოგადი და სპეციფიური მოძრაობის ეფექტი ვრცელდება. დირექტორთა საბჭო ადგენს რისკის მისაღებ დონეს და შემდეგ თავის შეხედულებისამებრ უწევს მას მონიტორინგს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ აღმოფხვრის მისაღებ დონეზე მეტი ზარალის შემთხვევებს შედარებით მნიშვნელოვანი უარყოფითი საბაზრო ცვლილებების პირობებში.

საბაზრო რისკების მიმართ ქვემოთ მოცემული მგრძნობიარობა ეფუძნება ერთი ფაქტორის ცვლილებას სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ამგვარი მდგომარეობა ნაკლებად სავარაუდოა და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება შეიძლება ერთმანეთთან კორელაციაში იყოს. ასეთია, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება და ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილება.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიცვლება ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების პარალელურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო რისკდამოკიდებულება საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

	31 დეკემბერი 2021			*31 დეკემბერი 2020*		
ქართულ ლარში	*ფულადი ფინანსური აქტივები*	*ფულადი ფინანსური ვალდებულებები*	*წმინდა საბალანსო პოზიცია*	*ფულადი ფინანსური აქტივები*	*ფულადი ფინანსური ვალდებულებები*	*წმინდა საბალანსო პოზიცია*
ქართული ლარი	3,823,232	(270,119)	**3,553,113**	4,167,457	(433,083)	**3,734,374**
აშშ დოლარი	7,717,178	(291,257,303)	**(283,540,125)**	5,082,125	(327,601,352)	**(322,519,227)**
ევრო	-	(506,209)	**(506,209)**	-	(33,393)	**(33,393)**
თურქული ლირა	222	-	**222**	476	(2,825)	**(2,349)**
სულ	**11,540,632**	**(292,033,631)**	**(280,492,999)**	**9,250,058**	**(328,070,653)**	**(318,820,595)**

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია მოგების, ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულ შესაძლო ცვლილებებზე კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, ხოლო ყველა სხვა ცვლადი შენარჩუნებულია მუდმივად: აშშ დოლარში დენომინირებული ფულისა და ფულის ექვივალენტების, საბანკო დეპოზიტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, ნასესხები სახსრებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანით გამოწვეული ზარალი / მოგება.

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განუვითარებელი ბაზრის გამო, მენეჯმენტი არ ახდენს კომპანიის სავალუტო რისკის ჰედჯირებას.

	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**
ქართული ლარი	**გავლენა მოგებაზე ან ზარალზე**	**გავლენა მოგებაზე ან ზარალზე**
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(56,708,025)	(64,503,845)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	56,708,025	64,503,845

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიაზე საპროცენტო განაკვეთის რისკი მოქმედებს იმდენად, რამდენადაც კომპანიაში შემავალი პირები სახსრებს სესხულობენ როგორც ფიქსირებული, აგრეთვე ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით. ამ რისკს კომპანია მართავს ამ ორი ტიპის განაკვეთებით სესხის აღების სათანადო ბალანსის დაცვით.

კომპანიის დამოკიდებულება ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე მოქმედ საპროცენტო განაკვეთებზე აღწერილია წინამდებარე შენიშვნის ლიკვიდობის რისკის მართვის ქვეთავში.

ქვემოთ მოცემული მგრძნობიარობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს საპროცენტო განაკვეთების მიმართ დამოკიდებულების საფუძველზე. ცვლად-განაკვეთიანი ვალდებულებების შემთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშო პერიოდის ბოლოს დასაფარი ვალდებულების ოდენობა დასაფარი იყო მთელი წლის განმავლობაში. უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის წარსადგენ მოხსენებებში გამოიყენება 100 საბაზო ქულიანი (1%) ზრდა ან კლება და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას საპროცენტო განაკვეთების გონივრულად შესაძლებელი ცვლილების თაობაზე.

საპროცენტო განაკვეთების 100 საბაზო ქულით მეტობის/ნაკლებობის შემთხვევაში, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში:

- 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგება დაიკლებდა/გაიზრდებოდა 2,926,275 ლარით (2020: 3,290,046 ლარი). ეს ძირითადად აიხსნება კომპანიის დამოკიდებულებით ცვლადი განაკვეთების მიმართ.

კომპანიის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთების მიმართ მიმდინარე წელს შემცირდა ეს ძირითადად გამოწვეული იყო ცვლადგანაკვეთიანი სავალო ინსტრუმენტების მოცულობის კლებით.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიას გაუჭნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულება. კომპანიას ყოველდღიურად უხდება არსებული ფულადი რესურსების გამოყენება. ხელმძღვანელობა აკვირდება კომპანიის ფულადი ნაკადების მიმდინარე თვიურ პროგნოზებს.

კომპანია ლიკვიდობის რისკს მართავს აქციონერების კაპიტალის შენატანებისა და ერგბ-ისა და სსკ-ის სესხების აღების საშუალებით. კომპანიის ლიკვიდობის რეზერვი მოიცავდა ბანკის დეპოზიტებსა (შენიშვნა 9) და ფულსა და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 10).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია დარჩენილი საკონტრაქტო ვადიანობით გაანალიზებული ვალდებულებები. ცხრილში განმარტებული თანხები წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მათ შორის, მთლიან სასესხო ვალდებულებებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნაჩვენებისგან განსხვავდება, რადგან ეს უკანასკნელი დისკონტირებულ ფულად ნაკადებს ეფუძნება. თუ გადასახდელი თანხა ფიქსირებული არ არის, ნაჩვენები ოდენობა დგინდება საანგარიშო დღეს არსებული პირობების გათვალისწინებით.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გადახდები კონვერტირდება საანგარიშო დღეს არსებული სპოტური კურსით.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბერს შემდეგია:

ქართულ ლარში	**მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები**	**1-3 თვე**	**3-12 თვე**	**12 თვე - 5 წელი**	**5 წელზე მეტი**	**სულ**
ვადიანი სესხები	-	-	(62,247,531)	(166,099,007)	(117,218,845)	**(345,565,383)**
საიჯარო ვალდებულებები	(49,459)	(33,786)	(133,392)	(472,391)	(1,169,280)	**(1,858,308)**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(408,087)	(59,080)	(36,819)	(32,933)	-	**(536,919)**
სულ მომავალი გადახდები	**(457,546)**	**(92,866)**	**(62,417,742)**	**(166,604,331)**	**(118,388,125)**	**(347,960,610)**

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბერს შემდეგია:

ქართულ ლარში	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვე 5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ვადიანი სესხები	-	-	(64,927,284)	(161,358,788)	(202,121,324)	(428,407,396)
საიჯარო ვალდებულებები	(8,192)	(16,383)	(13,920)	(55,680)	(1,183,200)	(1,277,375)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(379,916)	(220,987)	(57,507)	-	-	(658,410)
სულ მომავალი გადასახადი	(388,108)	(237,370)	(64,998,711)	(161,414,468)	(203,304,524)	(430,343,181)

24. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულების შეფასება ანალიზდება რეალური ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონით: (1) პირველი დონე არის შეფასება კვოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) იდენტური აქტივებისა თუ ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე, (2) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ტექნიკა, სადაც ყველა მნიშვნელოვან მონაცემზე დაკვირვება აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში შესაძლებელია პირდაპირ (ანუ ფასებით) ან ირიბად (ანუ ფასების გავლით), და (3) მესამე დონის შეფასება არის ისეთი შეფასება, რომელიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციისას იყენებს რეალური ღირებულების იერარქიაზე დაფუძნებულ შეფასებებს. თუ რეალური ღირებულების შეფასებაში გამოყენებულია დაკვირვებადი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვნად კორექტირება ესაჭიროება, ეს შეფასება მესამე დონისაა. შესაფასებელი მონაცემის მნიშვნელობა დგინდება რეალური ღირებულების შეფასებით მთლიანობაში.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ იზომება, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება ნაჩვენებია. რეალური ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონითა და არა რეალური ღირებულებით გაზომილი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებია:

	31 დეკემბერი 2021				31 დეკემბერი 2020			
ქართულ ლარში	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
- ფული და ფულის ექვივალენტები	1,451,345	-	-	**1,451,345**	1,560,985	-	-	**1,560,985**
- საბანკო დეპოზიტები	6,664,515	-	-	**6,664,515**	3,935,035	-	-	**3,935,035**
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	3,424,772	**3,424,772**	-	-	3,754,038	**3,754,038**
სულ აქტივები	8,115,860	-	3,424,772	**11,540,632**	5,496,020	-	3,754,038	**9,250,058**
ვალდებულებები								
- აღებული სესხები	-	290,814,561	-	**290,814,561**	-	327,262,494	-	**327,262,494**
- საიჯარო ვალდებულებები	-	-	682,151	**682,151**	-	-	149,749	**149,749**
სხვა ფინანსური ვალდებულებები								
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	536,919	**536,919**	-	-	658,410	**658,410**
სულ ვალდებულებები	**-**	**290,814,561**	**1,219,070**	**292,033,631**	**-**	**327,262,494**	**808,159**	**328,070,653**

მე-2 და მე-3 დონეების რეალური ღირებულებები დადგინდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების ტექნიკით. იმ ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც აქტიურ ბაზარზე არ კვოტირდება, შეფასდა, როგორც საბალანსო ღირებულების ტოლი. არაკვოტირებული ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასდა სავარაუდოდ მისაღები სამომავლო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებული იყო მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება იმ სამომავლო ფულად სახსრებს, რომლებსაც კომპანია სავარაუდოდ მიიღებს და რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მქონე ახალ ინსტრუმენტებს ერიცხება. დისკონტირების განაკვეთები გამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, მოკლე ვადიანობის გამო, უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება იმ სამომავლო ფულად სახსრებს, რომლებსაც კომპანია სავარაუდოდ მიიღებს და რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მქონე ახალ ინსტრუმენტებს ერიცხება. დისკონტირების განაკვეთები გამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, მოკლე ვადიანობის გამო, უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

25. კაპიტალის რისკის მართვა

კაპიტალის მართვის ამოცანაა, უზრუნველყოს კომპანიის მხრიდან უწყვეტად მოქმედების უნარს, რათა ამით უზრუნველყოს აქციონერთა უკუგება და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა

კაპიტალის ღირებულების შემცირების მიზნით. ჰესის მშენებლობის დაფინანსების წყაროდ ძირითადად გამოიყენება კომპანიის კაპიტალი.

26. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ

2022 წლის 21 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებებს დონეცკის სახალხო რესპუბლიკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის აღიარების თაობაზე. 2022 წლის 24 თებერვალს გამოცხადდა უკრაინაში სამხედრო ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილება და რუსეთი უკრაინას თავს დაესხა.

ამ მოვლენების შემდგომ აშშ-მა, გაერთიანებულმა სამეფომ, ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა სანქციები გამოუცხადეს რუსეთის გარკვეულ ოფიციალურ პირებს, ბიზნესმენებსა და კომპანიებს. აღნიშნულმა მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიოს რუსული ბიზნესისათვის საერთაშორისო კაპიტალისა და ექსპორტის ბაზრებზე წვდომის შეზღუდვა, რუსული რუბლის გაუფასურება, კაპიტალის ბაზრების შემცირება და სხვა უარყოფითი ეკონომიკური შედეგები. რუსეთმა უკრაინაში შეჭრის გამო დაწესებულ სანქციებს უპასუხა 2022 წლის ბოლომდე გარკვეული პროდუქტების მთელ რიგზე ექსპორტის აკრძალვით.

საქართველოს ეკონომიკის ორი მსხვილი სექტორი, მეღვინეობა და ტურიზმი, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რუსულ ბაზარზე: 2021 წელს ქართული ღვინის საექსპორტო მოცულობის 55% გავიდა რუსეთში (130 მილიონი აშშ დოლარი). მეორე ადგილზე ღვინის ექსპორტით არის უკრაინა (25 მილიონი აშშ დოლარი). ტურიზმის თვალსაზრისით რუსეთსა და უკრაინაზე აგრეთვე მოგზაურთა დიდი ნაწილი მოდის.


ამ ეტაპზე კომპანიის მომავალ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე აღნიშნული და მომავალი მოვლენების დარტყმის განსაზღვრა ძნელია. თუმცა, კომპანიის ოპერაციებზე პირდაპირი დარტყმა მოსალოდნელი არ არის.

მმართველობის ანგარიში

კომპანიის შესახებ

კომპანია ოპერირებს ჰიდროელექტროსადგურს (ჰესი) მდინარე ფარავანზე, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. კომპანია ამუშავებს ფარავანჰესს, რომელიც 2014 წელს უნიკალური პროექტი იყო საქართველოში. ჰესი მოიცავს 14 კმ სიგრძის სადერივაციო გვირაბს, რომლის მეშვეობითაც მდინარე ფარავანი მდინარე მტკვარში ჩაედინება, სოფელ ხერთვისში. ფარავანის ჰიდრო პროექტი ასევე მოიცავს 33 კმ სიგრძის 220 კვ ძაბვის გადამცემ ხაზს. გადამცემი ხაზი გადის ახალციხის ქვესადგურთან, რომელიც უკავშირდება შავი ზღვის გადამცემ ხაზს, მაღალი ძაბვით 400/500 კვ. ეს ხაზი აკავშირებს საქართველოს თურქეთთან.

კომპანია დაყოფილია სამ განყოფილებად: ადმინისტრაციული, ფინანსური და ოპერაციული. ადმინისტრაციული და ფინანსური განყოფილებები მდებარეობს თბილისში, მთავარ ოფისში, ოპერაციული განყოფილება კი მდებარეობს ასპინძის რაიონის სოფელ ხერთვისში (ფარავანჰესის ტერიტორია). 2021 წელს, კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 37 ადამიანი (2020: 40).



ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

ფინანსური ინდიკატორები

2021 წელს, კომპანიას არ გაუკეთებია მნიშვნელოვანი შენაძენი ძირითადი საშუალებების თვალსაზრისით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მიმდინარე აქტივებს აღემატებოდა 39,986,534 ლარით. მიმდინარე ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან სესხებსა და მათზე გადასახდელ პროცენტს „იშბანკ თურქეთის“ მიმართ 18,702,460 ლარის ოდენობით; მოკლევადიან სესხებსა და მათზე გადასახდელ პროცენტს „იშბანკ საქართველოს“ მიმართ 12,471,871 ლარის ოდენობით; სსკ-სა და ერგბ-ის გრძელვადიანი სესხის მოკლევადიან ნაწილსა და შესაბამის პროცენტს 20,906,883 ლარის ოდენობით. დეტალები საბრუნავი კაპიტალის დეფიციტის და უწყვეტი საწარმოს შესახებ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

კომპანიის ამჟამინდელი აქტივები ძირითადად მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, საბანკო დეპოზიტებს, ესკოს მიმართ არსებულ მოთხოვნებსა და მარაგებს. კომპანიის მარაგები ძირითადად შედგება ჰესის კომპონენტის აღჭურვილობის სათადარიგო ნაწილებისგან. შიდა პოლიტიკის თანახმად, კომპანიას აქვს მარაგების მინიმალური და მაქსიმალური დონე, რომელიც განსაზღვრულია კონკრეტული სათადარიგო ნაწილებისთვის.

კომპანიის საქმიანობის მთავარ ფინანსურ ინდიკატორად ითვლება ითვლება EBITDA ზღვარი, ელექტროენერგიის გენერაცია და საოპერაციო ხარჯები. 2021 წელს კომპანიის შემოსავალმა შეადგინა 46,341,512 ლარი, რაც 2020 წელთან შედარებით 9%-ით მეტია მეორე მხრივ, EBITDA ზღვარი გაიზარდა 2020 წელთან შედარებით და შეადგინა 84% (2020: 80%).

საოპერაციო ხარჯების თვალსაზრისით, მომსახურების ხარჯები წინა წლის დონეზე დარჩა, ხოლო პერსონალის ხარჯები წინა წელთან შედარებით 14%-ით შემცირდა.

ქართული ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებამ აშშ დოლართან მიმართებაში (2021 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 3.0976; 2020 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 3.2766) დადებითი გავლენა მოახდინა 2021 წლის შედეგებზე. წმინდა სავალუტო მოგებამ შეადგინა 16,733,328 ლარი, როცა, ზარალი 2020 წელს 41,903,636 ლარს შეადგენდა. ეს შედეგი ძირითადად გამოწვეულია კომპანიის აშშ დოლარში დენომინირებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხების გადაფასებით.

არაფინანსური ინდიკატორები

ოპერაციული ინდიკატორები

ჰიდროელექტროსადგურები ხასიათდება ეფექტურობის 2 ინდიკატორით (ელექტრომექანიკური და ჰიდრომექანიკური მოწყობილობების მაჩვენებლები):

- ***დატვირთვის ფაქტორი:*** ანუ წმინდა სიმძლავრის ფაქტორი არის ფაქტობრივი ელექტრული ენერგიის გამომუშავების თანაფარდობა მოცემულ პერიოდში მაქსიმალური ელექტრული ენერგიის გამომუშავებასთან ამ პერიოდის განმავლობაში.
- ***ხელმისაწვდომობის ფაქტორი:*** არის იმ დროის ის ოდენობა, რომლის საშუალებითაც ჰესს შეუძლია ელექტროენერგიის წარმოება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რომელიც გაყოფილია დროზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ფარავანჰესის ეფექტურობის ორი ინდიკატორი ოპერაციული პერიოდის განმავლობაში:

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
დატვირთვის ფაქტორი	53.9%	56.0%	50.3%	53.0%	49.2%	42.5%	44.3%
ხელმისაწვდომობის ფაქტორი	98.8%	99.3%	99.8%	99.7%	99.8%	99.1%	98.8%

სოციალური პროექტები

გასული წლების მსგავსად, ურბან ენერჯი 2021 წელსაც მონაწილეობდა სოციალურ პროექტებში. კომპანია წლის განმავლობაში პერიოდულად ახორციელებს სოფლის ტერიტორიის დამასუფთავებელ ღონისძიებას. კომპანია ასევე ეხმარება ხერთვისის საჯარო სკოლის სტუდენტებს, მან დააფინანსა ექსკურსია, შეიძინა სასკოლო მასალები და საახალწლო საჩუქრები 2021 წელს.

ურბან ენერჯი არის ქართველ და თურქი ბიზნესმენთა ასოციაციის წევრი და მონაწილეობს საქველმოქმედო ან სხვა ღონისძიებებში, რომელიც აახლოვებს ასოციაციის ქართველ და თურქ წევრებს.

კომპანია გეგმავს გააგრძელოს მონაწილეობა სოციალურ პროექტებში, განსაკუთრებით ასპინძის რეგიონში.

გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

გარემოს დაცვა და უსაფრთხოება მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის საქმიანობაში. დიდი ყურადღება ეთმობა აღნიშნულ საკითხებს ერგბ-სა და სსკ-ის მხრიდან და მკაცრად რეგულირდება მთავრობის მიერ.

37 თანამშრომლიდან ერთი გარემოსდაცვითი სპეციალისტია, ერთიც - ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციალისტი.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დროს აშენდა თევზსავლი სათავო ნაგებობის ტერიტორიაზე. მდინარეში თევზის არსებობაზე, სახეობებზე და რეპროდუქციაზე მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის

გარემოსდაცვითი სპეციალისტი და შედეგები ასახულია უფროსი კრედიტორებისთვის მომზადებულ წლიურ ანგარიშში.

ჩვეულებრივ, ფრინველებზე დაკვირვებას ახორციელებს კომპანიის გარემოს დაცვის სპეციალისტი, მეზობელი სოფლების მაცხოვრებლების მიერ გამოკითხვის საფუძველზე, ფრინველების სიკვდილიანობათან დაკავშირებით. პანდემიური სიტუაციის გამო, 2021 წლის განმავლობაში სოფლის მაცხოვრებლებთან შეხვედრები არ ჩატარებულა. ამის ნაცვლად, კომპანიის გარემოს დაცვის სპეციალისტი აკვირდებოდა გადამცემი ხაზის მიმდებარე ტერიტორიებს. დაკვირვების შედეგად არცერთი უჩვეულო შემთხვევა არ გამოვლენილა.

ნაგავი და მყარი ნარჩენები ჰესების ტერიტორიიდან რეგულარულად გააქვთ შესაბამის მხარეებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. სახიფათო ნარჩენებისთვის გათვალისწინებულია ცალკე საცავი და გარკვეულ დონემდე დაგროვების შემდეგ შესაბამის სერთიფიცირებულ კომპანიას გააქვს. მდინარის წყლის ქიმიური ანალიზი კეთდება საქართველოს გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ასევე, ყოველწლიურად, სასმელი წყლის კვლევა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში ხდება.

მინიმალური ბიოლოგიური ნაკადის შეფასების მიზნით, ჰესზე აშენდა წყლის დონის საზომი სისტემა. კონკრეტული სტრუქტურა შექმნილია ზუსტი მონაცემების მისაღებად. წყლის დონის და ნაკადის მონაცემები გამოითვლება მთელი წლის განმავლობაში. მონაცემები ინახება სპეციალურ მონაცემთა მრიცხველში და მოდემის საშუალებით იგი გადაეცემა ჰესის სკადას სისტემას.

მენეჯმენტი პერიოდულად ხვდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასპინძის და ახალციხის მუნიციპალიტეტებს, ასევე ადგილობრივ მოსახლეობას. მათ არანაირი სარჩელი ან წერილობითი საჩივარი არ მიუღიათ.

კომპანია იყენებს მრავალფეროვან სადაზღვეო პროდუქტს, როგორებიცაა დანადგარების დაზიანებისა და ბიზნესის შეფერხების ყოვლისმომცველი დაზღვევა, ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევა, პოლიტიკის ძალადობის დაზღვევა, დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა, ჯანმრთელობის დაზღვევა, ავტომობილების დაზღვევა, სათაო ოფისის ქონების დაზღვევა.

რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს და პრიორიტეტებს ანიჭებს რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ბიზნესთან და ინდუსტრიასთან და თან ახლავს რესურსების კოორდინირებულ და ეკონომიკურ გამოყენებას გავლენის შემცირების, მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით.

2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ აშენებული ელექტროსადგურის ტარიფები არ რეგულირდება. მათ ელექტროენერგიით ვაჭრობა ეძლევათ თავისუფალი (დარეგულირებული) ტარიფით. ფარავანჰესიც ამ ტიპის ელექტროსადგურებს მიეკუთვნება. კომპანიას გაფორმებული აქვს 49 წლიანი ხელშეკრულება ელექტროენერგიის გადამცემი / დისპეტჩერიზაციის მომსახურებაზე სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან (სსე), შპს „ენერგოტრანსთან“ და შპს „საქრუსენეროგოსთან“ ელექტროენერგიის ექსპორტზე ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით გატანისთვის (მესხეთის 400 კვ ძაბვის გადამცემი ხაზით).

ახალი ელექტროგადამცემი ხაზის პრიორიტეტულობა და უპირატესობა განისაზღვრება შემცირების თანმიმდევრობით (ა, ბ, გ და დ კატეგორიები). რადგანაც ფარავანჰესი აშენებულია 2010 წლის შემდეგ, ჰესი მიეკუთვნება ბ კატეგორიას.

2022 წელს მოსალოდნელია ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა 4.1%-ით, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) პროგნოზის თანახმად, რომელიც ეკონომიკის სამინისტრომ 2022 წლის 14 იანვარს დაამტკიცა. საპროგნოზო წლიური ბალანსის მიხედვით, 2021 წელს მთლიანი მოთხოვნის 72%-ს დააკმაყოფილებს ჰიდროგენერაცია, 18%-ს - თბოელექტრო სადგურები, 0.6%-ს - ქარის ტურბინები, ხოლო დანარჩენი შეივსება იმპორტით.

ზოგადად, ბოლო წლების განმავლობაში თურქეთის ბაზარზე ფასების შემცირებამ და მერყეობამ შეამცირა თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობა. ამ მიმართულებით მთავარი ექსპორტიორები არიან ის კომპანიები, რომელთაც განსაკუთრებული წვდომა აქვთ საქართველოსა და თურქეთის დამაკავშირებელ გადამცემ ხაზ „მესხეთზე“. მათ შორისაა ურბან ენერჯი. 2016, 2017, 2018 და 2019 წლების

განმავლობაში კომპანიას ეს პრიორიტეტული უფლება საექსპორტოდ არ გამოუყენებია, გარდა მაისი-ივლისის პერიოდისა, რათა ერთ კილოვატ/საათზე მაღალი შემოსავალი უზრუნველეყო. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა თურქული ლირის დევალვაცია აშშ დოლარის მიმართ, რადგან ექსპორტის შემთხვევაში, თურქულ ლირაში ცვალებადი ელექტროენერგიის საზღაური საბოლოოდ კონვერტირდება აშშ დოლარში. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კოვიდ-19, რომელმაც დიდი დარტყმა მიაყენა სხვადასხვა დარგის ბევრ კომპანიას და გამოიწვია ელექტროენერგიაზე მოთხოვნის შემცირება. კომპანიას, კოვიდ-19-ის გამო, შეიძლება უფრო დიდი ზეგავლენა ემუქრებოდეს, რაც გლობალურ ეკონომიკასა და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე პანდემიის ზოგადი უარყოფითი მოქმედებითაა გამოწვეული. გარდა ამ რისკ ფაქტორებისა, ადგილობრივად გაზრდილი ხარჯები (ელექტროენერგიის ექსპორტთან დაკავშირებით) ასევე დიდ როლს ასრულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ზემოაღნიშნული რისკების შემცირების მიზნით კომპანიამ მიაღწია შეთანხმებას და 2021 წლის 28 თებერვალს საქართველოს მთავრობასთან ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმის დამატებას, რაც ითვალისწინებს ფაქტობრივად გენერირებული ელექტროენერგიის 2021-2024 წლებში მთლიანად გაყიდვას საქართველოში. გასაყიდი ფასი ყოველ შეთანხმებულ თვეში ფიქსირდება აშშ დოლარში.

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია რისკების მართვის მექანიზმის შესახებ წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების 23-ე შენიშვნაში.

გეგმები

კომპანია საქართველოს მთავრობასთან უკვე შეთანხმდა და ხელიც მოაწერა დამატებას 2021-2024 წლებში ელექტროენერგიის მხოლოდ საქართველოში გაყიდვის თაობაზე. ამდენად, ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანა არ იგეგმება.

კომპანია აგრეთვე გეგმავს, მკაცრად გააკონტროლოს ბიუჯეტი ხარჯების ოპტიმიზებისა და 2021 წელს უკეთესი ფინანსური შედეგების მიღწევის მიზნით.

შპს "საქართველო - ურბან ენერჯი"

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიში და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს "საქართველო - ურბან ენერჯი"

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-4

ფინანსური ანგარიშგებები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 8

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:

1. შპს "საქართველო - ურბან ენერჯი" და მისი საქმიანობა 9
2. კომპანიის საოპერაციო გარემო 10
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები 10
4. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული შეფასებები და დასკვნები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებისას 18
5. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება 19
6. ნაშთები და ტრანზაქციები მეკავშირე მხარეებთან 24
7. ძირითადი საშუალებები 26
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 27
9. საბანკო დეპოზიტები 27
10. ფული და ფულის ექვივალენტები 27
11. საწესდებო კაპიტალი 28
12. აღებული სესხები 28
13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 31
14. შემოსავალი 31
15. მომსახურების ხარჯები 31
16. პერსონალის ხარჯები 31
17. საგადასახადო ხარჯი 32
18. სხვა საოპერაციო ხარჯები 32
19. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები 32
20. ფინანსური შემოსავალი 32
21. ფინანსური ხარჯები 33
22. პირობითი ვალდებულებები 33
23. ფინანსური რისკის მართვა 35
24. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება 38
25. კაპიტალის რისკის მართვა 39
26. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ 39

მმართველობის ანგარიში 40-43

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე
2021 წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს “საქართველო - ურბან ენერჯის’ (“კომპანია’) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს”) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკების ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებული, საიმედო, შესადარისი და გასაგები ინფორმაციის არსებობას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- მმართველობის ანგარიშში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის განმარტებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიში კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2022 წლის 21 მარტს:

ხელმძღვანელობის სახელით:

---	---
გენერალური დირექტორი	ფინანსური დირექტორი
ბურაქ ჯანდანი	ომურ თოსუნოღლუ
21 მარტი, 2022 წელი	21 მარტი ,2022 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "საქართველო – ურბან ენერჯის" აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

ჩვენ ჩავატარეთ შპს "საქართველო - ურბან ენერჯის" ("კომპანია") თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი დასკვნით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში *"აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"*. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი "პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი' (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენს მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშს, რომელიც მომზადებულია „აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშს.

ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებისა ან აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციასთან არსებითად შეუსაბამო, ან სხვაგვარად არსებითად მცდარი. თუ ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციაში არსებითი შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

ჩვენ არაფერი გვაქვს განსაცხადებელი ამ პასუხისმგებლობებზე დაყრდნობით.

მმართველობის ანგარიშსა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.
კომპანიის მართვასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმუნება მაღალი ხარისხის რწმუნებას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამის ტრანსაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ანგარიში სხვა იურიდიული და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონი) მოთხოვნის შესაბამისად, და იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობის უზრუნველყოფაზე, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი

მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის გასარკვევად, თუ რამდენად არის მმართველობის ანგარიში მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შეიცავს თუ არა ამავე კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას.

ჩვენ შევარჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები ჩვენი შეფასების საფუძველზე, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, გამოკითხვებით, დოკუმენტაციის ანალიზითა და მიმოხილვით, კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და მოხსენებული ინფორმაციის შედარებით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, აგრეთვე გადაანგარიშებებით, შედარებებითა და რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის შედარების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია თანმიმდევრულია, ყველა მატერიალური თვალსაზრისით, 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

სრბუჰი ჰაკობიანი
შპს დელოიტი და ტუშის სახელით

2022 წლის 21 მარტი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2021 წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	233,615,848	243,757,633
გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები		744,996	150,793
არამატერიალური აქტივები		11,731	28,515
სულ გრძელვადიანი აქტივები		234,372,575	243,936,941
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		1,059,653	793,172
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3,672,723	3,936,828
საბანკო დეპოზიტები	9	6,664,515	3,935,035
ფული და ფულის ექვივალენტები	10	1,451,345	1,560,985
სულ მიმდინარე აქტივები		12,848,236	10,226,020
სულ აქტივები		247,220,811	254,162,961
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	123,638,980	123,638,980
დაგროვილი დეფიციტი		(168,451,800)	(197,546,672)
სულ დეფიციტი		(44,812,820)	(73,907,692)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
აღებული სესხები	12	238,733,347	274,290,351
საიჯარო ვალდებულება		465,513	125,445
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		239,198,860	274,415,796
მიმდინარე ვალდებულებები			
აღებული სესხები	12	52,081,214	52,972,143
საიჯარო ვალდებულება		216,638	24,304
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	536,919	658,410
სულ მიმდინარე ვალდებულებები		52,834,771	53,654,857
სულ ვალდებულებები		292,033,631	328,070,653
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		247,220,811	254,162,961

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი ბურაქ ჯანდანი	ფინანსური დირექტორი ომურ თოსუნოღლუ
21 მარტი, 2022	21 მარტი,2022

10-40 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალის, და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში
2021 წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	14	46,341,512	42,685,247
სხვა შემოსავალი		385,387	194,401
პერსონალის ხარჯები	16	(3,309,538)	(3,869,539)
მომსახურების ხარჯები	15	(1,892,342)	(1,893,089)
საგადასახადო ხარჯები	17	(2,278,761)	(2,377,474)
სხვა საოპერაციო ხარჯები	18	(533,077)	(394,292)
მოგება ფინანსურ შემოსავლამდე / ხარჯებამდე, გადასახადებამდე, ცვეთამდე და ამორტიზაციამდე		38,713,181	34,345,254
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	19	(10,326,108)	(10,329,637)
მოგება ფინანსურ შემოსავლამდე / ხარჯებამდე და გადასახადებამდე		28,387,073	24,015,617
ფინანსური შემოსავალი	20	16,890,224	165,703
ფინანსური ხარჯები	21	(16,182,425)	(48,164,285)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		29,094,872	(23,982,965)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		29,094,872	(23,982,965)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		29,094,872	(23,982,965)

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
ბურაქ ჯანდანი

21 მარტი, 2022

ფინანსური დირექტორი
ომურ თოსუნოღლუ

21 მარტი,2022

10-40 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს "საქართველო - ურბან ენერჯი"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
2021 წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2020 წელი	123,638,980	(173,563,707)	(49,924,727)
სულ წლის სრული ზარალი	-	(23,982,965)	(23,982,965)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020 წელი	123,638,980	(197,546,672)	(73,907,692)
სულ წლის სრული შემოსავალი	-	29,094,872	29,094,872
ნაშთი 31 დეკემბერი 2021 წელი	123,638,980	(168,451,800)	(44,812,820)

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
ბურაქ ჯანდანი

21 მარტი, 2022

ფინანსური დირექტორი
ომურ თოსუნოღლუ

21 მარტი,2022

10-40 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს "საქართველო - ურბან ენერჯი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით

ქართული ლარი	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა შემოსავალი/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		29,094,872	(23,982,965)
კორექტირება:			
ცვეთა და ამორტიზაცია	19	10,326,108	10,329,637
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		(173,503)	-
ფინანსური შემოსავალი	20	(156,896)	(165,703)
ფინანსური ხარჯები	21	16,182,425	6,260,649
საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა (მოგება)/ზარალი	20, 21	(16,733,328)	41,903,636
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		38,539,678	34,345,254
მარაგების (ზრდა)/კლება		(266,481)	2,546
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების კლება/(ზრდა)		264,105	(210,491)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (კლება)/ზრდა		(121,491)	295,215
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება		(123,867)	87,270
მიღებული პროცენტი		152,221	165,703
გადახდილი პროცენტი და სხვა ფინანსური ხარჯები		(16,399,742)	(23,852,813)
წმინდა ნაღდი ფული საოპერაციო საქმიანობიდან		22,168,290	10,745,414
ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	7	(15,858)	(14,000)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		177,158	-
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		-	(8,847)
საბანკო დეპოზიტების განთავსება		(21,559,940)	(20,638,849)
დეპოზიტების გამოტანა ბანკებიდან		19,049,650	22,278,550
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ნაღდი ფული		(2,348,990)	1,616,854
ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავალი აღებული სესხებიდან	12	31,539,400	35,724,460
აღებული სესხების დაფარვა	12	(50,942,728)	(47,201,194)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(169,693)	(96,311)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		(19,573,021)	(11,573,045)
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		246,279	789,223
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		1,560,985	966,367
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(355,919)	(194,605)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	10	1,451,345	1,560,985

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
ბურაქ ჯანდანი

21 მარტი, 2022

ფინანსური დირექტორი
ომურ თოსუნოღლუ

21 მარტი,2022

10-40 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. შპს "საქართველო - ურბან ენერჯი" და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შპს "საქართველო - ურბან ენერჯისათვის" ("კომპანია" ან „სუე") 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

კომპანია დაფუძნდა 1999 წლის 11 თებერვალს და რეგისტრირებულია საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით.

2021 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის წილებს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
"ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარი ანონიმ შირკეტი'	90%	90%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ერგბ)	10%	10%
სულ	**100%**	**100%**

"ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარი ანონიმ შირკეტი" („აკაფი") არის აგ "ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგ ა.ს.'ის 61.49%-იანი შვილობილი კომპანია, რომელიც დაფუძნდა 2009 წლის 15 დეკემბერს. მისი იურიდიული მისამართია ფატიჰ სულტან მეჰმეტ მაჰალესი, ბალკან ჯადესი #58, ბუიაკა, ე ბლოკ 34771 ტეპეიუსტუ/უმრანიე, სტამბოლი, თურქეთი. "ა.შ. ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარის" აქციების დანარჩენ 38.51%-იან წილს ფლობს "ფარავანი ენერჯი ბ.ვ.'.

კომპანის საბოლოო მფლობელები	**ა.გ. ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგ ა.შ.-ში კუთვნილი %**	
	31 დეკემბერი 2021	**31 დეკემბერი 2020**
ა.გ. სინაი იათირიმ ვე იონეთიმ ა.შ.	**48.65 %**	**48.65 %**
იაზიჯის ოჯახის წევრები	**25.88 %**	**27.16 %**
იოზილჰანის ოჯახის წევრები	**9.98 %**	**9.98 %**
საჯაროდ ფლობილი აქციები	**15.49 %**	**14.21 %**
სულ	**100.00%**	**100.00%**

ა.გ. სინაი იათირიმ ვე იონეთიმ ა.შ. თანაბრად კონტროლდება ქამილ იაზიჯი იონეთიმ ვე დანისმა ა.ს. და იზეთ ტურკან იოზილჰან ვე დანიშმანლიკ ა.შ. ს მიერ. თითოეული ფლობს კაპიტალის 50 პროცენტს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ერგბ) კომპანიის აქციებს ფლობს 2011 წლის 20 სექტემბრის გამოწერის ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის მიხედვით, ერგბ ფლობს კომპანიის 5,000,000 აშშ დოლარის ღირებულების საკუთარი კაპიტალის 10%-ს. კაპიტალის ეს შენატანი გაკეთდა 2011 წლის 28 ნოემბერს.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია. კომპანიამ დაასრულა ფარავნის ჰიდროელექტროსადგურის („ჰესი") მშენებლობა 2014 წელს. 2021 წელს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიამ ფაქტობრივად წარმოებული ელექტროენერგია მთლიანად ქართულ ბაზარზე გაყიდა.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზირი 37. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თანამშრომელთა რაოდენობამ შეადგინა 37 (31 დეკემბერი 2020: 40).

პრეზენტაციის ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, იგი ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ და საპრეზენტაციო ვალუტას.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა საქართველოში მიმდინარეობს. საქართველო განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს ამჟღავნებს, მათ შორის, ხასიათდება მაღალი ინფლაციითა და მაღალი საპროცენტო განაკვეთებით. საქართველოს მსგავსი განვითარებადი ბაზრები ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. ბიზნესზე მოქმედი საკანონმდებლო გარემო სწრაფად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით ხასიათდება. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

გარდა ამისა, საქართველოს ენერგო-ბაზარზე მოქმედებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, საკანონმდებლო, ფისკალური და რეგულირებასთან დაკავშირებული მოვლენები.

ამასთან, 2020 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება ახალი კორონავირუსული დაავადება (კოვიდ-19), რის შედეგადაც, 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა პანდემიის მდგომარეობა. კოვიდ-19-ის გავრცელების შესაფერხებლად ბევრი ქვეყნის მიერ მიღებული ზომები ბევრ კომპანიას ოპერაციებს მნიშვნელოვნად ურთულებს და დიდი ზეგავლენა აქვს გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. სწრაფად ცვალებადმა სიტუაციამ შეიძლება საგრძნობი ეფექტი იქონიოს მრავალ სექტორში მოღვაწე ბევრ კომპანიაზე, მათ შორის, წარმოების შეწყვეტისა თუ ინფრასტრუქტურის დახურვის, მიწოდების შეფერხების, პერსონალის კარანტინში გადასვლის, მოთხოვნის შემცირებისა და დაფინანსების მოძიების გართულების გამო ბიზნესის ოპერირების შეფერხების თვალსაზრისით. შესაძლებელია, კომპანია დაექვემდებაროს კოვიდ-19-ის მზარდ ეფექტს გლობალურ ეკონომიკასა და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე ზემოქმედების გამო. კომპანიის ოპერაციებზე კოვიდ-19-ის ზემოქმედების სიდიდე დიდწილად დამოკიდებულია მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკებზე პანდემიის ეფექტის ხანგრძლივობასა და მის ინტენსივობაზე.

ხელმძღვანელობას არ შესწევს ყველა იმ მოვლენის წინასწარ განჭვრეტის ძალა, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე და ამდენად, ვერ ივარაუდებს, თუ რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს მათ კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობის აზრით, ის ყველა ზომას მიმართავს, რათა უზრუნველყოს კომპანიის ბიზნესის მდგრადობა და განვითარების ტენდენცია.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპით. ისტორიული ღირებულება საზოგადოდ ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები აღწერილია ქვემოთ. გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ეს აღნიშნულია, პოლიტიკის აღნიშნული პრინციპები გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდში.

უწყვეტი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა უწყვეტი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებმა მიმდინარე აქტივებს გადააჭარბა 39,986,534 ლარით.

მიმდინარე ვალდებულებებში შედის „იშბანკ თურქეთისგან" აღებული მოკლევადიანი სესხები 18,702,460 ლარის ოდენობით და მასზე დარიცხული პროცენტი 12,471,871 ლარის ოდენობით; აგრეთვე საერთაშორისო საფინანსო კორპორაციიდან (სსკ) და ერგბ-დან მიღებული გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი და მასზე დარიცხული პროცენტი 20,906,883 ლარის ოდენობით.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან 2011 წლის 22 ივნისს ხელმოწერილი სასესხო ხელშეკრულებები გარანტირებულია დამფუძნებელი კომპანიების, „ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგისა" და „ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარის" მიერ ერგბ-სა და სფკ-თან ხელმოწერილი გარანტიის აქტისა და პასუხისმგებლობისგან დაცვის ხელშეკრულებით და, აგრეთვე, დამფუძნებელი კომპანიების, „ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგისა" და „ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარის" მიერ კომპანიასთან, ერგბ-სა და სსკ-თან ხელმოწერილი დაფინანსების მხარდაჭერისა და პროექტის ფონდის ხელშეკრულებით.

2021 წლის 10 ნოემბერს კომპანიამ სს „იშბანკ თურქეთთან" ხელი მოაწერა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებს საბანკო სესხის თაობაზე 6,000,000 აშშ დოლარის ოდენობით (18,585,600 ლარი), ხოლო 2021 წლის 11 ნოემბერს - სს „იშბანკ საქართველოსთან" 4,000,000 აშშ დოლარის ოდენობით (12,390,400 ლარი). 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ სრულად გამოიყენა მოცემული საკრედიტო ხაზი სს „საქართველოს ბანკის" სესხის დაფარვაში, 10,000,000 აშშ დოლარის (30,976,000 ლარი) ოდენობით. სესხი მოკლევადიანია 1 წლის ვადიანობით და კომპანია გეგმავს სესხის განახლებას გადახდის თარიღში.

ისტორიულად, კომპანიას ბოლო წლების განმავლობაში თავისი ყველა საკრედიტო ვალი განახლებული აქვს.

კომპანიამ "ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგ ა.ს." ერთობლივი თავდებობის ხელშეკრულებით გასცა თავდებობა, დაფაროს ვალი, თუ კომპანია ვერ შეძლებს სს „იშბანკ თურქეთთან" და სს „იშბანკ საქართველოსთან" არსებული ვალდებულების დამოუკიდებლად შესრულებას.

საქართველოს მთავრობასთან 2009 წლის 27 მაისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის 2020 წლის 28 თებერვალს ხელმოწერილი დამატების საფუძველზე, კომპანიამ ვალდებულება აიღო, 2020-2024 წლებში ფაქტობრივად გენერირებული ელექტროენერგია ექსკლუზიურად მიყიდოს ესკოს (სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი"). შედეგად, კომპანიამ მოიპოვა ელექტროენერგიის ადგილობრივად, ფიქსირებულ ფასად გასაყიდი უკეთესი მარჟა, ვიდრე ზაფხულის თვეებში ექსპორტირებისას. გაუმჯობესებული მომგებიანობა მენეჯმენტს მეტ რესურსებს მისცემს სესხის დროულად დაფარვისა და უფრო მკაფიო გეგმების შედგენის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანია მიიჩნევს, რომ უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება არსებულ სიტუაციას შეესაბამება და რომ ის შეძლებს ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში აქტივების რეალიზებასა და ვალდებულებების დაფარვას.

რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება დგინდება აღნიშნულ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ("სებ") ოფიციალური ვალუტის კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული და აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, ლარში გადაიყვანება ტრანზაქციის დღეს მოქმედი ვალუტის კურსით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული და აღრიცხულია რეალური ღირებულებით, ლარში გადაიყვანება რეალური ღირებულების დადგენის დღეს მოქმედი ვალუტის კურსით. ამგვარი ტრანზაქციების ანგარიშსწორებიდან და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციით მიღებული მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსებია: 1 აშშ დოლარი = 3.0976 ლარი (2020 წელს: 1 აშშ დოლარი = 3.2766 ლარი); 1 ევრო = 3.5040 ლარი (2020 წელს: 1 ევრო = 4.0233 ლარი).

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში, აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების რომელიმე ერთეულის კომპონენტის შეცვლაზე გაწეული ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი კომპონენტი ჩამოიწერება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ ამ ხარჯებიდან უნდა წარმოიშვას მომავალი ეკონომიკური სარგებელი. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის, მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, აღირიცხება მათი გაწევისას მოგება-ზარალში, როგორც ხარჯი.

გაუფასურების ხარჯი აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ აქტივის ან მისი ფულის მაგენერირებელი ერთეულის საბალანსო ღირებულებამ გადააჭარბა აღდგენად ღირებულებას. გაუფასურების დანაკარგები აღირიცხება მოგება-ზარალში.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა განაგარიშებს აღდგენად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) განსაზღვრისას გამოყენებულ შეფასებებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

რეალიზაციით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია წლის მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. კომპანიას მსხვილი სარემონტო სამუშაოებისას გამოყენებული სათადარიგო ნაწილები დაუგუფებული აქვს ერთად, როგორც დაუმონტაჟებელი მოწყობილობები. ამ ტიპის აქტივები მსხვილი სარემონტო სამუშაოების ჩატარებამდე არ იცვითება. ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების (ან გადაფასებული ღირებულების) განაწილებით:

შენობები (გვირაბი)	50 წელი
გადამცემი ხაზები და შესაბამისი მოწყობილობები	50 წელი
ინფრასტრუქტურული აქტივები	15-20 წელი
მანქანა-დანადგარები	5-20 წელი
ტრანსფომატორები, გენერატორები და ჰეს-თან დაკავშირებული მოწყობილობები	15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
ავეჯი და მცირე აქტივები	4-7 წელი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო გამოყენების ვადები გადაიხედება და აუცილებლობის შემთხვევაში კორექტირდება.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და ექსპლუატაციის ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

კომპანია, როგორც მოიჯარე. იმას, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას, კომპანია ადგენს კონტრაქტის მოქმედების დაწყებისას. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი საიჯარო ვალდებულება აღიარდება ყველა იმ საიჯარო გარიგებაში, რომელშიც კომპანია გამოდის როგორც მოიჯარე. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან იჯარებს (განიმარტება, როგორც 12 თვიანი ან უფრო მოკლე ვადის იჯარა) და დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებს (როგორებიცაა ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, მცირე საოფისე ავეჯი და ტელეფონები). ამ უკანასკნელის შემთხვევაში, საიჯარო გადასახადი აღირიცხება როგორც საოპერაციო ხარჯი წრფივად იჯარის მთელი ვადის განმავლობაში, თუ სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ არ ასახავს იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სურათს.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აღირიცხება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც იჯარის დაწყების დღეს არ გადაიხდება. მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, კომპანია იყენებს სესხის მზარდ განაკვეთს.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შესული საიჯარო გადახდები მოიცავს შემდეგს:

- ფიქსირებული საიჯარო გადახდები (მათ შორის პრაქტიკულად ფიქსირებული გადახდები), საიჯარო შეღავათებით გამოხატული მოთხოვნების გამოკლებით;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც რაიმე ინდექსსა თუ განაკვეთზეა დამოკიდებული და თავდაპირველად იზომება იჯარის დაწყების დღის ინდექსით ან განაკვეთით;
- მოიჯარის მიერ სავარაუდოდ გადასახდელი თანხა გარანტიების ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე;
- შესყიდვის ოფციონის რეალიზაციის ფასი, თუ მოიჯარე გონივრულ ფარგლებში დარწმუნებულია, რომ ის ამ ოფციონის რეალიზებას მოახდენს; და
- იჯარის შეწყვეტისთვის გათვალისწინებული ჯარიმების გადახდა, თუ იჯარის ვადაში ასახულია იჯარის შეწყვეტის ოფციონის რეალიზება.

იჯარის ვალდებულება წარმოდგენილია, როგორც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების ცალკე მუხლი.

იჯარის ვალდებულება შემდგომში აისახება საბალანსო ღირებულების გაზრდით, რაც მიზნად ისახავს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ასახვას (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით), და უკვე გადახდილი საიჯარო გადასახადის ასახვის მიზნით საბალანსო ღირებულების შესაბამისი შემცირებით.

კომპანია საიჯარო ვალდებულებას ხელახლა აფასებს (და გამოყენების უფლების მატარებელ შესაბამის აქტივს აკორექტირებს), თუ:

- იჯარის ვადა შეიცვალა ან ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ხდომილებას ან გარემოებათა ისეთ ცვლილებას, რამაც გამოიწვია შესყიდვის ოფციონის რეალიზების შეფასების ცვლილება; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების დისკონტირებით (კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით).
- საიჯარო გადახდები შეიცვალა გარანტირებული ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე მოსალოდნელი გადახდის ცვლილების ან ინდექსისა თუ განაკვეთის ცვლილების გამო; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების ძველი განაკვეთით დისკონტირებით (თუ იჯარის გადასახადის ცვლილება გამოწვეული არაა მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით, რა დროსაც გამოიყენება კორექტირებული დისკონტირების განაკვეთი).
- მოხდა საიჯარო კონტრაქტის მოდიფიცირება და იჯარის მოდიფიკაცია არ აღრიცხულა როგორც დამოუკიდებელი იჯარა; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება მოდიფიცირებული იჯარის საიჯარო ვადაზე დაყრდნობით და კორექტირებული გადახდების ასევე კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით დისკონტირების გზით, მოდიფიკაციის ძალაში შესვლის დღეს.

კომპანიას წარმოდგენილ პერიოდებში მსგავსი კორექტირებები არ გაუკეთებია.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები მოიცავს შესაბამისი საიჯარო ვალდებულების საწყის აღიარებას, იჯარის დაწყების დღეს ან მანამდე გადახდილ საიჯარო გადახდებს, და აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები და საწყისი პირდაპირი ხარჯები. შემდგომში ასეთი აქტივები აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

როდესაც კომპანიას ეკისრება ისეთი ხარჯების ვალდებულება, რაც დაკავშირებულია იჯარით აღებული აქტივის დემონტაჟთან და გატანასთან, მისი მდებარეობის ადგილის აღდგენასთან ან შესაბამისი აქტივის იჯარის პირობებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში მოყვანასთან, აღიარდება რეზერვი, რომელიც ფასდება ბასს 37-ის საფუძველზე. თუ ხარჯები გამოყენების უფლების მატარებელ აქტივთანაა დაკავშირებული, ისინი შედის შესაბამისი აქტივის ღირებულებაში, თუ ამ ხარჯების გაწევა მარაგების შექმნასთან არაა დაკავშირებული.

გამოყენების უფლების მატარებელ აქტივებს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და შესაბამისი აქტივის მოხმარების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში. თუ იჯარით ხდება შესაბამისი აქტივის საკუთრების უფლების გადაცემა ან გამოყენების უფლების მატარებელი აქტივის ღირებულებაში ასახლია, რომ ჯგუფი მოელის შესყიდვის ოფციონის რეალიზებას, შესაბამის გამოყენების უფლების მატარებელ აქტივს ცვეთა ერიცხება აქტივის მოხმარების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება იჯარის დაწყებისას.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია დამოუკიდებელ მუხლში.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივის გაუფასურების დასადგენად გამოიყენება ბასს 36. გაუფასურების გამოვლენილი ზარალი აღირიცხება „ძირითადი საშუალებების" პოლიტიკაში აღწერილი წესით.

ცვლადი ქირა, რომელიც არ არის დამოკიდებული ინდექსსა თუ განაკვეთზე, იჯარის ვალდებულებისა და გამოყენების უფლების მატარებელი აქტივის შეფასებაში არ შედის. შესაბამისი გადახდები ხარჯად აღირიცხება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ამ გადახდების წარმომშობ მოვლენას ან გარემოებას, და შედის მოგებაში ან ზარალში.

პრაქტიკული შეღავათის სახით, ფასს 16 მოიჯარეს უფლებას აძლევს, არ დააცალკევოს არასაიჯარო კომპონენტები და საიჯარო და შესაბამისი არასაიჯარო კომპონენტები ერთი გარიგების ფარგლებში აღრიცხოს. კომპანიას ეს პრაქტიკული შეღავათი არ გამოუყენებია. ისეთი კონტრაქტების შემთხვევაში, რომელიც გულისხმობს საიჯარო კომპონენტს და ერთ ან მეტ დამატებით საიჯარო ან არასაიჯარო კომპონენტს, კომპანია კონტრაქტით გათვალისწინებულ საზღაურს თითოეულ საიჯარო კომპონენტზე

ანაწილებს საიჯარო კომპონენტის დამოუკიდებელი ფასისა და არასაიჯარო კომპონენტების დამოუკიდებელი, ჯამური ფასის საფუძველზე.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის მიერ შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური ატივების საბალანსო ღირებულება აღირიცხება, როგორც გამოყენების ღირებულებასა და რეალური ღირებულებისა და რეალიზაციის ხარჯების სხვაობას შორის უდიდესი ოდენობა.

კომპანიის არამატერიალური აქტივები უმთავრესად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ამორტიზდება წრფივი მეთოდით სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში მისი გამოყენების პირველი დღიდან მოყოლებული. პროგრამული უზრუნველყოფის სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება 7 წლით.

სხვა მოთხოვნები. სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა გრძელვადიანად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც მასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებულ უნდა იქნეს ერთი წლის შემდეგ, ან მაშინ, როდესაც წინასწარი გადახდა ისეთ აქტივთანაა დაკავშირებული, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესასყიდად განკუთვნილი წინასწარი გადახდები, აქტივის კონტროლის მოპოვებისთანავე და ისეთი ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, რომ მასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს, გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. სხვა წინასწარი გადახდები მოგება-ზარალში ჩამოიწერება მათთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღების დროს. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება კომპანიას არ მიეწოდება, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და მოგება-ზარალში აღიარდება მისი შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ან სამ თვემდე ვადით განთავსებულ სახსრებს ბანკებში. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

საბანკო დეპოზიტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივ ბიზნეს-გარიგებებში, დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯების გამოკლებით.

ფინანსური ინსტრუმენტები - აღრიცხვის ძირითადი პრინციპები. ფინანსური ინსტრუმენტები იზომება და მათი კლასიფიკაცია ხდება ფასს 9-ის მიხედვით.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად იზომება სამართლიანი ღირებულებით პლუს ან მინუს, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება არ არის გაზომილი სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში, გარიგების ხარჯები. ფასს 9 ანაწილებს ყველა იმ ფინანსურ აქტივს, რომლებიც ამჟამად მოცემულია ბასს 39-ის ფარგლებში, ორ კლასიფიკაციად - ისინი,
რომლებიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით და ისინი, რომლებიც იზომება რეალური ღირებულებით.

თუკი აქტივები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სარგებელი და ზარალი ან მთლიანად აღიარებულია მოგება-ზარალში (მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღიარებული, FVTPL), ან აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღიარებული, FVTOCI).

სავალო ინსტრუმენტებისთვის, FFVTOCI–ის კლასიფიკაცია სავალდებულოა გარკვეული აქტივებისათვის, თუკი სამართლიანი ღირებულების ვარიანტი არ იქნება არჩეული. კაპიტალის ინვესტიციებისთვის FFVTOCI– ის კლასიფიკაცია არჩევანის საგანია.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია ხდება მისი თავდაპირველად აღიარების დროს, კერძოდ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე. თუ გარკვეული პირობები დაკმაყოფილდება, შეიძლება საჭირო გახდეს აქტივის კლასიფიკაციის შეცვლა.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს.

სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მაჩვენებელი არის აქტიურ ბაზარზე მოქმედი ფასი. აქტიურია ბაზარი, რომელზეც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ტრანზაქციები ისეთი სიხშირითა და მოცულობით ხდება, რომ შესაძლებელია ფასის შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიღება.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შესყიდვას, გამოშვებას ან რეალიზაციას. დამატებითია ხარჯი, რომელსაც პირი არ გასწევდა ტრანზაქციის შესრულების გარეშე. ტრანზაქციის ხარჯებში შედის აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვის აგენტებად მოქმედი თანამშრომლებისთვის), მრჩევლებისთვის, ბროკერებისა და დილერებისათვის გადახდილი საკომისიოები, მარეგულირებელი სამსახურებისა და საბირჟო მოსაკრებლები და გადარიცხვის გადასახადები და მოსაკრებლები. ტრანზაქციის ხარჯებში არ შედის სესხის პრემიუმები თუ ფასდათმობები, ფინანსური ხარჯები და შიდა ადმინისტრაციული თუ ჰოლდინგის ხარჯები.

ამორტიზებული ღირებულება არის ის თანხა, რომლის ოდენობითაც მოხდა ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარება, ძირითადი თანხის გადახდების გამოკლებით და დარიცხული პროცენტის მიმატებით, ხოლო ფინანსური აქტივებისათვის - აღრიცხული გაწეული გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯებისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გადასახდელ თანხამდე დისკონტირების ან პრემიუმის ამორტიზაციას. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯები, მათ შორის, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული დისკონტი თუ პრემიუმი (მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისიო, თუ ასეთი არსებობს), ცალკე არ აღიარდება და შედის შესაბამისი ერთეულების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (გ) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არადაკავშირებული მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხების ხარჯების კაპიტალიზაცია. სესხების ხარჯები, რომლებიც განეკუთვნება აქტივების ისეთ შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, რასაც მოსახმარი ან გასაყიდი აქტივების (კვალიფიცირებული აქტივები) მიღებას სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილი.

კაპიტალიზაციის საწყისი თარიღია ის დღე, როდესაც (ა) კომპანია გასწევს კვალიფიცირებული აქტივის მისაღებად საჭირო ხარჯებს; (ბ) კომპანია გასწევს სესხების ხარჯებს; და (გ) კომპანია წამოიწყებს იმ ზომებს, რომლებიც საჭიროა აქტივების გასამზადებლად მათ მოსახმარად ან გასაყიდად.

სესხების ხარჯების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ დღემდე, სანამ აქტივები არსებითად არ გამზადდება მოსახმარად ან გასაყიდად.

კომპანია ახდენს სესხების იმ ხარჯების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილება მას შეეძლო, კვალიფიცირებულ აქტივებზე კაპიტალური დანახარჯები რომ არ გაეწია. კაპიტალიზებული სესხების ხარჯები გამოითვლება კომპანიის საშუალო ფონდირების ხარჯების მიხედვით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი ვრცელდება კვალიფიცირებულ აქტივებზე გაწეულ ხარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფონდების სესხება ხდება კონკრეტულად კვალიფიცირებული აქტივის მიღების მიზნით. ასეთ დროს კაპიტალიზდება რეალურად გაწეული სესხების ხარჯებისა და ამ ნასესხები სახსრების დროებით ინვესტირების შემოსავლის სხვაობა.

მომავალი ხარჯებისა და გადახდების რეზერვი. მომავალი ხარჯებისა და გადახდების რეზერვი არის გაურკვეველი დროისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენიდან გამომდინარე; მოსალოდნელია, რომ ვალდებულების შესრულება მოითხოვს ეკონომიკური სარგებლის გადინებას; და მათი ოდენობა სარწმუნოდ იზომება. თუ ეფექტი

მნიშვნელოვანია, რეზერვები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროში ღირებულების ბაზრისეულ შეფასებას და კონტექსტის მიხედვით, ვალდებულებისთვის დამახასიათებელ კონკრეტულ რისკებს.

სავაჭრო და სხვა გადასახდელები. სავაჭრო და სხვა გადასახდელები ირიცხება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს. სავაჭრო და სხვა გადასახდელები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში კი - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავაჭრო გადასახდელები აისახება დღგ-ის ჩათვლით.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება (მათ შორის, საწესდებო კაპიტალის, წილებისა და სხვა) შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის აქციონერთა გადაწყვეტილებით. ნებადართული კაპიტალი კომპანიის საკუთარ კაპიტალში საწესდებო კაპიტალად აღიარდება აქციონერთა გადაწყვეტილებით.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ირიცხება ანგარიშგების დღეს სრულად ან არსებითად ძალაში შესული საქართველოს კანონმდებლობით. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. შეცვლილი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (ძველად მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიცემოდა).

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც ვრცელდება კომპანიაზე. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურად განხორციელებულ, აგრეთვე განზრახულ მოგების განაწილებას, მათ შორის, შემდეგს:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არ ეხება ეკონომიკურ საქმიანობას;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადაცემა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ თანხას.

განაწილებულ მოგებაზე მოგების გადასახადი აღიარდება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოგების გადასახადად ჩაწერისთანავე. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის აისახება იმ ოდენობით, რომელიც სავარაუდოდ, გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს ან მიიღება მათგან.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხულ გადასახადს გარდა ზემოთხსენებულ სხვა კატეგორიებზე დარიცხული გადასახადი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საგადასახადო ხარჯების სახით.

გადასახადების ცნების ცვლილების გამო ტერმინი "აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა" კარგავს დამახასიათებელ ეკონომიკურ ცნებას. ახალი საგადასახადო მოდელით ბასს 12 - მოგების

გადასახადის მიხედვით განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები ძალას კარგავს.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გაშვებული საქონლის დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებში გადაიხდება კლიენტებისათვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას. შემავალი დღგ ჩვეულებრივ იქვითება გამავალი დღგ-დან ანგარიშფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები კომპანიებს ნებას რთავენ, დღგ ურთიერთჩათვალონ ნეტ საფუძველზე. გაყიდვებსა და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ ნეტ საფუძველზე აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი თანხით დღგ-ის ჩათვლით.

2015 წლის 31 დეკემბრიდან მოყოლებული, ხელმძღვანელობა კომპანიის საგადასახადო ნაშთებს წარადგენს ნეტ საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის #407 ბრძანების შესაბამისად.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი აღიარდება დღგ-ის გარეშე. შემოსავლები აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით.

მნიშვნელოვანია, რეზერვები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროში ღირებულების ბაზრისეულ შეფასებას და კონტექსტის მიხედვით, ვალდებულებისთვის დამახასიათებელ კონკრეტულ რისკებს.

სავაჭრო და სხვა გადასახდელები. სავაჭრო და სხვა გადასახდელები ირიცხება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს. სავაჭრო და სხვა გადასახდელები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში კი - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავაჭრო გადასახდელები აისახება დღგ-ის ჩათვლით.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება (მათ შორის, საწესდებო კაპიტალის, წილებისა და სხვა) შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის აქციონერთა გადაწყვეტილებით. ნებადართული კაპიტალი კომპანიის საკუთარ კაპიტალში საწესდებო კაპიტალად აღიარდება აქციონერთა გადაწყვეტილებით.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ირიცხება ანგარიშგების დღეს სრულად ან არსებითად ძალაში შესული საქართველოს კანონმდებლობით. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. შეცვლილი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (ძველად მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიცემოდა).

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც ვრცელდება კომპანიაზე. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურად განხორციელებულ, აგრეთვე განზრახულ მოგების განაწილებას, მათ შორის, შემდეგს:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არ ეხება ეკონომიკურ საქმიანობას;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადაცემა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ თანხას.

განაწილებულ მოგებაზე მოგების გადასახადი აღიარდება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოგების გადასახადად ჩაწერისთანავე. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის აისახება იმ ოდენობით, რომელიც სავარაუდოდ, გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს ან მიიღება მათგან.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხულ გადასახადს გარდა ზემოთხსენებულ სხვა კატეგორიებზე დარიცხული გადასახადი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საგადასახადო ხარჯების სახით.

გადასახადების ცნების ცვლილების გამო ტერმინი "აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა" კარგავს დამახასიათებელ ეკონომიკურ ცნებას. ახალი საგადასახადო მოდელით ბასს 12 - მოგების

გადასახადის მიხედვით განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები ძალას კარგავს.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გაშვებული საქონლის დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებში გადაიხდება კლიენტებისათვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას. შემავალი დღგ ჩვეულებრივ იქვითება გამავალი დღგ-დან ანგარიშფაქტურის გაყიდვებსა და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ ნეტ საფუძველზე აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი თანხით დღგ-ის ჩათვლით.

2015 წლის 31 დეკემბრიდან მოყოლებული, ხელმძღვანელობა კომპანიის საგადასახადო ნაშთებს წარადგენს ნეტ საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის #407 ბრძანების შესაბამისად.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი აღიარდება დღგ-ის გარეშე. შემოსავლები აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით.

ადგილობრივი გაყიდვები აისახება მიწოდებული ელექტროენერგიის საფუძველზე და გამოითვლება მოქმედი ტარიფებით.

საექსპორტო გაყიდვები და ელექტროენერგიის ტრანზიტი აღიარდება ელექტროენერგიის აღრიცხული გადაცემის საფუძველზე და გამოითვლება საკონტრაქტო ტარიფებით.

თანამშრომელთა ბენეფიტები. ხელფასები, ჯამაგირები, წლიური და ავადმყოფობის შვებულების ანაზღაურება, ბონუსები და სხვა ბენეფიტები (კვება, ცხოვრება, ტრანსპორტირება, ა.შ.) ირიცხება იმ პერიოდში, როდესაც კომპანიის თანამშრომლები შესაბამის მომსახურებას გასწევენ. 2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, კომპანია ვალდებულია, გადაიხადოს თანამშრომელთა მთლიანი ხელფასებისა და ბენეფიტების 2%-ის ოდენობის საპენსიო შენატანები.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები მოიცავს ნასესხებ სახსრებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს, საპროცენტო შემოსავალს ინვესტირებულ თანხებზე და უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებულ მოგებასა და ზარალს, რომლებიც დაკავშირებულია ნასესხებ სახსრებთან და ფულთან და ფულის ექვივალენტებთან.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა საპროცენტო და სხვა ხარჯი აღიარდება ფინანსური ხარჯების ფარგლებში გაწეულად გაწევის მომენტში. რაც შეეხება კვალიფიცირებულ აქტივებთან დაკავშირებულ სესხების ხარჯებს, კომპანია ახდენს იმ ხარჯების კაპიტალიზებას, რაც პირდაპირაა დაკავშირებული კვალიფიცირებული აქტივების შესყიდვასთან, დამზადებასთან ან წარმოებასთან, ამ აქტივის თვითღირებულების ფარგლებში.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დარიცხვისთანავე, აქტივზე ეფექტური ამონაგების გათვალისწინებით.

პრეზენტაციის ცვლილება. გამოცემის შემდგომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ნებისმიერი ცვლილება საჭიროა დამტკიცდეს კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომელმაც გასცა დოკუმენტის გამოცემის ნებართვა.

4. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული შეფასებები და დასკვნები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომელიც გავლენას ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების ასახულ ოდენობებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. აღრიცხვის პროცედურების გამოყენებისას, ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს შეფასებებს,

იმათ გარდა, რომლებიც მოიცავს პროგნოზებს. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ შუალედურ შემოკლებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

საგადასახადო კანონმდებლობა და რეზერვების აღრიცხვა. კომპანიის არასარწმუნო საგადასახადო პოზიციებს ხელმძღვანელობა აფასებს თითოეულ საანგარიშო დღეს. ვალდებულებები აღირიცხება იმ საგადასახადო პოზიციებისათვის, რომელთა შენარჩუნება, ხელმძღვანელობის აზრით, ნაკლებ სავარაუდოა, მათი საგადასახადო ორგანოების მხრიდან ეჭვქვეშ დაყენების შემთხვევაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის უკვე მოქმედი ან არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების საფუძველზე. საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის ვალდებულების გარდა, აღიარდება ხელმძღვანელობის მხრიდან იმის პროგნოზის საფუძველზე, თუ რა ოდენობის ხარჯი იქნება საჭირო ანგარიშგების დღეს ვალდებულებების დასაფარად.

მეკავშირე მხარესთან გარიგებების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანია გარიგებებს აფორმებს მეკავშირე მხარეებთან. ფასს 9-ით მოითხოვება, რომ ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება მოხდეს მათი სამართლიანი ღირებულებით. შეფასება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგებების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებითაა შეფასებული თუ არა, სადაც ამგვარი გარიგებებისთვის მოქმედი ბაზარი არ არსებობს. შეფასების საფუძველია არამეკავშირე მხარეებთან

მსგავსი სახის გარიგებების ფასი და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. მეკავშირე მხარეებთან არსებული ნაშთების პირობები განმარტებულია შენიშვნაში 6.

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა. ძირითადი საშუალებების პუნქტების სარგებლიანობის ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სარგებლიანობის ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ჯგუფის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექმომსახურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

5. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

2021 წელს კომპანიამ გამოიყენა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები:

- *ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა* - მე-2 ფაზა (შესწორება სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16)

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ (ბასსს) გამოსცა „ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - მე-2 ფაზა (შესწორებები სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16)" ისეთ პრობლემებზე მიმართული შესწორებებით, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიონ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შემდეგ, ალტერნატიული ამოსავალი განაკვეთებით ჩანაცვლების ჩათვლით. შესწორებები ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

მე-2 ფაზის შესწორებების მიხედვით:

- როდესაც კომპანიის საბანკო სესხების საკონტრაქტო პირობები იცვლება და ახალ ვარიანტში გათვალისწინებულია ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა, ხოლო სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დასადგენი ახალი საფუძველი ეკონომიკურად შეესაბამება იმ საფუძველს, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ცვლილებამდე არსებულს, კომპანია პროსპექტიულად ცვლის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დადგენის საფუძველს და ამისათვის აკორექტირებს მოქმედ საპროცენტო განაკვეთს.
- თუ ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შედეგად მოხდა იჯარის მოდიფიცირება და საიჯარო გადახდების დასადგენი ახალი საფუძველი ეკონომიკურად შეესაბამება იმ საფუძველს, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ცვლილებამდე არსებულს, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, რათა ასახოს კორექტირებული და ახალი დისკონტირების განაკვეთით დისკონტირებული საიჯარო გადახდები, რომლებშიც გათვალისწინებულია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დასადგენი საფუძვლის ცვლილება.

აღნიშნული შესწორებების გამოყენება კომპანიას საშუალებას აძლევს, ბანკთაშორისი განაკვეთებიდან ალტერნატიულ ამოსავალ საპროცენტო განაკვეთებზე (იგივე „ურისკო განაკვეთები") გადასვლის ეფექტი ისე ასახოს აღრიცხვაში, რომ ამით არ გამოიწვიოს სააღრიცხვო ეფექტი, რაც არ მისცემდა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს მისთვის სასარგებლო ინფორმაციას. კომპანიას წინა პერიოდის გადაფასება არ გაუკეთებია. გარდა ამისა, არ მომხდარა შესწორებათა ეფექტის რეტროსპექტიული ასახვა ან ფინანსური ინფორმაციის მიზნებისათვის 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კაპიტალის შესაბამის კომპონენტებში კორექტირების აღიარება.

- *კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა* 2021 წლის 21 ივნისის შემდეგ (შესწორება სტანდარტში ფასს 16).

გუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ (ბასსს) გამოსცა „კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ (შესწორება სტანდარტში ფასს 16)", რომელიც ერთი წლით ახანგრძლივებს 2020 წლის მაისის შესწორების მოქმედებას. ამ შესწორებით მოიჯარეს უფლება ჰქონდა, თავად გადაეწყვიტა, იყო თუ არა კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია.

კომპანიის მმართველობამ განიხილა აღნიშნული სტანდარტები და ინტერპრეტაციები. მათი მოქმედება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე უმნიშვნელოა.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

	ძალაშია შემდეგ თარიღში ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის
ახალი ან რედაქტირებული სტანდარტი ან ინტერპრეტაცია	1 იანვარი 2023
ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები	1 იანვარი 2023
შესწორება სტანდარტში ფასს 4 - სადაზღვევო კონტრაქტები შესწორება სტანდარტში ბასს 1 - ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად (ფასს სტანდარტების გაუმჯობესების 2010-2012 წლების ციკლის ფორმულირების პროექტის ფარგლებში)	1 იანვარი 2023
სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება (შესწორება სტანდარტში ბასს 8)	1 იანვარი 2023
სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტება - (შესწორება სტანდარტში ბასს 1 და განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ)	1 იანვარი 2023
წლიური შესწორებები - ფასს სტანდარტების 2018-2020 წლების ციკლი: მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე (შესწორება სტანდარტში ფასს 3)	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 16 - ძირითადი საშუალებები - დაგეგმილ გამოყენებამდე მიღებული შემოსავალი	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები" – „მძიმე კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯი"	1 იანვარი 2022

შესწორებები სტანდარტში ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, ბასს 41 - სოფლის მეურნეობა და ბასს 16 - იჯარა სტანდარტზე დართული საილუსტრაციო მაგალითები	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 12 - ერთჯერადი ტრანზაქციიდან მიღებულ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი	1 იანვარი 2023
შესწორება სტანდარტებში ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის.	თარიღს დაადგენს ბასსს

კომპანია არ მოელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების გამოყენებას მომავალ პერიოდებში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

ფასს **17** სადაზღვევო კონტრაქტები

ახალი სტანდარტით დგინდება სადაზღვევო კონტრაქტების აღიარების, გაზომვის, განმარტებისა და წარმოდგენის პრინციპები. ის ფასს 4-ს - სადაზღვევო კონტრაქტებს ჩაანაცვლებს.

სტანდარტი იძლევა "ზოგად მოდელს", რომელიც მოდიფიცირდება და განიხილება ისეთი სადაზღვევო კონტრაქტებისათვის, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობას ითვალისწინებს, რაც "ცვლადი ანაზღაურების მიდგომად" განისაზღვრება. "ზოგადი მოდელი" მარტივდება "პრემიუმის განაწილების მიდგომის" გამოყენებით დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებათა შეფასების კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

"ზოგად მოდელში" გამოყენებულია მიმდინარე დაშვებები სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასთან, დროსა და განუსაზღვრელობასთან დაკავშირებით. მოდელი ცალცალკე აფასებს ამ განუსაზღვრელობის ღირებულებას; მოდელი ეფუძნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთებსა და პოლისის მფლობელის ოფციონებისა და გარანტიების ზეგავლენას.

ახალი სტანდარტი ძალაში შევა 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენების უფლება დაშვებულია. კომპანიამ ფასს 17 რეტროსპექტიულად უნდა გამოიყენოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეუძლებელია. ასეთ დროს გამოყენებული იქნება რეალური ღირებულების მიდგომა ან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომა. ფასს 17-ის შესწორებათა წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს განხორციელების იმ სირთულეების გადაჭრას, რომლებიც ფასს 17-ის გამოქვეყნების შემდეგ გაჩნდა. ამ თვალსაზრისით სტანდარტის ძალაში შესვლა გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე (დადგინდა 2021 წლის 1 იანვრიდან).

გარდამავალი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, პირველი გამოყენების თარიღია იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი, რომლის დროსაც პირი სტანდარტს პირველად გამოიყენებს, ხოლო გადასვლის თარიღად ითვლება იმ პერიოდის დასაწყისი, რომელიც უშუალოდ უსწრებს პირველი გამოყენების თარიღს.

კომპანიის მმართველობა არ ელის, რომ აღნიშნული სტანდარტის ამოქმედებას ზეგავლენა ექნება მომავალში კომპანიის შემოკლებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან კომპანიას არ აქვს ამ სტანდარტით რეგულირებადი ინსტრუმენტები.

შესწორებები სტანდარტში ფასს 17

შესწორებები სტანდარტში ფასს 17 შეიქმნა იმ გამოწვევებზე საპასუხოდ, რომლებიც გამოვლინდა 2017 წელს სტანდარტის ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტების გამოქვეყნების შემდეგ. შესწორებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

კომპანიის მმართველობა არ ელის, რომ აღნიშნული სტანდარტის ამოქმედებას ზეგავლენა ექნება მომავალში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ამგვარი ტრანზაქციების განხორციელების შემთხვევაში.

შესწორება სტანდარტებში ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის. შესწორებები სტანდარტებში ფასს 10 და ბასს 28 ეხება ისეთ სიტუაციებს, როდესაც ადგილი აქვს ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვას ან

შეწირვას. კერძოდ, შესწორებების მიხედვით, ისეთი მოგება ან ზარალი, რაც წარმოიშვება ისეთ შვილობილზე კონტროლის დაკარგვით, რომელიც არ მოიცავს ბიზნესს, თუ კონტროლის დაკარგვა მოხდა კაპიტალის მეთოდით აღრიცხულ პარტნიორთან ან ერთობლივ საწარმოსთან ტრანზაქციაში, დამფუძნებლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება მხოლოდ ამ პარტნიორსა თუ ერთობლივ საწარმოში არამეკავშირე ინვესტორის მიერ ფლობილი წილის პროპორციულად. ამგვარადვე, ყოფილ შვილობილში (რომელიც გახდა კაპიტალის მეთოდით აღრიცხული პარტნიორი ან ერთობლივი საწარმო) შენარჩუნებული ინვესტიციების რეალურ ღირებულებაზე გადაფასებიდან წარმოშობილი მოგება და ზარალი ყოფილი დამფუძნებლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება მხოლოდ ახალ პარტნიორსა თუ ერთობლივ საწარმოში არამეკავშირე ინვესტორის მიერ ფლობილი წილის პროპორციულად.

ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დადგენილა. თუმცა, ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. კომპანიის მმართველობა არ ელის, რომ აღნიშნული სტანდარტის ამოქმედებას ზეგავლენა ექნება მომავალში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ამგვარი ტრანზაქციების განხორციელების შემთხვევაში.

შესწორება სტანდარტში ბასს 1 - ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად (ფასს სტანდარტების გაუმჯობესების 2010-2012 წლების ციკლის ფორმულირების პროექტის ფარგლებში). შესწორება პირს ეხმარება იმის დადგენაში, რომ ვალდებულება გრძელვადიანად კლასიფიცირდება, თუ ორგანიზაცია მოელის და აქვს იმის უფლებამოსილება, რომ მოახდენს ვალდებულების რეფინანსირებას ან მისი დაფარვის ვადას გადადებს სულ მცირე 12 თვით საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ეს მოხდება წინა გამსესხებელთან არსებული საკრედიტო ხაზით, იმავე ან მსგავსი პირობებით.

შესწორებით რედაქტირდება მხოლოდ ვალდებულებათა წარმოდგენის ფორმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანუ არა თანხის, აღიარების მომენტის ან ინფორმაციის განმარტების თვალსაზრისით.

შესწორება განმარტავს, რომ კლასიფიცირების საფუძვლად აღებული უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დაფარვის სულ მცირე 12 თვით გადადების უფლების არსებობა. ამდენად, შესწორება მკაფიოდ აღნიშნავს, რომ ვალდებულების კლასიფიკაციაზე მოქმედებს მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც არსებობს „საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს". გარდა ამისა, კლასიფიკაცია არაა დამოკიდებული იმის მოლოდინზე, გამოიყენებს თუ არა ორგანიზაცია ვალდებულების დაფარვის გადავადების უფლებას, რაშიც მოიაზრება კონტრაგენტისათვის სახსრების, კაპიტალის ინსტრუმენტების თუ სხვა აქტივების ან მომსახურებების გადაცემა. შესწორება რეტროსპექტიულად ვრცელდება 2023 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებულ პერიოდებზე. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

კომპანიის მმართველობა არ ელის, რომ აღნიშნული შესწორებების ამოქმედებას ზეგავლენა ექნება მომავალ პერიოდებში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორება სტანდარტში ბასს 8 - საღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება

ცვლილებები სტანდარტში ბასს 8 მთლიანად ეთმობა საღრიცხვო შეფასებებს და განმარტავს შემდეგს:

- საღრიცხვო შეფასებებში ცვლილების განსაზღვრება ჩანაცვლდა საღრიცხვო შეფასებების განსაზღვრებით.
- პირი საღრიცხვო შეფასებას შეიმუშავებს, თუ საღრიცხვო პოლიტიკით აუცილებელია ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ერთეულების ისეთი შეფასება, რომელშიც შეფასების განუსაზღვრელობაა ჩადებული.
- საბჭოს განმარტებით, საღრიცხვო შეფასებათა ისეთი ცვლილება, რომელიც წარმოიშვება ახალი ინფორმაციის ან ახალი ხდომილებების შედეგად, შეცდომის კორექტირება არაა.
- საღრიცხვო შეფასების ცვლილება მოქმედებს მხოლოდ მიმდინარე პერიოდის მოგებაზე ან ზარალზე ან როგორც მიმდინარე პერიოდის, აგრეთვე მომავალი პერიოდების მოგებაზე ან ზარალზე.

შესწორებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და ვრცელდება საღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებზე და საღრიცხვო შეფასებების ცვლილებებზე, რომლებსაც ადგილი აქვს ამ პერიოდის დასაწყისში ან დაწყების შემდეგ. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

საღრიცხვო პოლიტიკების განმარტება (შესწორება სტანდარტებში ბასს 1 და განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ)

სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტების (შესწორება სტანდარტებში ბასს 1 და განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ) მიზანია სტანდარტის ბასს 1 რედაქტირება შემდეგნაირად:

- პირი ახლა ვალდებულია, განმარტოს ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, ნაცვლად ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკებისა.
- დამატებულია რამდენიმე პარაგრაფი, რომლებიც განმარტავს, როგორ უნდა დაადგინოს პირმა, რომელია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და მაგალითით გვიჩვენებს, თუ როდისაა სავარაუდო, სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია იყოს არსებითი ხასიათის.
- სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია შეიზლება არსებითი იყოს თავისი ბუნებიდან გამომდინარე, თუნდაც თანხები უმნიშვნელო იყოს.
- სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არსებითია, თუ პირის ფინანსური ანგარიშის მომხმარებელს იგი ესაჭიროება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული სხვა არსებითი ინფორმაციის გასაგებად; და
- თუ პირმა განმარტა არაარსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, ამ ინფორმაციამ არ უნდა გააძნელოს არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის წარმოჩენა.

გარდა ამისა, შესწორდა განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ. მას დაემატა სახელმძღვანელო პრინციპები და მაგალითები, რომლებიც გვიჩვენებს ბასს 1-ის შესწორებათა მხარდასაჭერად სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციაზე „არსებითობის ოთხნაბიჯიანი პროცესის" გამოყენებას.

შესწორებები მოქმედებს პროსპექტიულად. სტანდარტის ბასს 1 შესწორებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის. თუ პირმა გამოიყენა შესწორება სტანდარტში ბასს 1, მას აგრეთვე უფლება აქვს, გამოიყენოს შესწორებები განცხადებაში 2 ფასს პრაქტიკის შესახებ.

წლიური შესწორებები - ფასს სტანდარტების 2018-2021 წლების ციკლი. ციკლი მოიცავს შესწორებებს სამ სტანდარტში, აგრეთვე, ყოველწლიურ შესწორებებს, რომლებიც განმარტავს ფორმულირებებს, აღმოფხვრის მცირე უზუსტობებს, გამოტოვებულ ინფორმაციას ან სტანდარტებში მოცემულ მოთხოვნებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს.

- შესწორებები სტანდარტში ფასს 3 - ბიზნეს-კომბინაციები. აღნიშნული შესწორება მიზნად ისახავს ფასს 3 სტანდარტში ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოზე მოძველებული მითითების განახლებას ბიზნეს კომბინაციების სააღრიცხვო მოთხოვნების ცვლილების გარეშე.

- შესწორება სტანდარტში ბასს 16 - ძირითადი საშუალებები. შესწორება კრძალავს ძირითადი საშუალების თვითღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოკლებას, რომელიც მიღებულია ისეთ პერიოდში ნაწარმოები პროდუქციის გაყიდვით, როდესაც ხდებოდა მოცემული აქტივის მენეჯმენტის მიერ დაგეგმილი ოპერირებისათვის გამზადების პროცესში. ამის ნაცვლად, პირი ვალდებულია, გაყიდვით მიღებული შემოსავალი და შესაბამისი ხარჯები აღიაროს მოგებაში ან ზარალში.

- შესწორება სტანდარტში ბასს 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები" ადგენს იმ ხარჯებს, რომლებიც უნდა შევიდეს კონტრაქტის მოგებიანობის დადგენის პროცესში.

- წლიური შესწორებები მოიცავს მცირე ცვლილებებს სტანდარტებში ფასს 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თავდაპირველი გამოყენება", ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები", ბასს 41 „სოფლის მეურნეობა" და სტანდარტზე ფასს 16 „იჯარები" დართული საილუსტრაციო მაგალითები. ყველა შესწორება ძალაშია 2022 წლის 1 იანვრისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართული არაა.

კომპანიის მმართველობა არ მოელის, რომ ამ შესწორებათა ამოქმედება ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე მომავალ პერიოდებში, თუ ამგვარი ტრანზაქციები განხორციელდა.

6. ნაშთები და ტრანზაქციები მეკავშირე მხარეებთან

მხარეები მეკავშირედ ითვლებიან, თუ ისინი იმყოფებიან ერთობლივ კონტროლქვეშ ან რომელიმე მათგანს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე, ან იქონიოს მნიშვნელოვანი ზეგავლენა, ან ერთობლივად გააკონტროლოს მეორე მხარე ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებში. თითოეული ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მეკავშირე მხარეებთან არსებული ნაშთები იყო:

ქართულ ლარში	შენიშვნა	ძირითადი აქციონერი	სხვა აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ
სხვა მოთხოვნები		-	-	18,276
აღებული სესხები	12	-	142,839,351	-
მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები		318,624	-	-

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მეკავშირე მხარეებთან არსებული ნაშთები იყო:

ქართულ ლარში	შენიშვნა	ძირითადი აქციონერი	სხვა აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ
სხვა მოთხოვნები		-	-	19,332
აღებული სესხები	12	828,351	161,410,600	-
მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები		292,804	-	-

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს მეკავშირე მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯების პუნქტები იყო:

ქართულ ლარში	შენიშვნა	ძირითადი აქციონერი	სხვა აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ
სხვა შემოსავალი		-	-	193,185
მომსახურების ხარჯები	15	674,111	-	
ფინანსური ხარჯები	12	40,507	7,657,610	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		7,303	-	-

სხვა შემოსავალი მიიღება შპს „ტაბასათვის" მიწოდებული ზოგადი და ადმინისტრაციული მომსახურებიდან. მომსახურების ხარჯებში შედის „აკაფის" მიერ დარიცხული მართვის გადასახადი კომპანიისათვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურებისათვის.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს მეკავშირე მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯების პუნქტები იყო:

ქართულ ლარში	შენიშვნა	ძირითადი აქციონერი	სხვა აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ
სხვა შემოსავალი		-	-	194,401
მომსახურების ხარჯები		646,215	-	
საპროცენტო ხარჯი	12	40,833	10,532,393	-

ქართულ ლარში	შენიშვნა	ძირითადი აქციონერი	სხვა აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ
სხვა საოპერაციო ხარჯები		21,127	-	-

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება. უმაღლესი ხელმძღვანელობა მოიცავს კომპანიის გენერალურ მენეჯერს და კომერციულ დირექტორს.

ქვემოთ წარმოდგენილია უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება:

ქართულ ლარში	2021		2020	
	ხარჯი	**დარიცხული ვალდებულება**	**ხარჯი**	**დარიცხული ვალდებულება**
მოკლევადიანი ბენეფიტები:				
- ხელფასები	1,019,111	-	1,735,969	186,076
- მოკლევადიანი ბონუსები	364,607	12,986	177,993	26,699
სულ	**1,383,718**	**12,986**	**1,913,962**	**212,775**

7. ძირითადი საშუალებები

ქართულ ლარში	მიწა და შენობა ნაგებობები	ტრანსფორმატორები, გენერატორები და ჰესთან დაკავშირებული ტექნიკა	გადამცემი ხაზები და შესაბამისი ტექნიკა	ინფრასტრუქტურული აქტივები	მანქანა-დანადგარები	აქსესუარები და სხვა მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმონტაჟებელი მოწყობილობები	სულ
თვითღირებულება									
1 იანვარი 2020	208,906,814	82,550,409	12,679,377	2,077,761	1,053,214	294,033	539,135	551,760	**308,652,503**
დამატება	2,207	-	-	-	-	11,793	-	-	**14,000**
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	**208,909,021**	**82,550,409**	**12,679,377**	**2,077,761**	**1,053,214**	**305,826**	**539,135**	**551,760**	**308,666,503**
დამატება	-	-	-	-	2,373	10,242	-	3,243	**15,858**
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-	(372,317)	-	**(372,317)**
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	(36,865)	-	**(36,865)**
31 დეკემბერი 2021	**208,909,021**	**82,550,409**	**12,679,377**	**2,077,761**	**1,055,587**	**316,068**	**129,953**	**555,003**	**308,273,179**
დაგროვილი ცვეთა									
1 იანვარი 2020	(21,944,053)	(28,890,602)	(1,331,388)	(949,923)	(876,666)	(208,917)	(511,094)	-	**(54,712,643)**
ცვეთის დარიცხვა	(4,180,670)	(5,503,360)	(253,587)	(105,615)	(92,777)	(41,855)	(18,363)	-	**(10,196,227)**
31 დეკემბერი 2020	**(26,124,723)**	**(34,393,962)**	**(1,584,975)**	**(1,055,538)**	**(969,443)**	**(250,772)**	**(529,457)**	-	**(64,908,870)**
ცვეთის დარიცხვა	(4,180,756)	(5,503,360)	(253,587)	(105,615)	(63,965)	(40,682)	(6,023)	-	**(10,153,988)**
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	-	-	-	-	-	372,317	-	**372,317**
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	33,210	-	**33,210**
31 დეკემბერი 2021	**(30,305,479)**	**(39,897,322)**	**(1,838,562)**	**(1,161,153)**	**(1,033,408)**	**(291,454)**	**(129,953)**	-	**(74,657,331)**
საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2020	**182,784,298**	**48,156,447**	**11,094,402**	**1,022,223**	**83,771**	**55,054**	**9,678**	**551,760**	**243,757,633**
31 დეკემბერი 2021	**178,603,542**	**42,653,087**	**10,840,815**	**916,608**	**22,179**	**24,614**	-	**555,003**	**233,615,848**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა ინფრასტრუქტურული აქტივებისა და დაუმონტაჟებელი მოწყობილობებისა, შპს "საქართველო - ურბან ენერჯის" ძირითადი საშუალებების უდიდესი ნაწილი დატვირთული იყო გირაოთი ერგბ-ისა და სსკ-ის სესხების უზრუნველსაყოფად (შენიშვნა 12).

დაუმონტაჟებელი მოწყობილობები მოიცავს სათადარიგო ტრანსფორმატორებსა და ჰეს-ების მოწყობილობათა სხვა ნაწილებს, რომლებიც აუცილებელია მსხვილი სარემონტო სამუშაოებისათვის.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გაცვეთილმა აქტივებმა შეადგინა 1,394,089 ლარი და 1,065,693 ლარი, შესაბამისად.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	3,406,496	3,732,022
სხვა მოთხოვნები	18,276	22,016
სულ ფინანსური მოთხოვნები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ფარგლებში	**3,424,772**	**3,754,038**
წინასწარ დაფარული გადასახადები	205,146	139,885
წინასწარ გადახდილი ხარჯები	42,593	42,794
თანამშრომლებზე გაცემული ავანსები	212	111
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**3,672,723**	**3,936,828**

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი წარმოშობილია ადგილობრივი ბაზრის ოპერატორ ს.ს. "ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორზე" ელექტროენერგიის მიყიდვით.

გაყიდვებზე საშუალო საკრედიტო პერიოდია 30 დღე. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

9. საბანკო დეპოზიტები

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
დეპოზიტები ბანკში	6,659,840	3,931,920
დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები ბანკში	4,675	3,115
სულ ფული და საბანკო ნაშთები	6,664,515	3,935,035

კომპანიამ ჭარბი რაოდენობის ფული განათავსა დეპოზიტებზე „თიბისი ბანკში" და „იშბანკ საქართველოში". ამ დეპოზიტების ვადიანობა მერყეობს 120-162 დღეებს შორის, რომელთა დაფარვის ვადაა 2022 წლის 27 აპრილი. იმის გამო, რომ დეპოზიტის ვადა 90 დღეზე მეტია, იგი არ არის კლასიფიცირებული, როგორც ფულის ექვივალენტი. დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი მერყეობს წლიურ 0.85-1.20% შორის (2020: 2-2.2% წლიურად). დეპოზიტები დენომინირებულია აშშ დოლარში.

10. ფული და ფულის ექვივალენტები

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	1,451,345	1,550,206
ნაღდი ფული	-	10,779
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,451,345	1,560,985

მთელი ფული და ფულის ექვივალენტები კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე და არ არის გაუფასურებული. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,052,663 ლარის ეკვივალენტი (2020 წლის 31 დეკემბერი: 1,147,087 ლარი) იყო აშშ დოლარში.

კომპანიის ლარში დენომინირებული მიმდინარე ანგარიშებისთვის წლიური საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 0% -დან 8.5% -მდე, ხოლო 0%-დან 0.84%-მდე - აშშ დოლარში დენომინირებული მიმდინარე ანგარიშებისთვის.

11. საწესდებო კაპიტალი

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქციონერების მიერ შეტანილი კაპიტალი აქციების გამოშვების გარდა	123,638,980	123,638,980
სულ შეტანილი კაპიტალი	123,638,980	123,638,980

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უფლებამოსილმა და სრულად შემოწირულმა საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 123,638,980 ლარი, რომელიც მოიცავს „ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარი ანონიმ სირკეტისი" და ერგბ-ის მიერ განხორციელებულ შენატანებს 115,333,480 ლარისა და 8,305,500 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

12. აღებული სესხები

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2021		31 დეკემბერი 2020	
	მიმდინარე ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები	მიმდინარე ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები
გრძელვადიანი სესხები - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ერგბ) - შენიშვნა 6	11,536,010	131,303,341	10,550,907	150,859,693
გრძელვადიანი სესხები - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (სსკ)	9,370,873	107,430,006	8,559,820	123,430,658
საკრედიტო ხაზი - იშბანკ თურქი	18,702,460	-	-	-
საკრედიტო ხაზი - იშბანკ საქართველო	12,471,871	-	-	-
საკრედიტო ხაზი - „საქართველოს ბანკი"	-	-	33,033,065	-
ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარ ა.ს	-	-	828,351	-
სულ აღებული სესხები	52,081,214	238,733,347	52,972,143	274,290,351

2011 წლის 22 ივნისს, კომპანიამ, ერგბ-მა და სსკ-მ ხელი მოაწერეს დაფინანსების ზოგადი პირობების ხელშეკრულებას ფარავნის ჰესის მშენებლობის, დასრულებისა და ექსპლუატაციაში შეყვანის ("პროექტი") და პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა დანახარჯის დასაფინანსებლად. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ერგბ და სსკ დათანხმდნენ, კომპანიისათვის სესხის სახით გადაეცათ, შესაბამისად, 63,500,000 აშშ დოლარი და 52,000,000 აშშ დოლარი.

კომპანიამ სესხის ძირითადი თანხის დაფარვა დაიწყო 2015 წლის ოქტომბერში.

2017 წლის 12 აპრილს ხელი მოეწერა ცვლილებების შესახებ შეთანხმებას გარკვეული დაფინანსების ხელშეკრულებებთან დაკავშირებით „ანადოლუ ენდუსტრი ჰოლდინგ ა.ს-ს", „ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარ ა.ს-ს, ერგბ-სა და სსკ-ს შორის. ცვლილების თანახმად, კომპანია ძირითად თანხას დაფარავს გახანგრძლივებული ვადის განმავლობაში 2029 წლის ოქტომბრამდე, 2026 წლის აპრილის ნაცვლად, როგორც ეს თავდაპირველად იყო შეთანხმებული. სსკ-ის სესხებზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ზღვრული 5%-ისა და წლიური ლონდონის ბანკთაშორისი შეთავაზებული განაკვეთის

(LIBOR) ჯამით. ერგბ-ის სესხებზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ზღვრული 5%-ისა და პერიოდის ბანკთაშორისი განაკვეთის ჯამით და კორექტირდება ბაზარზე არსებული ნებისმიერი შეფერხებით გამოწვეული ეფექტით. საპროცენტო განაკვეთის ზღვრული ნაწილი გაიზრდება 5.35%-მდე 2020 წლის 22 ივნისიდან (22 ივნისის ჩათვლით).

2017 და 2018 წლების 15 ოქტომბერს კომპანიამ განახორციელა უფროსი კრედიტორების სესხის ძირითადი კრედიტის სავალდებულო წინსწრებით დაფარვა (ჭარბი ფული - სავალდებულო წინსწრებით დაფარვა) ჯამში 86,246 აშშ დოლარისა და 919,748 აშშ დოლარის ოდენობით, შესაბამისად, 2017 წლის 12 აპრილს გაფორმებული ცვლილების ხელშეკრულების მიხედვით.

2020 წლის 13 ოქტომბერს ხელმოწერილი შესწორებათა წერილის მიხედვით, მსესხებელი და უფროსი გამსესხებლები შეთანხმდნენ, შესწორება შეიტანონ პროცენტის გადახდის თარიღებში, რომლებიც გათვალისწინებულია თავდაპირველი დაფინანსების ზოგადი ხელშეკრულებით, ერგბ-თან თავდაპირველი სასესხო ხელშეკრულებით და სსკ-თან თავდაპირველი სასესხო ხელშეკრულებით და ყოველწლიურად 15 აპრილისა და 15 ოქტომბრის ნაცვლად გადახდა მოხდეს ყოველი წლის 30 აპრილს და 30 ოქტომბერს. ახალი თარიღები ძალაშია 2020 წლის ოქტომბრიდან და სრულდება პროცენტის გადახდის თარიღით, რომელიც 2029 წლის აპრილში დადგება.

2020 წლის 18 დეკემბერს ხელმოწერილი შესწორებათა წერილის მიხედვით, მსესხებელი და უფროსი გამსესხებლები შეთანხმდნენ, შესწორება შეიტანონ ერგბ-ისა და სსკ-ის თითოეული სესხის მარჟაში და 2020 წლის 18 დეკემბრიდან, რომელიც ითვლება მარჟის შემცირების ძალაში შესვლის თარიღად, იგი შეამცირონ წლიურ ოთხ მთელ, ოცდახუთ მეასედ პროცენტამდე (4.25%).

აღნიშნულმა შესწორებებმა მოდიფიკაციის გზით განაპირობა 15,128,449 ლარის მოგების აღიარება, რაც შესაბამისად აღიარდა 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშებაში.

2021 წლის 28 აპრილსა და 27 ოქტომბერს კომპანიამ განახორციელა სავალდებულო წინასწარი გადახდა (ჭარბი ფული - სავალდებულო წინასწარი გადახდა) უფროსი გამსესხებლის სესხის ძირ თანხაზე 16,200 აშშ დოლარისა და 716,705 აშშ დოლარის ოდენობით, შესაბამისად, რაც მოხდა 2017 წლის 12 აპრილს ხელმოწერილი შესწორებათა შეთანხმების მიხედვით.

2021 წლის 10 ნოემბერს კომპანიამ სს „იშბანკ თურქეთთან“ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას საბანკო სესხის თაობაზე 6,000,000 აშშ დოლარის (18,585,600 ლარი) ოდენობით, ხოლო 2021 წლის 11 ნოემბერს - სს „იშბანკ საქართველოსთან“ 4,000,000 აშშ დოლარის (12,390,400 ლარი) ოდენობით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ სრულად აითვისა მოცემული საკრედიტო თანხა სს „საქართველოს ბანკის“ სესხის დაფარვაში, 10,000,000 აშშ დოლარის (30,976,000 ლარი) ოდენობით. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 4.5%-სა და 4.8%-ს შესაბამისად. სესხის ვადა 1 წელია. პროცენტის გადახდა ხდება ყოველ ექვს თვეში, ხოლო ძირი თანხა - სესხის ვადის გასვლის დღეს.

2021 წლის 11 ოქტომბერს კომპანიამ განაახლა „აკაფთან“ 2019 წლის 11 ოქტომბერს ხელმოწერილი მოკლევადიანი სესხის ხელშეკრულება 250,000 აშშ დოლარის ოდენობით. სესხი 2021 წლის 27 ოქტომბერს სრულად დაიფარა.

აღებული სესხების მოძრაობა 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში იყო:

ქართულ ლარში	ერგბ	სსკ	იშბანკ თურქეთი	იშბანკ საქართველო	საქართველოს ბანკი	AKAF	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2021	161,410,600	131,990,478	-	-	33,033,065	828,351	327,262,494
დანამატები წლის განმავლობაში	-	-	18,942,600	12,596,800	-	-	31,539,400
პროცენტი წლის განმავლობაში (შენიშვნა 21)	7,657,610	6,271,484	116,699	81,363	1,667,231	33,217	15,827,604
გადახდილი პროცენტი	(7,773,832)	(6,366,990)	-	-	(1,956,223)	(40,847)	(16,137,892)
გადახდილი ძირი თანხა	(10,261,724)	(8,403,304)	-	-	(31,492,000)	(785,700)	(50,942,728)
ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული მოგება, წმინდა	(8,193,303)	(6,690,789)	(356,839)	(206,292)	(1,252,073)	(35,021)	(16,734,317)
31 დეკემბერი 2021	142,839,351	116,800,879	18,702,460	12,471,871	-	-	290,814,561

აღებული სესხების მოძრაობა 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში იყო:

ქართულ ლარში	ერგბ	სსკ	თიბისი ბანკი	საქართველოს ბანკი	AKAF	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2021	155,908,161	127,496,643	28,937,591	-	724,978	313,067,373
დანამატები წლის განმავლობაში	-	-	-	32,863,000	2,861,460	35,724,460
პროცენტი წლის განმავლობაში (შენიშვნა 20)	10,532,393	8,627,335	1,677,985	268,298	40,833	21,146,844
გადახდილი პროცენტი	(11,849,542)	(9,705,856)	(2,031,714)	-	(41,847)	(23,628,959)
გადახდილი ძირი თანხა	(6,270,796)	(5,135,138)	(32,914,000)	-	(2,881,260)	(47,201,194)
მოდიფიკაციის ეფექტი	(8,320,647)	(6,807,802)	-	-	-	(15,128,449)
ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული ზარალი, წმინდა	21,411,031	17,515,296	4,330,138	(98,233)	124,187	43,282,419
31 დეკემბერი 2021	161,410,600	131,990,478	-	33,033,065	828,351	327,262,494

მიმდინარე აღებული სესხების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებასთან მიახლოებულია. სამართლიანი ღირებულებები ეფუძნება საშუალო განაკვეთით გაანგარიშებული განაკვეთით 4.4% (2020: 6%) დისკონტირებულ ფულად ნაკადებს და წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეორე დონეს.

13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გადასახდელები მომწოდებლების მიმართ	408,087	379,916
დარიცხული თანამშრომელთა ბენეფიტები	10,700	173,787
დარიცხული ხარჯები	118,132	104,707
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	536,919	658,410

14. შემოსავალი

ქართულ ლარში	2021	2020
ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე	46,341,512	42,685,247
სულ შემოსავალი	46,341,512	42,685,247

15. მომსახურების ხარჯები

ქართულ ლარში	2021	2020
მართვის საფასური	674,111	646,215
დაზღვევის ხარჯები	557,000	520,864
ინფორმაცია, კონსულტაცია და სხვა პროფესიული ხარჯები	377,119	439,768
უსაფრთხოების ხარჯები	150,508	150,508
ტრანსპორტის ხარჯები	65,578	65,578
დისპეტჩერიზაციის, გადაცემისა და ელექტროენერგიის გაყიდვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	63,669	63,307
სხვა ხარჯები	4,357	6,849
სულ მომსახურების ხარჯები	1,892,342	1,893,089

16. პერსონალის ხარჯები

ქართულ ლარში	2021	2020
ხელფასები	3,170,717	3,727,444
თანამშრომელთა კვების ხარჯები	98,697	95,556
სადაზღვევო ხარჯები	31,424	34,082
თანამშრომელთა ტრენინგის ხარჯები	8,700	12,457
სულ პერსონალის ხარჯები	3,309,538	3,869,539

17. საგადასახადო ხარჯი

ქართულ ლარში	2021	2020
ქონების და მიწის გადასახადი	2,275,358	2,373,614
სხვა გადასახადები	3,403	3,860
სულ საგადასახადო ხარჯი	2,278,761	2,377,474

18. სხვა საოპერაციო ხარჯები

ქართულ ლარში	2021	2020
რემონტის ხარჯები	255,136	111,774
ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის რეგულირების ხარჯი	92,683	85,370
ავტომანქანისა და საწვავის ხარჯები	61,621	62,918
კომუნალური ხარჯები	43,743	21,537
კავშირგაბმულობის ხარჯები	19,219	19,384
ისტ ლიცენზიის ხარჯები	15,141	33,381
საოფისე ხარჯები	12,586	21,604
მარაგების მოძველება და ჩამოწერა ხარჯები	3,816	-
მივლინების ხარჯები	2,820	5,012
საქველმოქმედო ხარჯები	2,566	1,718
მასალების ხარჯები	1,021	2,653
სხვა ხარჯები	22,725	28,941
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	533,077	394,292

19. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები

ქართულ ლარში	2021	2020
ძირითადი საშუალებების ცვეთა	10,153,988	10,196,227
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	16,787	17,016
გამოყენების უფლების მატარებელი აქტივების ცვეთა	155,333	116,394
სულ ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	10,326,108	10,329,637

20. ფინანსური შემოსავალი

ქართულ ლარში	2021	2020
საპროცენტო შემოსავალი	156,896	165,703
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება წმინდა	16,733,328	-
სულ ფინანსური შემოსავალი	16,890,224	165,703

21. ფინანსური ხარჯები

ქართულ ლარში	2021	2020
საპროცენტო ხარჯები (შენიშვნა 12)	15,827,604	21,146,844
მოდიფიკაციის ეფექტი (შენიშვნა 3)	-	(15,128,449)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	38,061	18,400
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა	-	41,903,636
ბანკის საკომისიო	85,135	3,815
სხვა ფინანსური ხარჯები	231,625	220,039
სულ ფინანსური ხარჯები	16,182,425	48,164,285

სხვა ფინანსურ ხარჯებში შედის: ბანკების საკონსულტაციო კომპანიის მიერ გაწეული ფულადი სახსრების გადარიცხვის მონიტორინგის მომსახურების ღირებულება 152,396 ლარის ოდენობით (2020: 148,075 ლარი); მმართველობის საფასური 64,169 ლარის ოდენობით (2020: 63,988 ლარი), რომელიც გადახდილია სსკ-თვის 2011 წლის 20 სექტემბრით დათარიღებული აქციონერთა შეთანხმების საფუძველზე; და სესხებთან დაკავშირებული სხვა იურიდიული და ადმინისტრაციული ხარჯები 15,060 ლარის ოდენობით (2020: 7,976 ლარი).

22. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებით, დასკვნებითა და სასამართლოს გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, ურთიერთსაწინააღმდეგო და მრავალგვარი ინტერპრეტაციის პოტენციალით იმის მიხედვით, თუ მას რომელი საგადასახადო ორგანო განმარტავს. ხშირად ადგილი აქვს საგადასახადო შემოწმებას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციის მხრიდან, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება, კომპანიებს დააკისრონ მძიმე ჯარიმები და პროცენტები. საგადასახადო წელი შეიძლება შემოწმდეს სამი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, ზოგ შემთხვევაში კი - უფრო დიდი ხნის მანძილზეც.

ამ პირობებიდან გამომდინარე საქართველოში შეიძლება გაჩნდეს ისეთი საგადასახადო რისკები, რომლებიც არსებითად უფრო მძიმე იქნება, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მას დაფარული აქვს საგადასახადო ვალდებულებები შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური დასკვნებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების მისეული ინტერპრეტაციიდან გამომდინარე. თუმცა, სხვა ორგანოთა ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავებული აღმოჩნდეს და თუ ორგანოებმა თავისი ინტერპრეტაციით მუშაობა შეძლეს, ამის ეფექტი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება მნიშვნელოვანიც აღმოჩნდეს. 2017 წლის 21 თებერვალს საქართველოს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა კომპანიას მიაწოდა ორდერი #4187, რის შედეგადაც, 2014 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე კომპანიის ფინანსურ ინფორმაციას ჩაუტარდა საგადასახადო აუდიტი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დღისათვის ეს პერიოდები დაიხურა და შემოწმებას აღარ ექვემდებარება.

საქართველოს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2021 წლის 25 მარტის ბრძანება M8628 თანახმად, სამსახურმა წამოიწყო კომპანიის კონტროლირებული ტრანზაქციების სამაგიდო აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 1 იანვრისან 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს.

2021 წლის 30 დეკემბერს კომპანიამ მიიღო გადასახადის დაკისრების შუალედური აქტი. აღნიშნული აქტი ეხება კომპანიის საქმიანობას 2018 და 2019 წლებში. დამატებითმა გადასახადმა და ჯარიმებმა მთლიანად 684,784 ლარი შეადგინა.

კომპანია არ ეთანხმება აქტში მოცემულ გადასახადის დარიცხვას, ისევე როგორც საგადასახადო მოთხოვნის დოკუმენტში ნაჩვენებ დამატებით თანხებს. 2022 წლის 26 იანვარს კომპანიამ შემოსავლების სამსახურში გაასაჩივრა აქტი და მოითხოვა ბრძანების გაუქმება. შედეგად, საგადასახადო ორგანოებმა დაასკვნეს, რომ საქმე ხელახლა უნდა იქნას განხილული, ხოლო აპელაციაში წარმოდგენილი არგუმენტების დამამატკიცებელი დოკუმენტები უნდა შემოწმდეს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისათვის შემოსავლების სამსახურს შემოწმების პროცესი არ დაუსრულებია.

სამართლებრივი დავები. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ დავაში. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიას არ ეკისრება რაიმე არსებითი სახის დაურიცხავი ზარალი და შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვი არ შეუქმნია.

გარემოს დაცვა. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ახლახანს დაიწყო და სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან აღსრულების პრაქტიკა მუდმივად იცვლება. კომპანია პერიოდულად ამოწმებს გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვის მხარეს. ვალდებულებათა დადგენისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას არსებული რეგულაციების აგრეთვე სამოქალაქო პროცესებისა თუ კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, სარწმუნოდ არ იზომება, თუმცა, შეიძლება მნიშვნელოვანიც აღმოჩნდეს. არსებულ აღსრულების გარემოში, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მიყენებული ეკოლოგიური ზიანით გამოწვეული მნიშვნელოვანი ვალდებულებები არ გააჩნია.

საინვესტიციო ვალდებულებები. 2007 წლის 29 მაისს კომპანიამ და საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, მდინარე ფარავანზე 85 მეგავატიანი ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობის თაობაზე.

აღნიშნული მემორანდუმის მიხედვით, კომპანია ვალდებულია, ზამთრის სამი თვის (დეკემბერი-თებერვალი) განმავლობაში გენერირებული ელექტროენერგია ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორს მიყიდოს მინიმალურ გარანტირებულ ფასად 4.7 აშშ ცენტი/კილოვატსაათი.

მემორანდუმის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ (სანამ კომპანია მთლიანად არ ამოიღებს მემორანდუმის ფარგლებში ჩადებულ ინვესტიციას, მაგრამ არა უმეტეს 15 წლის განმავლობაში ჰესის მშენებლობის შეკვეთიდან), ზემოაღნიშნული შეზღუდვები მოიხსნება და კომპანიას უფლება ექნება, თავისუფლად გაყიდოს ან/და ექსპორტზე გაიტანოს მის მიერ გენერირებული მთელი ელექტროენერგია თავისსავე პირობებზე და მესამე მხარეებსა და ქვეყნებში.

2020 წლის 28 თებერვალს კომპანიამ ხელი მოაწერა 2009 წლის 27 მაისს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის დამატებას, რომლითაც კომპანიამ აიღო ვალდებულება, 2021-2024 წლებში გაეყიდა მთლიანი ფაქტობრივად გენერირებული ელექტროენერგია ექსკლუზიურად ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისთვის.

საანგარიშო თარიღის მდგომარეობით, კომპანია სრულად აკმაყოფილებდა აღნიშნულ საინვესტიციო ვალდებულებებს.

ფინანსური პირობების დაცვა. კომპანიას ეკისრება გარკვეული ფინანსური პირობები, რომლებიც პირველ რიგში დაკავშირებულია ერგბ-სა და სსკ-გან აღებულ საბანკო სესხთან. ამ პირობების დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისათვის უარყოფითი შედეგების დადგომა, მათ შორის აღებული სესხის ღირებულების გაზრდა და დეფოლტის გამოცხადება (შენიშვნა 12). საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანიას ყველა პირობა შესრულებული აქვს.

23. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია რისკებს განიხილავს ფინანსური (საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო, ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის), გეოგრაფიული და სამართლებრივი რისკების ჭრილში. კომპანიის ფინანსური რისკის მართვის უმთავრესი ამოცანაა რისკის საზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკდამოკიდებულება ამ ფარგლებში შენარჩუნდეს. კომპანია ამჟამად მუშაობს მისი ფინანსური და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციების შემუშავებაზე. კომპანიაში ამჟამად არსებული პრაქტიკა, მათ შორის, მოწილე კომპანიის მხრიდან განხორციელებული ზედამხედველობა და ახალი ინიციატივები, მიზნად ისახავს ისეთი შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებს ფინანსურ და სამართლებრივ რისკებს მიმდინარე და სამომავლო პერიოდებში.

საკრედიტო რისკი. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთერთი მხარე, ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე, გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. საკრედიტო რისკდამოკიდებულება წარმოიშობა კომპანიის საქონლის საკრედიტო პირობებით გაყიდვიდან და კონტრაგენტებთან ფინანსური აქტივების უზრუნველმყოფი სხვა ტრანზაქციებიდან.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება აქტივების კლასის მიხედვით ასეთია:

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 8)	3,424,772	3,754,038
დეპოზიტები ბანკებში (შენიშვნა 9)	6,664,515	3,935,035
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 10)	1,451,345	1,550,206
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება	11,540,632	9,239,279

გეოგრაფიული რისკი. კომპანიის აქტივები განთავსებულია საქართველოში და მისი ბიზნეს-გეგმები კრიტიკულადაა დამოკიდებული ქვეყანაში სტაბილურობასა და კანონის უზენაესობაზე. საქართველო კვლავაც ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს. როგორც ასეთი, კომპანიაზე აისახება ქვეყნის შიგნით საქმიანი თუ სამართლებრივი სფეროს ნებისმიერი უარყოფითი ცვლილება.

საბაზრო რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები ძირითადად დაკავშირებულია ღია სავალუტო პოზიციებთან, რომლებზეც ბაზრის ზოგადი და სპეციფიური მოძრაობის ეფექტი ვრცელდება. დირექტორთა საბჭო ადგენს რისკის მისაღებ დონეს და შემდეგ თავის შეხედულებისამებრ უწევს მას მონიტორინგს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ აღმოფხვრის მისაღებ დონეზე მეტი ზარალის შემთხვევებს შედარებით მნიშვნელოვანი უარყოფითი საბაზრო ცვლილებების პირობებში.

საბაზრო რისკების მიმართ ქვემოთ მოცემული მგრძნობიარობა ეფუძნება ერთი ფაქტორის ცვლილებას სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ამგვარი მდგომარეობა ნაკლებად სავარაუდოა და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება შეიძლება ერთმანეთთან კორელაციაში იყოს. ასეთია, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება და ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილება.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიცვლება ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების პარალელურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო რისკდამოკიდებულება საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

	31 დეკემბერი 2021			*31 დეკემბერი 2020*		
ქართულ ლარში	*ფულადი ფინანსური აქტივები*	*ფულადი ფინანსური ვალდებულებები*	*წმინდა საბალანსო პოზიცია*	*ფულადი ფინანსური აქტივები*	*ფულადი ფინანსური ვალდებულებები*	*წმინდა საბალანსო პოზიცია*
ქართული ლარი	3,823,232	(270,119)	3,553,113	4,167,457	(433,083)	3,734,374
აშშ დოლარი	7,717,178	(291,257,303)	(283,540,125)	5,082,125	(327,601,352)	(322,519,227)
ევრო	-	(506,209)	(506,209)	-	(33,393)	(33,393)
თურქული ლირა	222	-	222	476	(2,825)	(2,349)
სულ	11,540,632	(292,033,631)	(280,492,999)	9,250,058	(328,070,653)	(318,820,595)

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია მოგების, ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულ შესაძლო ცვლილებებზე კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, ხოლო ყველა სხვა ცვლადი შენარჩუნებულია მუდმივად: აშშ დოლარში დენომინირებული ფულისა და ფულის ექვივალენტების, საბანკო დეპოზიტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, ნასესხები სახსრებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანით გამოწვეული ზარალი / მოგება.

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განუვითარებელი ბაზრის გამო, მენეჯმენტი არ ახდენს კომპანიის სავალუტო რისკის ჰედჯირებას.

	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართული ლარი	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(56,708,025)	(64,503,845)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	56,708,025	64,503,845

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიაზე საპროცენტო განაკვეთის რისკი მოქმედებს იმდენად, რამდენადაც კომპანიაში შემავალი პირები სახსრებს სესხულობენ როგორც ფიქსირებული, აგრეთვე ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით. ამ რისკს კომპანია მართავს ამ ორი ტიპის განაკვეთებით სესხის აღების სათანადო ბალანსის დაცვით.

კომპანიის დამოკიდებულება ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე მოქმედ საპროცენტო განაკვეთებზე აღწერილია წინამდებარე შენიშვნის ლიკვიდობის რისკის მართვის ქვეთავში.

ქვემოთ მოცემული მგრძნობიარობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს საპროცენტო განაკვეთების მიმართ დამოკიდებულების საფუძველზე. ცვლად-განაკვეთიანი ვალდებულებების შემთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშო პერიოდის ბოლოს დასაფარი ვალდებულების ოდენობა დასაფარი იყო მთელი წლის განმავლობაში. უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის წარსადგენ მოხსენებებში გამოიყენება 100 საბაზო ქულიანი (1%) ზრდა ან კლება და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას საპროცენტო განაკვეთების გონივრულად შესაძლებელი ცვლილების თაობაზე.

საპროცენტო განაკვეთების 100 საბაზო ქულით მეტობის/ნაკლებობის შემთხვევაში, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში:

- 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგება დაიკლებდა/გაიზრდებოდა 2,926,275 ლარით (2020: 3,290,046 ლარი). ეს ძირითადად აიხსნება კომპანიის დამოკიდებულებით ცვლადი განაკვეთების მიმართ.

კომპანიის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთების მიმართ მიმდინარე წელს შემცირდა ეს ძირითადად გამოწვეული იყო ცვლადგანაკვეთიანი სავალო ინსტრუმენტების მოცულობის კლებით.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიას გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულება. კომპანიას ყოველდღიურად უხდება არსებული ფულადი რესურსების გამოყენება. ხელმძღვანელობა აკვირდება კომპანიის ფულადი ნაკადების მიმდინარე თვიურ პროგნოზებს.

კომპანია ლიკვიდობის რისკს მართავს აქციონერების კაპიტალის შენატანებისა და ერგბ-ისა და სსკ-ის სესხების აღების საშუალებით. კომპანიის ლიკვიდობის რეზერვი მოიცავდა ბანკის დეპოზიტებსა (შენიშვნა 9) და ფულსა და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 10).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია დარჩენილი საკონტრაქტო ვადიანობით გაანალიზებული ვალდებულებები. ცხრილში განმარტებული თანხები წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მათ შორის, მთლიან სასესხო ვალდებულებებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნაჩვენებისგან განსხვავდება, რადგან ეს უკანასკნელი დისკონტირებულ ფულად ნაკადებს ეფუძნება. თუ გადასახდელი თანხა ფიქსირებული არ არის, ნაჩვენები ოდენობა დგინდება საანგარიშო დღეს არსებული პირობების გათვალისწინებით.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გადახდები კონვერტირდება საანგარიშო დღეს არსებული სპოტური კურსით.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბერს შემდეგია:

ქართულ ლარში	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვე - 5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ვადიანი სესხები	-	-	(62,247,531)	(166,099,007)	(117,218,845	(345,565,383)
საიჯარო ვალდებულებები	(49,459)	(33,786)	(133,392)	(472,391)	(1,169,280	(1,858,308)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(408,087)	(59,080)	(36,819)	(32,933)	-	(536,919)
სულ მომავალი გადახდები	(457,546)	(92,866)	(62,417,742)	(166,604,331)	(118,388,125	(347,960,610)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბერს შემდეგია:

ქართულ ლარში	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვე 5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
ვადიანი სესხები	-	-	(64,927,284)	(161,358,788)	(202,121,324	(428,407,396)
საიჯარო ვალდებულებები	(8,192)	(16,383)	(13,920)	(55,680)	(1,183,200	(1,277,375)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(379,916)	(220,987)	(57,507)	-	-	(658,410)
სულ მომავალი გადასახადი	(388,108)	(237,370)	(64,998,711)	(161,414,468)	(203,304,524)	(430,343,181)

24. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულების შეფასება ანალიზდება რეალური ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონით: (1) პირველი დონე არის შეფასება კვოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) იდენტური აქტივებისა თუ ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე, (2) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ტექნიკა, სადაც ყველა მნიშვნელოვან მონაცემზე დაკვირვება აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში შესაძლებელია პირდაპირ (ანუ ფასებით) ან ირიბად (ანუ ფასების გავლით), და (3) მესამე დონის შეფასება არის ისეთი შეფასება, რომელიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციისას იყენებს რეალური ღირებულების იერარქიაზე დაფუძნებულ შეფასებებს. თუ რეალური ღირებულების შეფასებაში გამოყენებულია დაკვირვებადი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვნად კორექტირება ესაჭიროება, ეს შეფასება მესამე დონისაა. შესაფასებელი მონაცემის მნიშვნელობა დგინდება რეალური ღირებულების შეფასებით მთლიანობაში.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ იზომება, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება ნაჩვენებია. რეალური ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონითა და არა რეალური ღირებულებით გაზომილი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებია:

	31 დეკემბერი 2021				31 დეკემბერი 2020			
ქართულ ლარში	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
- ფული და ფულის ექვივალენტები	1,451,345	-	-	1,451,345	1,560,985	-	-	1,560,985
- საბანკო დეპოზიტები	6,664,515	-	-	6,664,515	3,935,035	-	-	3,935,035
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	3,424,772	3,424,772	-	-	3,754,038	3,754,038
სულ აქტივები	8,115,860	-	3,424,772	11,540,632	5,496,020	-	3,754,038	9,250,058
ვალდებულებები								
- აღებული სესხები	-	290,814,561	-	290,814,561	-	327,262,494	-	327,262,494
- საიჯარო ვალდებულებები	-	-	682,151	682,151	-	-	149,749	149,749
სხვა ფინანსური ვალდებულებები								
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	536,919	536,919	-	-	658,410	658,410
სულ ვალდებულებები	-	290,814,561	1,219,070	292,033,631	-	327,262,494	808,159	328,070,653

მე-2 და მე-3 დონეების რეალური ღირებულებები დადგინდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების ტექნიკით. იმ ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც აქტიურ ბაზარზე არ კვოტირდება, შეფასდა, როგორც საბალანსო ღირებულების ტოლი. არაკვოტირებული ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასდა სავარაუდოდ მისაღები სამომავლო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებული იყო მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება იმ სამომავლო ფულად სახსრებს, რომლებსაც კომპანია სავარაუდოდ მიიღებს და რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მქონე ახალ ინსტრუმენტებს ერიცხება. დისკონტირების განაკვეთები გამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, მოკლე ვადიანობის გამო, უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება იმ სამომავლო ფულად სახსრებს, რომლებსაც კომპანია სავარაუდოდ მიიღებს და რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მქონე ახალ ინსტრუმენტებს ერიცხება. დისკონტირების განაკვეთები გამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, მოკლე ვადიანობის გამო, უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

25. კაპიტალის რისკის მართვა

კაპიტალის მართვის ამოცანაა, უზრუნველყოს კომპანიის მხრიდან უწყვეტად მოქმედების უნარს, რათა ამით უზრუნველყოს აქციონერთა უკუგება და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა

კაპიტალის ღირებულების შემცირების მიზნით. ჰესის მშენებლობის დაფინანსების წყაროდ ძირითადად გამოიყენება კომპანიის კაპიტალი.

26. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ

2022 წლის 21 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებებს დონეცკის სახალხო რესპუბლიკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის აღიარების თაობაზე. 2022 წლის 24 თებერვალს გამოცხადდა უკრაინაში სამხედრო ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილება და რუსეთი უკრაინას თავს დაესხა.

ამ მოვლენების შემდგომ აშშ-მა, გაერთიანებულმა სამეფომ, ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა სანქციები გამოუცხადეს რუსეთის გარკვეულ ოფიციალურ პირებს, ბიზნესმენებსა და კომპანიებს. აღნიშნულმა მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიოს რუსული ბიზნესისათვის საერთაშორისო კაპიტალისა და ექსპორტის ბაზრებზე წვდომის შეზღუდვა, რუსული რუბლის გაუფასურება, კაპიტალის ბაზრების შემცირება და სხვა უარყოფითი ეკონომიკური შედეგები. რუსეთმა უკრაინაში შეჭრის გამო დაწესებულ სანქციებს უპასუხა 2022 წლის ბოლომდე გარკვეული პროდუქტების მთელ რიგზე ექსპორტის აკრძალვით.

საქართველოს ეკონომიკის ორი მსხვილი სექტორი, მეღვინეობა და ტურიზმი, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რუსულ ბაზარზე: 2021 წელს ქართული ღვინის საექსპორტო მოცულობის 55% გავიდა რუსეთში (130 მილიონი აშშ დოლარი). მეორე ადგილზე ღვინის ექსპორტით არის უკრაინა (25 მილიონი აშშ დოლარი). ტურიზმის თვალსაზრისით რუსეთსა და უკრაინაზე აგრეთვე მოგზაურთა დიდი ნაწილი მოდის.


ამ ეტაპზე კომპანიის მომავალ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე აღნიშნული და მომავალი მოვლენების დარტყმის განსაზღვრა ძნელია. თუმცა, კომპანიის ოპერაციებზე პირდაპირი დარტყმა მოსალოდნელი არ არის.

მმართველობის ანგარიში

კომპანიის შესახებ

კომპანია ოპერირებს ჰიდროელექტროსადგურს (ჰესი) მდინარე ფარავანზე, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. კომპანია ამუშავებს ფარავანჰესს, რომელიც 2014 წელს უნიკალური პროექტი იყო საქართველოში. ჰესი მოიცავს 14 კმ სიგრძის სადერივაციო გვირაბს, რომლის მეშვეობითაც მდინარე ფარავანი მდინარე მტკვარში ჩაედინება, სოფელ ხერთვისში. ფარავანის ჰიდრო პროექტი ასევე მოიცავს 33 კმ სიგრძის 220 კვ ძაბვის გადამცემ ხაზს. გადამცემი ხაზი გადის ახალციხის ქვესადგურთან, რომელიც უკავშირდება შავი ზღვის გადამცემ ხაზს, მაღალი ძაბვით 400/500 კვ. ეს ხაზი აკავშირებს საქართველოს თურქეთთან.

კომპანია დაყოფილია სამ განყოფილებად: ადმინისტრაციული, ფინანსური და ოპერაციული. ადმინისტრაციული და ფინანსური განყოფილებები მდებარეობს თბილისში, მთავარ ოფისში, ოპერაციული განყოფილება კი მდებარეობს ასპინძის რაიონის სოფელ ხერთვისში (ფარავანჰესის ტერიტორია). 2021 წელს, კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 37 ადამიანი (2020: 40).



ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

ფინანსური ინდიკატორები

2021 წელს, კომპანიას არ გაუკეთებია მნიშვნელოვანი შენაძენი ძირითადი საშუალებების თვალსაზრისით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მიმდინარე აქტივებს აღემატებოდა 39,986,534 ლარით. მიმდინარე ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან სესხებსა და მათზე გადასახდელ პროცენტს „იშბანკ თურქეთის" მიმართ 18,702,460 ლარის ოდენობით; მოკლევადიან სესხებსა და მათზე გადასახდელ პროცენტს „იშბანკ საქართველოს" მიმართ 12,471,871 ლარის ოდენობით; სსკ-სა და ერგბ-ის გრძელვადიანი სესხის მოკლევადიან ნაწილსა და შესაბამის პროცენტს 20,906,883 ლარის ოდენობით. დეტალები საბრუნავი კაპიტალის დეფიციტის და უწყვეტი საწარმოს შესახებ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

კომპანიის ამჟამინდელი აქტივები ძირითადად მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, საბანკო დეპოზიტებს, ესკოს მიმართ არსებულ მოთხოვნებსა და მარაგებს. კომპანიის მარაგები ძირითადად შედგება ჰესის კომპონენტის აღჭურვილობის სათადარიგო ნაწილებისგან. შიდა პოლიტიკის თანახმად, კომპანიას აქვს მარაგების მინიმალური და მაქსიმალური დონე, რომელიც განსაზღვრულია კონკრეტული სათადარიგო ნაწილებისთვის.

კომპანიის საქმიანობის მთავარ ფინანსურ ინდიკატორად ითვლება ითვლება EBITDA ზღვარი, ელექტროენერგიის გენერაცია და საოპერაციო ხარჯები. 2021 წელს კომპანიის შემოსავალმა შეადგინა 46,341,512 ლარი, რაც 2020 წელთან შედარებით 9%-ით მეტია მეორე მხრივ, EBITDA ზღვარი გაიზარდა 2020 წელთან შედარებით და შეადგინა 84% (2020: 80%).

საოპერაციო ხარჯების თვალსაზრისით, მომსახურების ხარჯები წინა წლის დონეზე დარჩა, ხოლო პერსონალის ხარჯები წინა წელთან შედარებით 14%-ით შემცირდა.

ქართული ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებამ აშშ დოლართან მიმართებაში (2021 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 3.0976; 2020 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 3.2766) დადებითი გავლენა მოახდინა 2021 წლის შედეგებზე. წმინდა სავალუტო მოგებამ შეადგინა 16,733,328 ლარი, როცა, ზარალი 2020 წელს 41,903,636 ლარს შეადგენდა. ეს შედეგი ძირითადად გამოწვეულია კომპანიის აშშ დოლარში დენომინირებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხების გადაფასებით.

არაფინანსური ინდიკატორები

ოპერაციული ინდიკატორები

ჰიდროელექტროსადგურები ხასიათდება ეფექტურობის 2 ინდიკატორით (ელექტრომექანიკური და ჰიდრომექანიკური მოწყობილობების მაჩვენებლები):

- *დატვირთვის ფაქტორი:* ანუ წმინდა სიმძლავრის ფაქტორი არის ფაქტობრივი ელექტრული ენერგიის გამომუშავების თანაფარდობა მოცემულ პერიოდში მაქსიმალური ელექტრული ენერგიის გამომუშავებასთან ამ პერიოდის განმავლობაში.
- *ხელმისაწვდომობის ფაქტორი:* არის იმ დროის ის ოდენობა, რომლის საშუალებითაც ჰესს შეუძლია ელექტროენერგიის წარმოება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რომელიც გაყოფილია დროზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ფარავანჰესის ეფექტურობის ორი ინდიკატორი ოპერაციული პერიოდის განმავლობაში:

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
დატვირთვის ფაქტორი	53.9%	56.0%	50.3%	53.0%	49.2%	42.5%	44.3%
ხელმისაწვდომობის ფაქტორი	98.8%	99.3%	99.8%	99.7%	99.8%	99.1%	98.8%

სოციალური პროექტები

გასული წლების მსგავსად, ურბან ენერჯი 2021 წელსაც მონაწილეობდა სოციალურ პროექტებში. კომპანია წლის განმავლობაში პერიოდულად ახორციელებს სოფლის ტერიტორიის დამასუფთავებელ ღონისძიებას. კომპანია ასევე ეხმარება ხერთვისის საჯარო სკოლის სტუდენტებს, მან დააფინანსა ექსკურსია, შეიძინა სასკოლო მასალები და საახალწლო საჩუქრები 2021 წელს.

ურბან ენერჯი არის ქართველ და თურქი ბიზნესმენთა ასოციაციის წევრი და მონაწილეობს საქველმოქმედო ან სხვა ღონისძიებებში, რომელიც აახლოვებს ასოციაციის ქართველ და თურქ წევრებს.

კომპანია გეგმავს გააგრძელოს მონაწილეობა სოციალურ პროექტებში, განსაკუთრებით ასპინძის რეგიონში.

გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

გარემოს დაცვა და უსაფრთხოება მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის საქმიანობაში. დიდი ყურადღება ეთმობა აღნიშნულ საკითხებს ერგბ-სა და სსკ-ის მხრიდან და მკაცრად რეგულირდება მთავრობის მიერ.

37 თანამშრომლიდან ერთი გარემოსდაცვითი სპეციალისტია, ერთიც - ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციალისტი.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დროს აშენდა თევზსავლი სათავო ნაგებობის ტერიტორიაზე. მდინარეში თევზის არსებობაზე, სახეობებზე და რეპროდუქციაზე მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის

გარემოსდაცვითი სპეციალისტი და შედეგები ასახულია უფროსი კრედიტორებისთვის მომზადებულ წლიურ ანგარიშში.

ჩვეულებრივ, ფრინველებზე დაკვირვებას ახორციელებს კომპანიის გარემოს დაცვის სპეციალისტი, მეზობელი სოფლების მაცხოვრებლების მიერ გამოკითხვის საფუძველზე, ფრინველების სიკვდილიანობათან დაკავშირებით. პანდემიური სიტუაციის გამო, 2021 წლის განმავლობაში სოფლის მაცხოვრებლებთან შეხვედრები არ ჩატარებულა. ამის ნაცვლად, კომპანიის გარემოს დაცვის სპეციალისტი აკვირდებოდა გადამცემი ხაზის მიმდებარე ტერიტორიებს. დაკვირვების შედეგად არცერთი უჩვეულო შემთხვევა არ გამოვლენილა.

ნაგავი და მყარი ნარჩენები ჰესების ტერიტორიიდან რეგულარულად გააქვთ შესაბამის მხარეებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. სახიფათო ნარჩენებისთვის გათვალისწინებულია ცალკე საცავი და გარკვეულ დონემდე დაგროვების შემდეგ შესაბამის სერთიფიცირებულ კომპანიას გააქვს. მდინარის წყლის ქიმიური ანალიზი კეთდება საქართველოს გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ასევე, ყოველწლიურად, სასმელი წყლის კვლევა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში ხდება.

მინიმალური ბიოლოგიური ნაკადის შეფასების მიზნით, ჰესზე აშენდა წყლის დონის საზომი სისტემა. კონკრეტული სტრუქტურა შექმნილია ზუსტი მონაცემების მისაღებად. წყლის დონის და ნაკადის მონაცემები გამოითვლება მთელი წლის განმავლობაში. მონაცემები ინახება სპეციალურ მონაცემთა მრიცხველში და მოდემის საშუალებით იგი გადაეცემა ჰესის სკადას სისტემას.

მენეჯმენტი პერიოდულად ხვდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასპინძის და ახალციხის მუნიციპალიტეტებს, ასევე ადგილობრივ მოსახლეობას. მათ არანაირი სარჩელი ან წერილობითი საჩივარი არ მიუღიათ.

კომპანია იყენებს მრავალფეროვან სადაზღვეო პროდუქტს, როგორებიცაა დანადგარების დაზიანებისა და ბიზნესის შეფერხების ყოვლისმომცველი დაზღვევა, ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევა, პოლიტიკის ძალადობის დაზღვევა, დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა, ჯანმრთელობის დაზღვევა, ავტომობილების დაზღვევა, სათაო ოფისის ქონების დაზღვევა.

რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს და პრიორიტეტებს ანიჭებს რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ბიზნესთან და ინდუსტრიასთან და თან ახლავს რესურსების კოორდინირებულ და ეკონომიკურ გამოყენებას გავლენის შემცირების, მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით.

2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ აშენებული ელექტროსადგურის ტარიფები არ რეგულირდება. მათ ელექტროენერგიით ვაჭრობა ეძლევათ თავისუფალი (დარეგულირებული) ტარიფით. ფარავანჰესიც ამ ტიპის ელექტროსადგურებს მიეკუთვნება. კომპანიას გაფორმებული აქვს 49 წლიანი ხელშეკრულება ელექტროენერგიის გადამცემი / დისპეტჩერიზაციის მომსახურებაზე სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან (სსე), შპს „ენერგოტრანსთან" და შპს „საქრუსენეროგოსთან" ელექტროენერგიის ექსპორტზე ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით გატანისთვის (მესხეთის 400 კვ ძაბვის გადამცემი ხაზით).

ახალი ელექტროგადამცემი ხაზის პრიორიტეტულობა და უპირატესობა განისაზღვრება შემცირების თანმიმდევრობით (ა, ბ, გ და დ კატეგორიები). რადგანაც ფარავანჰესი აშენებულია 2010 წლის შემდეგ, ჰესი მიეკუთვნება ბ კატეგორიას.

2022 წელს მოსალოდნელია ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა 4.1%-ით, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) პროგნოზის თანახმად, რომელიც ეკონომიკის სამინისტრომ 2022 წლის 14 იანვარს დაამტკიცა. საპროგნოზო წლიური ბალანსის მიხედვით, 2021 წელს მთლიანი მოთხოვნის 72%-ს დააკმაყოფილებს ჰიდროგენერაცია, 18%-ს - თბოელექტრო სადგურები, 0.6%-ს - ქარის ტურბინები, ხოლო დანარჩენი შეივსება იმპორტით.

ზოგადად, ბოლო წლების განმავლობაში თურქეთის ბაზარზე ფასების შემცირებამ და მერყეობამ შეამცირა თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობა. ამ მიმართულებით მთავარი ექსპორტიორები არიან ის კომპანიები, რომელთაც განსაკუთრებული წვდომა აქვთ საქართველოსა და თურქეთის დამაკავშირებელ გადამცემ ხაზ „მესხეთზე". მათ შორისაა ურბან ენერჯი. 2016, 2017, 2018 და 2019 წლების

განმავლობაში კომპანიას ეს პრიორიტეტული უფლება საექსპორტოდ არ გამოუყენებია, გარდა მაისი-ივლისის პერიოდისა, რათა ერთ კილოვატ/საათზე მაღალი შემოსავალი უზრუნველეყო. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა თურქული ლირის დევალვაცია აშშ დოლარის მიმართ, რადგან ექსპორტის შემთხვევაში, თურქულ ლირაში ცვალებადი ელექტროენერგიის საზღაური საბოლოოდ კონვერტირდება აშშ დოლარში. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კოვიდ-19, რომელმაც დიდი დარტყმა მიაყენა სხვადასხვა დარგის ბევრ კომპანიას და გამოიწვია ელექტროენერგიაზე მოთხოვნის შემცირება. კომპანიას, კოვიდ-19-ის გამო, შეიძლება უფრო დიდი ზეგავლენა ემუქრებოდეს, რაც გლობალურ ეკონომიკასა და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე პანდემიის ზოგადი უარყოფითი მოქმედებითაა გამოწვეული. გარდა ამ რისკ ფაქტორებისა, ადგილობრივად გაზრდილი ხარჯები (ელექტროენერგიის ექსპორტთან დაკავშირებით) ასევე დიდ როლს ასრულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ზემოაღნიშნული რისკების შემცირების მიზნით კომპანიამ მიაღწია შეთანხმებას და 2021 წლის 28 თებერვალს საქართველოს მთავრობასთან ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმის დამატებას, რაც ითვალისწინებს ფაქტობრივად გენერირებული ელექტროენერგიის 2021-2024 წლებში მთლიანად გაყიდვას საქართველოში. გასაყიდი ფასი ყოველ შეთანხმებულ თვეში ფიქსირდება აშშ დოლარში.

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია რისკების მართვის მექანიზმის შესახებ წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების 23-ე შენიშვნაში.

გეგმები

კომპანია საქართველოს მთავრობასთან უკვე შეთანხმდა და ხელიც მოაწერა დამატებას 2021-2024 წლებში ელექტროენერგიის მხოლოდ საქართველოში გაყიდვის თაობაზე. ამდენად, ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანა არ იგეგმება.

კომპანია აგრეთვე გეგმავს, მკაცრად გააკონტროლოს ბიუჯეტი ხარჯების ოპტიმიზებისა და 2021 წელს უკეთესი ფინანსური შედეგების მიღწევის მიზნით.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220488379
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	02.05.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**სალომე სალუქვაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4, 3ა**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	577921111
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	79357232783822

ორიათას ოცდაორი წლის ორ მაისს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარჯიმნის ინგა რეხვიაშვილის, დაბ. 10.02.1986წ. პირადი #10001017562, პირადობის მოწმობა #13IC28849/დიპლომი #ISU #000258, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2008წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - შპს "საქართველო-ურბან ენერჯი" ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე. მე, ნოტარიუსი ვამოწმებ თარჯიმნის ხელისმოწერის სინამდვილეს და არა დოკუმენტში წარმოდგენილი სამართლებრივი ფაქტების სიზუსტეს ან დოკუმენტის ნამდვილობას. გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 90.00 ლარი დღგ-ს ჩათვლით, 90.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია (ოთხმოცდათორმეტი) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მის შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995 32 2 66 19 18